# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 დეკემბერი 2001 №236 (1509) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რანი ვართ? მუხრანი ვართ!



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ქართველებს ჭიდაობა არ დავიწყებიათ: მუხრან ვახტანგაძე მსოფლიოს ჩემპიონია!

# ვეღირსეთ!

## ქართველ მსოფლიოს ჩემპიონებს შეუძლიათ ვახტანგურად დალიონ

# სიძეს გაუმარჯოს!

## როგორ გაასწრო შოთა ხინჩაგაშვილმა ჩქარ მატარებელს

# 50

*„ეს ფეხბურთელი ევროპის ნებისმიერ წამყვან საფეხბურთო კლუბს დაამშვენებდა თავისი მებრძოლი, შეუდრეკელი ხასიათით. მისნაირი მცველები ერთეულები არიან ევროპაში და „კარლ ცაისისთვის“ მისი არყოფნა დღეს დიდი პლუსია“ — წერდა „ბერლინერ ცაიტუნგი“ 1981 წლის 13 მაისს, ევროპის თასების თასის გათამაშების ფინალის დღეს.*

*შესაძლოა პარადოქსი იყოს, მაგრამ ფაქტია, „დინამოს“ შემადგენლობაში შოთა ხინჩაგაშვილს ერთადერთი გოლი აქვს გატანილი, ისიც მაშინ, როდესაც მისი გუნდი გადამწყვეტ მატჩში, სათასო ფინალში დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის გამორჩეულობაზე ამგვარ მოკრძალებულ შედეგს ოდნავადაც არ უმოქმედია. ამის ახსნაც მარტივად შეიძლება. ის მცველი იყო, მცველი, რომელიც ზედმიწევნით სანიმუშოდ ასრულებდა თავის საქმეს. მაშინდელი „დინამო“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ დაცვაში გაუვალი კედელი ჰქონდა ხინჩაგაშვილ-ჩივაძის დუეტის წყალობით. ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო, „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ჯერჯერობით ბოლო და შთამბეჭდავი გამარჯვება რომ გამოჭედა.*

*დღეს კი ნახევარსაუკუნოვან იუბილარს გარდასულ დიდ დღეებთან ბევრი მოგონება და თასების თასის პატარა ასლი აკავშირებს, რომლის ორიგინალმაც დიდი, ხმაურიანი ტრიუმფი მოუტანა ოცი წლის წინ ქართულ ფეხბურთს.*

*ცხოვრებაში უპრეტენზიო, მოკრძალებული პიროვნებაა. ინტერვიუ დღემდე არ მიმიცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ნახევარ საუკუნეში ერთხელ ეს შეიძლებაო, გვითხრა იუბილარმა და...*





— ცხოვრება ჩქარ მატარებელს ჰგავს, ბევრი შეხტომასაც ვერ ახერხებს, მაგრამ მგონი, ამ მატარებელში ჩემი ადგილი ნაპოვნი მაქვს. მეტიც, განვლილი ცხოვრებით, მიუხედავად იმისა, რომ სიმწარეც ბევრი შემხვედრია, მგონი ვუსწრებ კიდეც ამ მატარებელს და ბედნიერი ვარ, თანაც მოხუცი, 50 წელი უკვე სხვა რამის მიმანიშნებელია...

**— მაინც რისი?**

— ნათქვამია, გული არ ბერდებაო და რომ ვუკვირდები მართლაც ასეა, მაგრამ... გული გულია, გარეგნულად კი ასაკში შესული შევერცხლილი ბაბუა ვარ.

**— ვიცი, რომ ჯერჯერობით ერთი წლის შვილიშვილი გყავთ, თქვენმა ვაჟმა, უმცროსმა შოთა ხინჩაგაშვილმა, ფეხბურთელობა რატომ არ ისურვა?**

— მსურდა, ჩემი ვაჟი ფეხბურთელი ყოფილიყო, მაგრამ მან სწავლა ირჩია და დღესდღეობით წარჩინებული სტუდენტია.

**— დღემდე ფეხბურთით ცხოვრობთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...**

— რუსთავში გავიზარდე „ინტერნატებში“. ისეთი უბანი იყო, ტაქსისტებიც კი უარობდნენ იქ წასვლას. თანატოლები ფეხბურთზე დადიოდნენ, არადა, ეზოში მათზე გამორჩეული ვიყავი. ჰოდა, ერთ დღეს გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი. მიშა თაროზაშვილი იყო მწვრთნელი. პირველივე ვარჯიშზე თავდამსხმელად დამაყენა. მახსოვს, ის მატჩი 2:0 მოვიგეთ და ორივე გოლი მე გავიტანე. წარმოიდგინეთ, რა მოულოდნელი იქნებოდა ჩემთვის, ნამატჩევს მწვრთნელმა რომ მითხრა, ამიერიდან დაცვაში ითამაშებო. ბატონი მიშა მართლაც ალღოიანი მწვრთნელი იყო. დღეს საშუალება მაქვს და მინდა, დიდი მადლობა მოვუხადო ჩემთვის გაწეული ღვაწლისთვის.

რუსთავში თამაშისას თბილისელი მწვრთნელებიც გვესწრებოდნენ. ერთ-ერთი მატჩისას დედაქალაქის ძლიერ გუნდს ვხვდებოდით. ერთი შეხედვით შანსი არ გვქონდა მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ თაროზაშვილი მეტოქე გუნდის მწვრთნელს დაექადნა, დაცვაში ერთი ისეთი ბიჭი მყავს, გოლს ვერ გაგვიტანთო, ასეც მოხდა. ის მატჩი მშრალი ანგარიშით მოვიგეთ და გლდანის საფეხბურთო სკოლაში მიმიწვიეს. ათი წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. დედაჩემს ჩემი ფეხბურთელობის გაგონებაც არ უნდოდა, სამჯერ გააგდო სახლიდან ბატონი მიშა. მეოთხედ მოსვლისას ჯანდაბამდეც გზაც გქონიათო, მოგვაძახა და ჩემი გზაც ასე გამოჩნდა.

**— „დინამოში“ როგორ აღმოჩნდით?**

— გლდანის სპორტსკოლის დამთავრებამდე რუსთავის „მეტალურგში“ ვთამაშობდი. ბევრი სახელოვანი პიროვნება იყო ჩემს გვერდით. აწ გარდაცვლილი თემურ ჩლაიძე, ვოვა ინასარიძე, გია აფციაური, არც კი ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, შეკრული გუნდი გვყავდა. სწორედ „მეტალურგიდან“ მიმიწვიეს „დინამოში“. მახსოვს, 1968 წლის 4 იანვარს „დინამოს“ ახალწვეულთა სია გამოაკრეს, სადაც ბევრი ისეთი ფეხბურთელი ვერ მოხვდა, წინასწარ დარწმუნებულნი რომ იყვნენ წარმატებაში. სიაში ჩემი გვარიც ეწერა, მაგრამ „მეტალურგის“ მაშინდელმა მწვრთნელმა ალიოშა კოტრიკაძემ მოცდა მირჩია. იქ შენს პოზიციაზე ცხოვრებოვი და ჭოხონელიძე თამაშობენ, გირჩევ, ერთი წელი მოითმინოო, მთხოვა კოტრიკაძემ და მეც უსიტყვოდ დავუჯერე. ერთი წლის მერე კი „დინამოში“ აღმოვჩნდი, იმ წელს სულ სამნი მიგვიღეს — მე, დავით ყიფიანი და უნიჭიერესი ნოდარ კვანტალიანი. ვენეციაში გავიარეთ შეკრება, მერე ლესელიძეში ვითამაშეთ ორი საკონტროლო მატჩი და 15 მარტს ჩემპიონატიც დაიწყო. პირველი მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ გვქონდა. წინა დღით დუბლები თამაშობდნენ, მათ რიგებში ვერ მოვხვდი, ლამის ხელი ჩავიქნიე და მეორე დღეს გაოგნებული დავრჩი. ძირითად შემადგენლობაში მეხუთე ნომრად დამასახელეს. ზუსტად მახსოვს, 18 წლის, 9 თვის და 3 დღის ვიყავი, ლამის თავი დავკარგე, თუმც ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა და 2:0 მოვიგეთ. მომდევნო სამ მატჩშიც ძირითადში ვითამაშე და 7 ქულა მოვაგროვეთ. ახლა რომ ვუფიქრდები, ეს ეტაპი ჩემთვის გადამწყვეტი იყო. თავდაჯერება შევიმატე, რაშიც უდიდესი წვლილი „დინამოს“ მაშინდელ თავკაცს, გივი ჩოხელს მიუძღვის.

**— „დინამოს“ შემადგენლობაში ერთადერთი გოლი სათასო ფინალში მოსკოვის „დინამოს“ გაუტანეთ...**

— დაუვიწყარი დღე იყო. იმ მატჩში წესით და რიგით არ უნდა მეთამაშა, მაგრამ ცხოვრებოვს კუნთი დაეჭიმა და მე დამაყენეს. მატჩის წინ გაოცებული დავრჩი. წარმოიდგინეთ, გუნდები მოედანზე გადიან და გასახდელში ლევ იაშინს ვხედავ, ამ ბუმბერაზ პიროვნებას. სიგარეტს აბოლებს, ვითომც არაფერი, ზედიზედ ხუთი ნაფაზი დაარტყა, ნამწვავი გვერდით მიაგდო და მოედანზე გავიდა, 2:0-ს ვაგებდით, როცა პეტრიაშვილმა იაქტიურა მარჯვენა ფლანგზე და მისი ჩაწოდების შემდეგ იაშინს ვარდნაში გავუტანე. სამწუხაროდ, ის მატჩი 2:1 წავაგეთ. იმ შეხვედრიდან კიდევ სიცხიანი სლავა მეტრეველი მახსოვს, მისი რჩევა მართლაც გამომადგა, ისტრიბოვს ახლოს ეთამაშე, დაიბნევაო, მირჩია მეტრეველმა და მეც გასაქანი არ მივეცი მოწინააღმდეგეს.

**— შსმენია, მსაჯებთან არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდაო...**

— უსამართლობას ვერ ვიტანდი. თასების თასის ფინალიც ამიტომ გამოვტოვე. ნახევარფინალში ერთ-ერთი როტერდამელი წაქცეულ გაბელიას ეუხეშა და ვერ მოვითმინე. ის ყვითელი საბედისწერო გამოდგა ჩემთვის...

*საუბარში ბატონი შოთას მეუღლე ქალბატონი ლია ჩაერთო, შეავსო მეუღლის მტკივნეული ეპიზოდის გახსენებით გამოწვეული უკმაყოფილება...*

— შოთა დიუსელდორფში ვერ წავიდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო და მქონდა ბედნიერება, მასთან ერთად მენახა ფინალი [illegible] წერ, რის გამოც [illegible] დაწყევლილ [illegible] გააკრიტიკეს, გუნდი დაალალატა, საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებლად მოიქცაო. მსგავსი ფრაზები ბევრი იყო და წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, ფინალი რომ წაეგოთ ჩვენებს...

— იმ დღეს მართლაც ყველაზე ბედნიერი ვიყავი — სახე გაუბრწყინდა იუბილარს, მეგონა, აეროპორტში პირველი მივედი, მაგრამ ბიჭებამდე ვერ მივაღწიე, უამრავი ხალხი იყო, ლამის შევიშალე ტრაპამდე რომ ვერ მივაღწიე. მართლაც დაუვიწყარი გამარჯვება იყო, თუნდაც ამისთვის ღირს ჩემი ცხოვრება...

**— თქვენთვის ფინალი „ფეიენოორდთან“ იყო.**

— ჰო, ეს მატჩი ჩემთვის ფინალზე მეტი გახლდათ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა როტერდამში. სულიერად არ გავტყდით, თორემ ყველაფერი დამთავრებული იყო. მსგავსი ტენდენციური მსაჯობა დღემდე არ მინახავს, რომ ვუფიქრდები ერთი შეხედვით წარმოუდგენელიც კია, თუ როგორ ვერ გაიმარჯვა „ფეიენოორდმა“, მაგრამ მიზეზი ახსნილი მაქვს, მეტოქე ჩვენმა საოცარმა ჟინმა დათრგუნა; თანაც იმ დღეს სამართალმა იზეიმა და ჩვენ ფინალში გავედით.

**— პოპულარობას თუ გრძნობდით?**

— მახსენდება, შვილები პატარები იყვნენ, ქუჩაში სეირნობისას ხან ერთი უცნობი გადამეხვეოდა, ხან მეორე, ბავშვები მეკითხებოდნენ, მამა, ვინ იყო, მე კი მხოლოდ ერთი პასუხი მქონდა — მათ ფეხბურთი უყვართ...

*ქალბატონი ცაცა რჩეულიშვილი შოთა ხინჩაგაშვილის სიდედრი გახლავთ. დღემდე მის ბინაში ცხოვრობს პოპულარული სიძე. შესაშური ურთიერთობა აქვთ სიძე-სიდედრს. ამაში ამ დახვეწილი მანერების მქონე მანდილოსნის სიტყვებიც დაგვარწმუნებთ.*

— შოთას უაღრესად დიდ პატივს ვცემ, შვილივით მიყვარს. დღემდე საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს. ჩემი სიყვარული იმით დაიმსახურა, რომ უაღრესად ყურადღებიანი და პატიოსანია, მახსოვს, მის სიძეობას არ ვთანხმდებოდი, მაშინაც, უკვე ცნობილი ფეხბურთელი რომ იყო, მაგრამ მისი სახელის გაგონებაც არ მსურდა. ჩემი მეუღლე ფეხბურთის დიდი ქომაგი გახლდათ და როდესაც ლიამაც გააკეთა არჩევანი, შოთას არც ერთი თამაში არ გამომიტოვებია. არ ვიცი, რა იყო, მაგრამ ფაქტია, მისი ბურთთან თითოეული მიკარებისას მარცხენა ხელი მიკანკალებდა, მოკლედ, ბედისწერა იყო...

*შოთა ხინჩაგაშვილი დღეს სფფ-ში სხვადასხვა რანგის ნაკრებების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. მოკლედ, ისევ ფეხბურთშია, მაგრამ, მისი თაობის ბევრი წარმომადგენლის მსგავსად, მწვრთნელობა არ ირჩია...*

— ამას თავისი მიზეზები აქვს. გამოგიტყდებით, მწვრთნელობაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია, მაგრამ 50 წელი არ მაშინებს, ცხოვრება გრძელდება და ვინ იცის, ერთ დღეს გადაწყვეტილება შევცვალო.

**— 50 წლის იუბილეს რა განწყობით ხვდებით?**

— გარდასულ დღეთა ტკბილი მოგონება არ მაკმაყოფილებს, უკეთესი მსურს ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ ფაქტია, დღეს ბევრი რამ არ არის ისე, ჩვენ რომ გვინდა. მახსოვს, „დინამოს“ დუბლების თამაშს 25-30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, დღეს კი ჩვენი საფეხბურთო ქვეყანა გულშემატკივრის და ფეხბურთის დეფიციტს განიცდის. თუ სახელმწიფომ არ მოიბრუნა გული ფეხბურთზე, ისე საქმეს არ ეშველება, მე მაინც მჯერა მომავლის და იმ ამოუწურავი ნიჭის, ქართული ფეხბურთი რომ ჰქვია.

**ბაატა ძგანტალიანი**

**ზურაბ დოლიძეჯაშვილის ფოტოები**



ფოტო ოჯახური ალბომისთვის

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XVI ტური

ზაარბრიუკენი 1:1 ბაბელსბერგი

### დანია

XIX ტური

ოლბორგი 1:1 ოდენსე

### იტალია

სერია B. XVI ტური

მოდენა 0:0 ჯენოა

სერია C1/B. XV ტური

ბენევენტო 3:2 პეზარო

# რეხვიაშვილისთვის ლატვიური ოქრო გაუფასურდა



ალექსანდრე რეხვიაშვილი

**კიდევ** ერთი ლატვიური ოქრო მიუმატა საკუთარ კოლექციას საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა. კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ „სკონტოს" თავკაცები მის გასხვისებაზე, მაგრამ ჩვენებური ისევ რიგაშია. არადა, თითქოს დღე-დღეზე სათამაშოდ ევროპაში უნდა წასულიყო. რიგში ჯერ სერია A-ს „ბოლონია" იდგა, მერე ინგლისის პრემიერლიგის კლუბზეც ითქვა, მაგრამ...

რეხვიაშვილს გუშინ რიგაში ტელეფონით შევეხმიანეთ. ალეკომ ახალი ბევრი ვერაფერი გვითხრა, თუმც ის კი გადაჭრით თქვა, რომ ლატვიის ახლახან დასრულებული ჩემპიონატი მისთვის ბოლო იყო.

— შვებულებაში ვარ და თითქმის არც ვვარჯიშობ. თან იმ წყეულ ტრავმასაც ვიშუშებ, სანაკრებო თამაშებში რომ გავიმიზეზე. რიგის „სკონტოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და სასწაული უნდა მოხდეს, ისევ ლატვიის ჩემპიონატში ვითამაშო. თავად კლუბის თავკაცები არიან ჩემი გასხვისებით დაინტერესებულნი. აშკარაა, აქაურობისთვის უკვე გადავიზარდე. „სკონტოში" მეტს ველარ მოვუმატებ.

ორი-სამი კვირა მჭირდება, რათა სასურველ ფორმაში ჩავდგე. „სკონტო" 20 დეკემბერს იკრიბება და გუნდთან ერთად ვარჯიშს არავინ დამაძალებს. 18 იანვრიდან შეიძლება, ესენგეს თასზე რიგელებთან ერთად ვითამაშო და, ალბათ, „სკონტოსაც" დავემშვიდობები. ახლაც მიწვევს რამდენიმე კლუბი, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ, ცუდად მაქვს დაცდილი.

რაც შეეხება დანარჩენ სკონტოელ ქართველებს, ისინი გუნდში რჩებიან. კი იყო ლაპარაკი დავით ჩალაძის სხვა კლუბში გადასვლაზე, მაგრამ როგორც ვიცი, დათო რიგაში რჩება.

**დათო დანელია**

# გოგა ტყებუჩავამ ვიტ ჯორჯია გაიცნო



**„ვიტ ჯორჯიას"** ახალდანიშნული მწვრთნელი გოგა ტყებუჩავა გუშინ პირველად შეხვდა გუნდს, იგი ფეხბურთელებს გაეცნო და სამომავლო მუშაობის გეგმაზე ისაუბრა . მთავარ მწვრთნელს „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია, თუმც არც ეს ჩანს შორეული მომავლის საქმე. ტყებუჩავას გუნდისთვის მიზნები ჯერჯერობით არ დაუსახავს, მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ მუდამ ამბიციური ვეტერინარები ზექვსეულში მოსახვედრად იბრძოლებენ.

გუნდში ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველია, თუმც სიახლეებიც შეინიშნება. კერძოდ, „ვიტ ჯორჯია" სამ ახალგაზრდა ფეხბურთელს დროებით შეელია. დავით ტყებუჩავა, ლევან კვარაცხელია და დავით სტურუა სეზონის წინ „ვიტ ჯორჯია 2"-ის განაცხადში შეიყვანეს, თუმც მათ ძირითად გუნდშიც მოასწრეს თამაში. კერძოდ, ტყებუჩავამ და სტურუამ საქართველოს თასზე მოირგეს მწვანე მაისური, ლევან კვარაცხელია კი ჩემპიონატის მატჩებშიც გამოჩნდა რამდენჯერმე ვეტერინართა შემადგენლობაში. თუმც ეს ფეხბურთელები კლუბმა სეზონის ბოლომდე უმაღლეს ლიგაში გადასვლის მოსურნე თსუ-ს ათხოვა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამიერიდან სტუდენტებს წყალტუბოს „სამგურალის" პერსპექტიული ახალგაზრდა თავდამსხმელი გიორგი მიქაძეც დაეხმარება. მიქაძე კონტრაქტით თსუ-ს ეკუთვნის, ხოლო „სამგურალში" განათხოვრების წესით თამაშობდა და ჩემპიონატში იმერული კლუბის გამოსვლის ფონზე საკმაოდ კარგადაც. თსუ-მაც მისი დაბრუნება გადაწყვიტა.

**კახა შალამბერიძე**

# კიდევ ერთხელ? დინამო–გოგობერიშვილი

**ეს ეს არის,** ჩვენს ჩემპიონატში მობურთალი ფეხბურთელები არდადეგებს შეუდგნენ, თუმც კლუბების ხელმძღვანელებისთვის შვებულებისთვის შესაფერისი დრო ჯერ არ დამდგარა — სატრანსფერო სეზონი, შეიძლება ითქვას, უკვე დაიწყო.

ძნელი დღეები უდგას თბილისის „დინამოს", მისთვის უჩვეულო მეექვსე ადგილზე მოკალათებულა და შველას ითხოვს. არადა, მაძღარი კლუბია „დინამო" და გაცილებით უკეთესი შედეგიც მართებს. „დინამოს" თავკაცობამ რახანია თვალი დაადგა ერთ ფეხბურთელს — ჯერ კიდევ მეცამეტე ეროვნულის დაწყებამდე დინამოელებს ვიტჯორჯიელი ალეკო გოგობერიშვილის გადაბირება სურდათ. მაშინ ვეტერინართა ხელმძღვანელობამ გოგობერიშვილში 150 000 დოლარი მოითხოვა, რაც ათგზის ჩემპიონებს ეძვირათ.

24 წლის ალეკო გოგობერიშვილი უნივერსალური ფეხბურთელის ტიპია, ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზეც შეუძლია თამაში და დაცვაშიც. თავის დროზე ის „დინამო 2"-ში გამოდიოდა, მერე „მერანში" (1996-97), საიდანაც გაიცნო ის ქართულმა საფეხბურთო სამყარომ. 1997-98 სეზონში გოგობერიშვილი „დინამოში" დაბრუნდა, ცხადია, პირველ გუნდში — იმ გარიგებით „მერანმა" მაშინ 30 000 დოლარით იხეირა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გოგობერიშვილი კვლავ გამოეთხოვა „დინამოს".

ახლა კი კვლავ ცდილობს „დინამო" ამ ფეხბურთელის თავისთან გადაყვანას, თუმც გოგობერიშვილი „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მწვრთნელის ჯანი კარნევალისგან და მენეჯერ გამბაროსგანაც ელის ტრანსფერის ვარიანტებს. ყოველივე ამის შესახებ თავად ალეკოს შევეხმიანეთ.



ალექსანდრე გოგობერიშვილს (მარცხნივ) თვალი „დინამომ" დაადგა

— იტალიაში საცაა გაიხსნება სატრანსფერო სეზონი და ალბათ, კარნევალი და გამბაროც შემეხმიანებიან. რაც შეეხება თბილისის „დინამოს" შემოთავაზებას, ამის შესახებ მეც გავიგე, მაგრამ პირადად არავინ დამლაპარაკებია „დინამოდან".

**— იტალიის სერია B-ში რომ გამოჩნდეს შენი მოსურნე კლუბი და „დინამომაც" რომ შემოგთავაზოს ტრანსფერი, რომელს აირჩევდი?**

— ჯერ ის უნდა ვიცოდე, კონკრეტულად ვინ რას შემომთავაზებს. ისე, „დინამო" მაინც „დინამოა" და ხელაღებით ამ გუნდში თამაშზე უარს არ ვიტყოდი. ერთი სიტყვით, გამორიცხული არაფერია.

**დავით თავართქილაძე**

# ოსეთი ან იმერეთი გრიშიკაშვილი კარს ეძებს

**ბორისოვის „ბატესთან"** რომ პირწმინდად შერცხვა „დინამო", გივი ნოდიამ მთავარ დამნაშავედ გუნდის მეკარე სოსო გრიშიკაშვილი ცნო — მას შემდეგ გრიშიკაშვილი „დინამოს" სამატჩო განაცხადში აღარ მოხვედრილა. საშემოდგომო ეტაპის დამთავრების შემდეგ კი ერთ დროს ეროვნული ნაკრების კარის დარაჯი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

სოსო გრიშიკაშვილს ახალი კლუბი ჯერ არ მოუძებნია, თუმც ეს დიდად არ უნდა გაუჭირდეს. როგორც შევიტყვეთ, მისით დაინტერესებულნი არიან ქუთაისის „ტორპედო" და ვლადიკავკაზის „ალანია". შეგახსენებთ, რომ სოსო გრიშიკაშვილი ორჯერ უკვე იყო ოსური კლუბის წევრი — 1995 და 1999 წლებში, თუმც რუსეთის უმაღლეს ლიგაში ოდენ სამი მატჩი აქვს ჩატარებული.

**დავით თავართქილაძე**



სოსო გრიშიკაშვილი, შესაძლოა, „ალანიას" დაუბრუნდეს


ქართულის ფეხბურთის ვარსკვლავთმრიცხველმა
რევაზ შენგელიამ მეათედ გამოსცა
**ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი.**
12 ეროვნული ჩემპიონატის სრული სტატისტიკა,
უმაღლესი პირველი და რეგიონული ლიგის კლუბთა
შარშანდელი შედეგები და წლევანდელ
**მონაწილეთა განაცხადები**
გუნდური ფოტოებით და პორტრეტებითურთ.
2000-01 წლების ჩემპიონატის შედეგები და
თასის გათამაშების ყველა მატჩი,
**საქართველოს ნაკრების შეხვედრები,**
ევროპის საკლუბო ტურნირები და მსოფლიოს
ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები.
ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის შესახებ
**5 ლარად**



## ინგლისი

### XVI ტური

**სანდერლენდი 0:0 ჩელსი**

სანდერლენდი: სორენსენი, გრეი, დ. უილიამსი, ტომე, მაკკარტნი, არკა, ტირლველი, გევინ მაკკენი, კილბეინი, ლასლანდი (ნ. ქუინი 68), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, ტერი, გალასი, მელხიოტი, სტანიჩი, იოკანოვიჩი, დალა ბონა, ლამპარდი, ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ფორსელი 89)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: არკა, სტანიჩი, დალა ბონა, იოკანოვიჩი
მსაჯი: ბერი
43 017 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 1:0 ბოლტონი**

1:0 კრისტი (66)
დერბი ქაუნთი: პოომი, გრენე, მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავანო, დიუკრო, კარბონე (ბოლდერი 85), დ. პაუელი, რავანელი, კრისტი (დ. ბარტონი 88)
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, უიტლოუ, ბერგსონი, ჩარლტონი, გარდნერი, ფრანდსენი (ფარელი 58), ვარჰურსტი (კ. ჯონსონი 78), ნოლანი, უოლქსი (ჰოლდსუორთი 70), რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: გარდნერი, უიტლოუ, ფრანდსენი, ვარჰურსტი
მსაჯი: მესიასი
25 712 მაყურებელი

**არსენალი 3:2 ასტონ ვილა**

0:1 მერსონი (21), 0:2 სტოუნი (34), 1:2 ვილტორდი (46), 2:2, 3:2 ანრი (72, 90)
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, აშლი (კოული 46), ს. კემბელი, ეშლი კოული, ვიეირა, ლიუნგბერგი (ვილტორდი 46), პარლოუ, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ნ. კანუ 67)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ასტონ ვილა: ენკელმანი, ჯ. სამუელი, ა. რაიტი, მელბერგი, სტოუნი, სტონტონი, ჯ. ბოატენგი, ბერი (ვასელი 78), ლ. ჰენდრი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ლორენი, ვიეირა, ბერხკამპი, ანრი
მსაჯი: უილი
38 074 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:2 ლიდსი**

0:1, 0:2 კოუელი (55, 62), 1:2 ბერგი (83)
ბლექბერნი: ფრიდელი, კერტისი (გრაბი 61), ბერგი, შორტი (იოჰანსონი 61), ნაილი, გილესპი, თუგაი, დანი, მაჰონი, იანსენი, დაფი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ლიდსი: მარტინი, მილსი, დაბერი, რ. ფერდინანდი, ჰარტი, დაკური (უილკოქსი 66), გ. კელი, ბეტი, კოუელი, ვიდუკა, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: შორტი, ჰარტი, კელი, მილსი, ბეტი, ფაულერი
მსაჯი: დურსო
28 309 მაყურებელი

**იფსვიჩი 0:1 ნიუკასლი**

0:1 სოლანო (20)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ფინიდი (პერალტა 67), ჰოლანდი, ჯ. რაიტი (ნეილორი 84), კლაპამი, ა. არმსტრონგი (კუნაგო 67), მ. ბენტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, რ. ელიოტი, სოლანო (დაიერი 81), ლი, სპიდი, რობერი (ბერნარდი 59), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: მაკგრილი, კუნაგო, ჰრეიდარსონი, რობერი
მსაჯი: სტაილზი
24 748 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:1 ტოტენჰემი**

1:0 სტიუარტი (4), 2:0, 3:0 ლისბი (19, 78), 3:1 პოიეტი (85)
ჩარლტონი: დ. კელი, ჟორჟე კოშტა, ფორტუნე, ფიში, კ. პაუელი, იანგი, გ. სტიუარტი (ბარტუილიამსი 82), პარკერი, იენსენი (კონჩესკი 88), იუელი (ჯ. იოჰანსონი 82), ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, რიჩარდსი, კინგი, ტარიკო, ს. დევისი (შერვუდი 67), პოიეტი, ბუნიევჩევიჩი (ივერსენი 46), ანდერტონი, შერინგემი, რებროვი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: იანგი, კელი, ლისბი, ტარიკო
მსაჯი: დანი
25 125 მაყურებელი

# ფრენა ქმარს ასწავლე, ვიქტორია!


REUTERS ბლექბერნიდან

ბლექბერნი — ლიდსი. მასპინძელთა კაპიტანმა ჰენინგ ბერგმა მარკ ვიდუკას გადასწრება თავზე გადახტომით სცადა

**ფულემი 2:0 ევერტონი**

1:0, 2:0 მეილსი (36, 50)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, კოლინზი, მალბრანკი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, საჰა (შ. დევისი 79), მეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ევერტონი: სიმონსენი, უოტსონი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, გესკოინი (ალექსანდერსონი 58), ჯემილი, ნეისმიტი, პემბრიჯი, გრაველსენი (მური 73), რაძინსკი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: მელვილი, ლეგვინსკი, მეილსი, ვეირი, პისტონე, სტაბსი, სიმონსენი, ვეირი
გაძევება: ვეირი (77), ბოა მორტე (77)
მსაჯი: დაუდი
19 338 მაყურებელი

**ლესტერი 0:4 საუთჰემპტონი**

0:1 სვენსონი (12), 0:2 ბიტი (64), 0:3 სვენსონი (75), 0:4 პახარსი (90)
ლესტერი: ი. უოქერი, მარშალი (იზეტი 57), დავიდსონი, შითი, ფ. სინკლერი, იმპი, სევიჯი, უაიზი, როჯერსი (ოუქსი 80), აკინბაი (დინი 64), სკოუკროფტი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, პ. უილიამსი, ლუნდეკვამი, ტელფერი, ოკლი (დელაპი 86), სვენსონი, მარსდენი, ბიტი, პახარსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: იზეტი
მსაჯი: პოლი
20 231 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 მიდლსბრო**

1:0 ოუენი (27), 2:0 ბერგერი (45)
ლივერპული: დუდეკი, ანშო, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, მერფი, ბერგერი, ჰამანი, მაკალისტერი, ოუენი (ჰესკი 77), ლიტმანენი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
მიდლსბრო: კროსლი (ბერესფორდი 18), საუთგეიტი, ეჰიოგუ, კუპერი, კედრუ, მასტო, გრონინგი, იბსი, ჯონსტონი (უილსონი 46), ბოკშიჩი, ნემეტი (რიკარდო 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კედრუ, კუპერი
მსაჯი: გალაჰერი
43 675 მაყურებელი

**მანჩესტერი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 დეფო (64)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ოში, სილვესტრი, ფ. ნევილი, ჩედვიკი (ბექჰემი 59), ბათი (ენდი კოული 69), როი კინი, სქოულზი, იორკი (ფორჩუნი 81), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეპკა, დეილი, შეპლი, ტ. სინკლერი, კარიკი, ჰათჩისონი, ჯ. კოული, უინტერბერნი, დი კანიო, დეფო (კამარა 84)
გაფრთხილება: ბათი, ოში, კინი, სქოულზი, გ. ნევილი, შეპლი, ჰათჩისონი, დი კანიო
მსაჯი: დარკინი
67 582 მაყურებელი

**ᲬᲘᲜᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ** ამბობდნენ, რომ რაც პრემიერლიგა არსებობს, „მანჩესტერს" ჯერ ისე არ წაუგია შინ, რომ გოლი არ გაეტანოს. ასევე ამბობდნენ, რომ ის გუნდი, რომელსაც შობამდე ხუთჯერ წაუგია, პრემიერლიგის ჩემპიონი არასოდეს გამხდარა. ახლა „მანჩესტერმა" ზედიზედ მეორედ წააგო შინ ისე, რომ გოლი არ გაუტანია. შობამდე ორი კვირაა და უკვე 6-ჯერ დამარცხებულა, ხოლო ლიდერ „ლივერპულს" ნახევარი სიცოცხლით ჩამორჩება.

მორიგი მძლეველი „ვესტ ჰემი" იყო. პაოლო დი კანიო საჯარიმოში დატრიალდა, ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, იქ კი ინგლისის ახალმა იმედმა ჯერმენ დეფომ თავით გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი. ჯო კოულმა პირდაპირ გაათახსირა მანჩესტერელი მცველები, რომელთა რიგებშიც ცხვირგატეხილი ლორან ბლანის ნაცვლად სრული დებიუტი ჰქონდა ჯონ ოშის.

„აკი ვამბობდი, რომ ჩემპიონები ვეღარ გავხდებით — თქვა მატჩის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა — გუნდი საზიზღარ ფორმაშია და სისხლის გადასხმა სჭირდება".

იმ კვირაში ზედიზედ მეორედ დასვენებულ დევიდ ბექემს მაინც მოუწია მოედანზე გასვლა, ხუან ვერონი კი ეგრეც არ გამოჩენილა. თამაშის დღევე გახმიანდა ერთი ამბავი, რომლის მიხედვითაც სერ ალექსის ორი ირლანდიელი ძმაკაცი, მისტერ მაკმანუსი და მისტერ მანიერი „მანჩესტერის" აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვას ლამობენ და თუ ეს მოახერხეს, იმდენ ფულს შესთავაზებენ სვენ გორან ერიქსონს, რომ ის ნაკრებს მიატოვებს და „ოლდ ტრეფორდზე" მივა მენეჯერად. თუ ეს არ გამოვა და, მაშინ დახმარებას ისევ ალექსს სთხოვენ — გენერალურ მენეჯერად დანიშნავენ, მწვრთნელის პოსტს კი სტივ მაკლარენს შესთავაზებენ.

კლუბის მესვეურთა უმრავლესობა წარუმატებლობათა სერიას სწორედ ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობას უკავშირებს. იციან, ალექსი მიდის და თავიანთი მომავლის გამო სულიერ დისკომფორტს განიცდიანო.

მაგრამ ჯერ ის გავატაროთ, ვინც სულიერ დისკომფორტს არ განიცდის და 10-წლიანი შესვენების შემდეგ ეზომება ტიტულს. საკვირველია, მაგრამ „ლივერპულს" სალიგო ქულა არ დაუკარგავს, რაც მენეჯერი ლოგინად ჩაუვარდა.

გაუგებრობა არც ამჯერად მომხდარა. ფილ ტომპსონის დაქოქილმა მანქანამ დიდი თავისტკივილის გარეშე იმარჯვა „ენფილდზე". მაიკლ ოუენმა კი თავის 119-ე ლივერპულურ მატჩში 99-ე გოლი გაიტანა, თანაც არატიპიური — საჯარიმოს გარედან დაუჯახა ბოროელთა შემცვლელ მეკარე ბერესფორდს, რომელიც მოედანზე მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ძირითადი დარაჯი კროსლი გარი მაკალისტერთან შეჯახების შემდეგ დაშავდა. ბერესფორდს მეორეც საჯარიმოს გარედან გაუტანა პატრიკ ბერგერმა. ახლა „ლივერპულს" თამაში ხელში აქვს და უახლოეს მდევარს 3 ქულით უსწრებს.

„ლიდსმა" „ელანდ როუდზე" 3 ქულა გამოგლიჯა „ბლექბერნს", ოღონდ ეს მოგება მეორე ადგილზე დასამკვიდრებლად არ ეყო, რადგან ტიერი ანრიმ და მისმა ფრანგმა ამხანაგებმა დიდი ხმალაობით შემოატრიალეს თამაში „ჰაიბერიზე", სადაც „ასტონ ვილას" გადაეწყვიტა მოგებასდანატრებული თავისი ფანობა ლონდონიდან გაემხნევებინა.

ტურის ულამაზესი თამაშიც ეს იყო. პირველი ტაიმი ჯონ გრეგორის ხალხმა მოიგო. „ჰაიბერის" ძველმა გმირმა პოლ მერსონმა ეშმაკური დარტყმით დააწინაურა სტუმრები. ამას კი სტივ სტოუნის მუშური გოლი მოჰყვა, რაც დიონ დაბლინის მახვილგონიერების ნაყოფი უფრო იყო. მაგრამ მაინც ბევრს ნიშნავს, რომ ანრის კარგად ესმის პირესის, ვილტორდის და ვიეირასი. „ასტონ ვილას" კი სწორედ რომ ბედად არა ჰყავს კარში დაშავებული ლომი პიტერ შმაიხელი. ომი დიდი იყო და გამარჯვებაც იმას დარჩა, ვინც ამოსუნთქვას არ ცდილა.

„მეკარე რომ ერთ თამაშში სამჯერ გამოაძრობს ბურთს კარის ხაზიდან, ის გუნდი აღარ წააგებს" — თქვა დანანებით „სანდერლენდის" მენეჯერმა პიტერ რიდმა და ამით განმარტა კიდეც, რატომ დასრულდა მისი გუნდისა და „ჩელსის" მატჩი უგოლოდ. მეკარე კი კარლო კუდიჩინი იყო. მან საკუთარი მცველების ფეხიდან აჭრილი ბურთიც კი არ გაუშვა კარში, არათუ კევინ ფილიპსის პენალტი და მისივე ერთი თითქმის აუღებელი.

ამასობაში კვირის გმირი შეიქნა „ჩარლტონი", რომელმაც ოთხშაბათს „ჩელსი" წამოაქცია კევინ ლისბის გვიანი გოლით, შაბათს კი იმავ ლისბის დუბლით გატეხა „ტოტენჰემი", რომლის გუსტავო პოიეტმა მე-9 მატჩში მე-7 გოლი კი შეაგდო, მაგრამ უკვე მაშინ, როცა მისიანები 0:3-ს აგებდნენ. „ჩარლტონს" კი დიდაქალაქელ ბობოლათა მძლეველის სახელი გავარდა: ადრე „არსენალსაც" მოუგო, ამ კვირაში კი ორი სხვა ზედ დაამატა.

მალკოლმ კრისტიმ საუცხოო გოლით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ერთადერთი ვარსკვლავია „დერბიში" და კენტგოლიანი მოგებით თავის კლუბს იმედი ჩაუსახა.

სამეულს მიუჩოჩდა „ნიუკასლიც", „იფსვიჩი" კი მთლად წყალმა წაიღო. „ევერტონი" „კრეივენ კოტეჯზე" გაწიწკნეს და ესეც არ აკმარეს, კაპიტანი დევიდ ვეირი წიხლით უცემეს, რასაც მისივე გაძევება მოჰყვა. მართალია, ფულემელი ლუიშ ბოა მორტეც როგორც ინციდენტის წამომწყები თან მიჰყვა წაგებულთა მცველს, მაგრამ მერსისაიდელთა მენეჯერი უოლტერ სმიტი ამან ვერ დააწყნარა და მსაჯი ფილ დაუდი ალანძღვინა: „ვეირი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც არასოდეს ცდილა, წაქცეულს ბურთი ფეხებით დაეჭირა და ამისთვის გაფრთხილება დაემსახურებინა. მსაჯი ახლაც ვერ ხვდება, რა ჩაიდინა. უდანაშაულო კაცს წიხლებით შედგნენ და მან ეს კაცი გააძევა, როგორც ჩხუბისთვის ბიძგის მიმცემი".

ინგლისში ცივა, მაგრამ სტადიონებზე ცხელა ისევე, როგორც წიგნის მაღაზიებში, სადაც საშობაო საჩუქრად ვიქტორია ბექემის წიგნს „ისწავლეთ ფრენა" გირჩევენ. საკვირველია, ეს ქალი მაშინ ასწავლის ფრენას სხვებს, როცა მისი ქმარი მინდორზეც აღარ დადის და მთელი დღეები ტრიბუნაზე უხდება ჯდომა.

**ირაკლი გამყრელიძე ლონდონიდან**

| № | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლივერპული | 14 | 10 | 2 | 2 | 25:11 | 14 | 32 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 16 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 9 | 16 |
| 2 არსენალი | 15 | 8 | 5 | 2 | 33:17 | 16 | 29 | 7 | 3 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 11 | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 12 | 18 |
| 3 ლიდსი | 15 | 7 | 7 | 1 | 18:9 | 9 | 28 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 9 | 4 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 16 |
| 4 ნიუკასლი | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 7 | 27 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 ჩელსი | 16 | 5 | 9 | 2 | 19:12 | 7 | 24 | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 2 | 10 | 9 | 3 | 5 | 1 | 11:6 | 5 | 14 |
| 6 ასტონ ვილა | 16 | 6 | 6 | 4 | 21:18 | 3 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 12:13 | -1 | 9 |
| 7 ტოტენჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:23 | 2 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:13 | 3 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 |
| 8 ფულემი | 15 | 5 | 7 | 3 | 17:13 | 4 | 22 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 9 მანჩესტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 31:27 | 4 | 21 | 8 | 4 | 1 | 3 | 15:10 | 5 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 16:17 | -1 | 8 |
| 10 ჩარლტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | -1 | 10 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 11 |
| 11 ევერტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:19 | 1 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 6 | 14 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 6 |
| 12 ბოლტონი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 20 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 8 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 4 | 12 |
| 13 სანდერლენდი | 16 | 5 | 5 | 6 | 13:15 | -2 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:7 | -4 | 5 |
| 14 ბლექბერნი | 16 | 4 | 7 | 5 | 22:19 | 3 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 |
| 15 მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 17:22 | -5 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:12 | -1 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 16 ვესტ ჰემი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:28 | -10 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 3 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:23 | -13 | 8 |
| 17 საუთჰემპტონი | 15 | 4 | 1 | 10 | 15:24 | -9 | 13 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 | 9 | 3 | 0 | 6 | 9:12 | -3 | 9 |
| 18 დერბი ქაუნთი | 15 | 3 | 4 | 8 | 11:24 | -13 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:9 | -1 | 12 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:15 | -12 | 1 |
| 19 ლესტერი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:29 | -20 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 4:16 | -12 | 6 | 8 | 2 | 1 | 5 | 5:13 | -8 | 7 |
| 20 იფსვიჩი | 16 | 1 | 6 | 9 | 14:25 | -11 | 9 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:13 | -5 | 5 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 11 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 10 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 7 |
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 7 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 7 |

**XVII ტური**
**15 დეკემბერი**

ასტონ ვილა - იფსვიჩი
ბოლტონი - ჩარლტონი
ჩელსი - ლივერპული
ევერტონი - დერბი ქაუნთი
ლიდსი - ლესტერი
მიდლსბრო - მანჩესტერი
ნიუკასლი - ბლექბერნი
საუთჰემპტონი - სანდერლენდი
ტოტენჰემი - ფულემი
ვესტ ჰემი - არსენალი

## პირველი დივიზიონი

### XXIII ტური

**ქოვენთრი 0:2 უოტფორდი**
0:1, 0:2 გლასი (74პ, 87)

**პრესტონი 2:3 ბარნლი**
0:1 გნოერი (17), 0:2 ლიტლი (25), 1:2 მაკკენა (29), 2:2 ალექსანდერი (41პ), 2:3 გნოერი (61)

**ბარნსლი 4:1 უოლსოლი**
1:0 შერონი (26), 2:0 დაიერი (40), 3:0 დონოვანი (52), 3:1 არანალდე (63), 4:1 შერონი (82)

**ბირმინგემი 4:0 ნორვიჩი**
1:0, 2:0 მუნი (30, 45), 3:0 მარსდენი (46), 4:0 მუნი (68პ)

**ბრედფორდი 3:1 როტერჰემი**
1:0, 2:0 ბლეიქი (55პ, 57), 2:1 სკოტი (74), 3:1 უორდი (82)

**კრისტალ პალასი 2:1 მანჩესტერ სიტი**
1:0 ფრიდმანი (31), 2:0 კოროგკი (45), 2:1 გოტერი (68)

**ნოტინგემი 2:2 ჯილინგემი**
0:1 შოუ (5), 1:1, 2:1 ჯონი (21, 64), 2:2 შოუ (70)

**პორტსმუთი 2:4 ქრიუ**
0:1 ჰალსი (9), 0:2 სოდჯე (29), 1:2 ლოველი (44), 1:3 ჩერნოკი (65), 1:4 ლანტი (68), 2:4 კრუში (81)

**შეფილდ უენსდი 1:1 მილუოლი**
1:0 ეკოკუ (49), 1:1 სადლიერი (89)

**სტოკპორტი 1:2 უიმბლდონი**
0:1 კუპერი (1), 0:2 კონორი (32), 1:2 უილბრეჰი (42)

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 შეფილდ იუნაიტედი**
0:1 ასაბა (90)

**გრიმსბი 1:1 ვულვერჰემპტონი**
1:0 ჯევონსი (2), 1:1 გროვსი (7ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:31 | 46 |
| ვულვზი | 22 | 12 | 6 | 4 | 34:17 | 42 |
| სიტი | 22 | 12 | 3 | 7 | 51:33 | 39 |
| ნორვიჩი | 23 | 12 | 3 | 8 | 31:32 | 39 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 12 | 2 | 8 | 25:19 | 38 |
| კრ. პალასი | 22 | 12 | 1 | 9 | 45:33 | 37 |
| ქოვენთრი | 22 | 11 | 4 | 7 | 28:21 | 37 |
| პრესტონი | 23 | 9 | 9 | 5 | 39:30 | 36 |
| მილუოლი | 22 | 10 | 5 | 7 | 38:28 | 35 |
| ბირმინგემი | 22 | 9 | 6 | 7 | 37:30 | 33 |
| პორტსმუთი | 23 | 9 | 6 | 8 | 36:35 | 33 |
| უოტფორდი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:26 | 32 |
| ბრედფორდი | 23 | 9 | 5 | 9 | 43:41 | 32 |
| ნოტინგემი | 23 | 7 | 9 | 7 | 26:23 | 30 |
| ჯილინგემი | 23 | 8 | 6 | 9 | 34:32 | 30 |
| შეფილდი | 23 | 7 | 9 | 7 | 25:27 | 30 |
| უიმბლდონი | 23 | 7 | 8 | 8 | 38:37 | 29 |
| ქრიუ | 23 | 7 | 7 | 9 | 24:36 | 28 |
| როტერჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:37 | 25 |
| უენსდი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:36 | 23 |
| ბარნსლი | 23 | 5 | 6 | 12 | 30:48 | 21 |
| გრიმსბი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:43 | 21 |
| უოლსოლი | 23 | 5 | 5 | 13 | 24:40 | 20 |
| სტოკპორტი | 23 | 2 | 6 | 15 | 22:51 | 12 |

## მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი: რედინგი — ბრისტოლი 0:2

## მესამე დივიზიონი

გადადებული მატჩი: ჰარტლპული — ლუტონი 1:2

# ცეკვა კაკაური

## გერმანია

### XVI ტური

### ფრაიბურგი 0:0 კიოლნი

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, ა. ცაიერი, ჰერმელი (კელი 68), ვილი, კობიაშვილი, ვ. ბუტი (კულიბალი 63), რამდანე (ბრუნსი 75), იაშვილი, სელიმი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
კიოლნი: პრიოლი, ცელვეგერი, სიხონი, სონგი, კულმანი, ბალიტში, კელერი (კრიიცი 72), ლოტნერი, ტიმი (შერცი 90), შპრინგერი, კურტი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: დიარა, სელიმი, კულმანი, ლოტნერი, კელერი, სონგი
მსაჯი: ვაკე
25 000 მაყურებელი

### ბაიერნი 3:3 ვოლფსბურგი

1:0 პიზარო (11), 2:0 ელბერი (17), 2:1 მარიჩი (44), 2:2 კუპბაუერი (52), 3:2 პიზარო (56), 3:3 მარიჩი (70)
ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ტიამი, ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი (იანკერი 75), შოლი (სერჯიო 60), ელბერი, კ. პიზარო (ციკლერი 69)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ფრანცი, შნოორი (რაუ 25), კარჰანი, კუპბაუერი, დ. მუნტიანუ, პონტე (მარბეი 90), პეტროვი, ტ. მარიჩი (კლიმოვიჩი 83)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, ლიზარაზუ, კუპბაუერი, ფრანცი, კრიგერი, მუნტიანუ
მსაჯი: კოობი
37 000 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:0 ჰამბურგი

1:0 რიკენი (50)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი (იურგენ კოლერი 46), ევანილსონი, როიტერი, დედე, რიკენი, იან კოლერი, როსიცკი (სტევიჩი 84), ევერტონი, ამოროზო (ჰაინრიხი 66)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, მალტრიცი (კუტელაერი 80), იუფფალუში, ჰოლერბახი, ტოფტინგი, ალბერტცი, ბენჯამინი (მაჰდავიკია 72), პრეგერი, ბარბარეზი, მეიერი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ვიორნსი, ბენჯამინი, ბარბარეზი, ჰოლერბახი
მსაჯი: ფლაიშერი
67 500 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:2 ნიურნბერგი

0:1 კაკაუ (26), 1:1 ზე რობერტო (27), 1:2 კაკაუ (58), 2:2 სებესკენი (62), 3:2 ბალაკი (63), 4:2 ნოივილი (85)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, ბ. შნაიდერი, პლასენტე, რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი (სებესკენი 46), კირსტენი (ბერბატოვი 71), ნოივილი (ბრდარიჩი 86)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ნიურნბერგი: კამპა, სანე, შტილე, ტავკარი, ვიბლიშაუზერი, პასლაკი (ჟუნიორი 88), ლ. მიულერი, ლარსენი, იაროლიმი (სტოილოვი 71), კაკაუ, მიხალკე (გომისი 80)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ბალაკი, შნაიდერი, შტილე, კაკაუ
მსაჯი: ვაგნერი
22 500 მაყურებელი

### შალკე 0:0 ჰერტა

შალკე: რეკი, ჰაიტო, უდე კამფუისი, ვალდოხი (მატელანი 46), ვან კერკჰოვენი, ვან ჰოოგდალემი, ვერმანტი (აგალი 56), მიოლერი, ბიომე, ასამოა (ვილმოტსი 75), სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰერტა: ფიდლერი, ლაპაჩინსკი, რემერი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, მაასი, შმიდტი, ტრეჩოკი, გოორი (ჰარტმანი 52), ნოიენდორფი (დაეი 80), მარსელინიო (პრეცი 87)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ვან ჰოოგდალემი, ლაპაჩინსკი, ნოიენდორფი, ტრეჩოკი, ვან ბურიკი
მსაჯი: შტაინბორნი
60 204 მაყურებელი

### ზანქტ პაული 0:3 ვერდერი

0:1 სკრიპნიკი (19პ), 0:2 აილტონი (55), 0:3 ბოროვსკი (70)
ზანქტ პაული: ბულატი, ამადუ, სტანისლავსკი, გიბსი, ტრულსენი (კონეცკე 59), ბელდი, ბიურგერი, რანი, ინჩემანი (ბარისი 43), მარკაო (სენჩი 59), რატი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, კრსტაიჩი, ფრინგსი, ტიკუზუ, ბოროვსკი (ბანოვიჩი 81), სკრიპნიკი (ბლანკი 85), ლისტეში, აილტონი (კლასნიჩი 76), ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: რანი, ბელდი, ბიურგერი, ლისტეში, კრსტაიჩი, ბოროვსკი
მსაჯი: ალბრეხტი
19 617 მაყურებელი

### კოტბუსი 0:2 კაიზერსლაუტერნი

0:1 მარშალი (30), 0:2 ლინკოლნი (47)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი (კალუგინ 73), ბეეკა, ჰუჯოროვიჩი, აკრაპოვიჩი, შრიოტერი, ვაგრეჩეკი, რეგეკამპფი, მირიუტა, ვინჩე (ბრაზილია 70), კობილანსკი (ლაბაკი 59)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
კაიზერსლაუტერნი: ვაიდენფელერი, ჰ. კოხი, ჰენგენი, ვესტი, ჰ. რამზი, რატინიო (რიდლი 46), ბასლერი, მალცი, ლინკოლნი (ლოკვენცი 73), კლოზე, მარშალი (ბიელიცა 89)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: შებოკი, ჰუჯოროვიჩი, მირიუტა, ჰენგენი, რატინიო, მარშალი, რამზი
მსაჯი: ფროილიხი
13 020 მაყურებელი

### შტუტგარტი 0:1 მიუნხენი

0:1 დეედენი (65)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკუში (ადემარი 82), ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი, გლები (ტიფერტი 88), ბალაკოვი, ზაიცი, განეა
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა, ელერსი, ტ. ჰოფმანი, დეედენი, ფ. ტაპალოვიჩი (ვიზინგერი 70), ჩერნი, ბიროფკა, ჰესლერი (ბიურკი 88), შროტი, მაქსი (შუკერი 70)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: ბიროფკა, ჰესლერი, ვოტავა, ელერსი, ჩერნი, შროტი
მსაჯი: კემლინგი
22 000 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 0:2 ჰანზა

0:1 რიდლევიჩი (12), 0:2 არვიდსონი (73)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში, მიუნხი, ნილსენი, შტასინი (ვიტეჩეკი 46), ულიხი (კლუგე 59), კორზინეცი (კოუნცელი 61), ვან ჰუდტი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰანზა: შობერი, იაკობსონი, ლანგე (ბენკენი 87), შრიოდერი (ოსვალდი 34), ემარა, ვიბრანი, ლანცი, იასერი (ჰირში 85), რიდლევიჩი, არვიდსონი, ბაიერლე
მწვრთნელი: მიხაელ შლიუნცი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ვან ჰუდტი, პლეტში
გაძევება: კორელი (17)
მსაჯი: მერკი
24 600 მაყურებელი



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ვოლფსბურგი. ჯოვანი ელბერის ამ გოლის შემდეგ მიუნხენელთა გამარჯვება თითქოს გარდაუვალი ჩანდა...

**მიუნხენის „ბაიერნი“** უკვე ზედიზედ მეოთხე ტურია ვეღარ იგებს. ასეთი რამ ოტმარ ჰიცფელდის დროებაში ჯერ არ მომხდარა. შედეგად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები ცხრილში მეოთხე ადგილამდე დაქვეითდნენ. რაიმე კრიზისზე ლაპარაკი ალბათ, ჯერ უადგილოა, მაგრამ ფაქტია, ცხრამოგებიანი ფანტასტიკური სერიის შემდეგ ჩემპიონებს გაუჭირდათ.

გერმანელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მიუნხენელთა წაფორხილების მთავარი მიზეზი თავდამსხმელების უხეირო თამაშია. ტრავმების, გადაღლისა თუ სხვა მიზეზთა გამო „ბაიერნის“ შეტევის ხაზი ბოლო დროს ჩვეულად ვეღარ მრისხანობს. საშუალო „ვოლფსბურგთან“ მათ თითქოს გამოიღვიძეს, ორი პიზარომ გაიტანა, ერთიც ელბერმა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, შეხვედრა ფრედ დამთავრდა და ჩემპიონები ლიდერ „ლევერკუზენს“ უკვე ექვსი ქულით ჩამორჩნენ: „2:0-ზე მესამეც მალევე უნდა გაგვეტანა, მაგრამ ამის მაგიერ მოწინააღმდეგეს თამაში დავალაგებინეთ და ანგარიში გავათანაბრებინეთ. თანაც დაცვაში პრობლემები გაგვიჩნდა“ — თქვა მატჩის შემდეგ შეფიქრიანებულმა ჰიცფელდმა.

ამასობაში „ლევერკუზენმა“ ისევ გაიმარჯვა და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. დღევანდელი „ლევერკუზენი“ რაღაცით 70-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოს“ მოგვაგონებს. გულშემატკივრებს ეხსომებათ, როგორი სიუჟეტით ვითარდებოდა ხოლმე მაშინდელი თბილისური მატჩები. დინამოელებს გამბრაზებელი სჭირდებოდათ, გაუშვებდნენ გოლს და მერე მეტოქეს შავ დღეს დააყრიდნენ. დაახლოებით ასევეა „ლევერკუზენიც“. წლეულს თავის „ბაიარენაზე“ მათ უკვე მეხუთე ასეთი თამაში მოიგეს.

სტუმარ ნიურნბერგელთაგან ახალწვეული ბრაზილიელი, 20 წლის კაკაუ გამოირჩა, რომელიც ბუნდესლიგაში თავის მეორე მატჩს ატარებდა. კაკაუმ ორი გოლი გაიტანა და საზეიმო ცეკვასთან ერთად ყველას დაანახა მაისურის ქვეშ მიწერილი: „იესო ცოცხალია და ვუყვარვართ“...

კაკაუმ კიდევ ერთი ახალწვეულის, გერმანული პასპორტის მქონე ბრაზილიელი რინკის მაგიერ ითამაშა, რომელიც „ნიურნბერგში“ სულ ახლახან სწორედ „ლევერკუზენიდან“ გადავიდა. თურმე კლუბები მოლაპარაკებულან, თუ რინკი „ბაიარენაზე“ ითამაშებდა, სტუმრები „ბაიერს“ 100 ათას მარკას გადაუხდიდნენ, მაშ რაღა გასაკვირია, რომ ნიურნბერგელებმა რინკის სათადარიგოთა სკამზე დასმა ირჩიეს.

კაკაუს გოლებს შორის ერთი მასპინძელმა ზე რობერტომაც შეაგდო და 58-ე წუთისთვის „ნიურნბერგი“ 2:1 იგებდა. აი, მერე კი ამუშავდა ლევერკუზენული მანქანა და ყველას უჩვენა ვინ ვინ არის — სებესკენმა, ბალაკმა და ნოივილმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

„ზაფხულის ბოლოდან უკვე ოცდამეშვიდე ოფიციალური მატჩი ჩავატარეთ — თქვა მერე ლევერკუზენელთა დამრიგებელმა კლაუს ტოპმიოლერმა — განსაკუთრებით ბევრი ღონე სამშაბათს „დეპორტივოსთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას მივახარჯეთ. ამიტომაც გაგვიძნელდა „ნიურნბერგის“ გატეხვა“.

„ბაიერმა“ წლეულს ბოლოჯერ ითამაშა შინ, ამიტომაც იყო, ფანებს სანტა კლაუსის წითელ-თეთრი ქუდები რომ დაეხურათ, ხელში შუშხუნები დაეჭირათ და [illegible] მღერით აცილებდნენ...

დორტმუნდის „ბორუსიამ“ [illegible] მერის [illegible] 50-ე მატჩი ჩაატარა, ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვა და მეორე ადგილი შეინარჩუნა, ხოლო „კაიზერსლაუტერნმა“ სტუმრად „კოტბუსს“ 2:0 მოუგო და მესამე საფეხურიდან „ბაიერნი“ განდევნა. „ვერდერმა“ კი ბოლო ათი თამაშიდან მეცხრეჯერ იმარჯვა და ახლა ლიდერ „ლევერკუზენს“ შვიდი ქულითღა ჩამორჩება.

ფრაიბურგში კი ერთმანეთს ჩვენებურთა გუნდები შეხვდნენ, „ფრაიბურგმა“ „კიოლნს“ უმასპინძლა და უსახური მატჩი უგოლოდ დამთავრდა. მთელი 90 წუთის მანძილზე ორივე გუნდმა რამდენიმე ნახევარმომენტით თუ დაამახსოვრა მაყურებელს თავი. მერე ფოლკერ ფინკემ ეს უგერგილობა მჭიდრო გრაფიკს, უფრო ზუსტად ხუთშაბათს „ფეიენოორდთან“ უეფას თასის მატჩში გადაღლასაც დააბრალა. „კიკერმა“ კობიაშვილს 3, ხოლო იაშვილს 3,5 დაუწერა, არც მათ თანაგუნდელებს მიუღიათ უფრო მაღალი შეფასება. „ლევერკუზენისა“ არ იყოს, „ფრაიბურგმაც“ თავის „დრაიზამშტადიონზე“ წლეულს ბოლოჯერ ითამაშა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 16 | 12 | 3 | 1 | 42:19 | 23 | 39 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:9 | 15 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 18:10 | 8 | 17 |
| 2 დორტმუნდი | 16 | 12 | 1 | 3 | 27:9 | 18 | 37 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 | 8 | 7 | 0 | 1 | 15:4 | 11 | 21 |
| 3 ლაუტერნი | 16 | 11 | 1 | 4 | 35:20 | 15 | 34 | 8 | 7 | 1 | 0 | 22:7 | 15 | 22 | 8 | 4 | 0 | 4 | 13:13 | 0 | 12 |
| 4 ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 34:10 | 24 | 33 | 8 | 6 | 2 | 0 | 20:4 | 16 | 20 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:6 | 8 | 13 |
| 5 ვერდერი | 16 | 10 | 2 | 4 | 27:16 | 11 | 32 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 6 | 19 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 5 | 13 |
| 6 ჰერტა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:19 | 6 | 28 | 8 | 6 | 0 | 2 | 17:8 | 9 | 18 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 10 |
| 7 შალკე | 16 | 7 | 5 | 4 | 19:17 | 2 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 14:9 | 5 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 9 |
| 8 შტუტგარტი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:16 | 2 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 11:3 | 8 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | -6 | 7 |
| 9 მიუნხენი | 16 | 7 | 2 | 7 | 21:27 | -6 | 23 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:18 | -10 | 10 | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 26:24 | 2 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:6 | 6 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:18 | -4 | 8 |
| 11 ფრაიბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:26 | -7 | 17 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | -10 | 5 |
| 12 ჰამბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:26 | -7 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 15:14 | 1 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 4:12 | -8 | 5 |
| 13 ჰანზა | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | -7 | 16 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 10 |
| 14 გლადბახი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:24 | -7 | 15 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 8 |
| 15 კოტბუსი | 16 | 3 | 4 | 9 | 13:28 | -15 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 5 |
| 16 კიოლნი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:28 | -17 | 12 | 8 | 2 | 0 | 6 | 6:15 | -9 | 6 | 8 | 1 | 3 | 4 | 5:13 | -8 | 6 |
| 17 ნიურნბერგი | 16 | 3 | 2 | 11 | 12:31 | -19 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:17 | -13 | 4 |
| 18 ზანქტ პაული | 16 | 1 | 4 | 11 | 16:34 | -18 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:13 | -7 | 4 | 8 | 0 | 3 | 5 | 10:21 | -11 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 10 |
| პიზარო (ბაიერნი) | 10 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |
| აილტონი (ვერდერი) | 7 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 7 |

### XVII ტური

16 დეკემბერი

მიუნხენი - გლადბახი
ვოლფსბურგი - შალკე
ჰერტა - ლევერკუზენი
ნიურნბერგი - ზანქტ პაული
ვერდერი - დორტმუნდი
ჰამბურგი - ფრაიბურგი
კიოლნი - კოტბუსი
ლაუტერნი - შტუტგარტი
ჰანზა - ბაიერნი

## მეორე ბუნდესლიგა

### XVI ტური

### ფიურტი 3:2 მაინცი

1:0, 2:0 აზუზი (50პ, 54პ), 2:1 ბაბაცი (59), 3:1 რუმანი (80), 3:2 ბოდოგი (86)
ფიურტი: რაიხოლდი, სურმანი, უნსოლდი, ბოი, ბატისტა, რუმანი, აზუზი (რაისი 85), რაიხელი, დვორაკი, კიოიო (შლიკე 75), რაიზინგერი (ამანატიდისი 75)
გიორგი დეკანოსიძე სარეზერვო გუნდშია
მწვრთნელი: ეუგენ ჰახი
6 750 მაყურებელი

### უნიონი 1:0 ბოხუმი

1:0 ფაილი (41)

### დუისბურგი 2:6 ჰანოვერი

0:1 შტენდელი (15), 0:2 კაუფმანი (25), 0:3 დიუფი (31), 0:4 შიმაკი (32), 1:4 ებერსი (38), 1:5 კაუფმანი (55), 1:6 კრუპნიკოვიჩი (74), 2:6 ვოლტერსი (81)

### არმინია 3:1 ობერჰაუზენი

1:0 ვატა (6), 1:1 იუდტი (42პ), 2:1 ბრინკმანი (72), 3:1 დაბროვსკი (74)

### კარლსრუე 1:2 ვალდჰოფი

0:1, 0:2 ლიხტი (21, 50), 1:2 გრაფი (73)

### შვაინფურტი 2:1 როიტლინგენი

1:0 მელუნოვიჩი (37), 1:1 გარსია (49), 2:1 მელუნოვიჩი (64)

### ალემანია 3:1 უნტერჰახინგი

1:0 პფლიპსენი (14), 2:0 დიანე (54), 3:0 ბაიოკო (69), 3:1 ლექსა (78)

### აინტრახტი 1:2 ალენი

0:1 არნოლდი (34), 1:1 შულა (60პ), 1:2 ფაინბერი (67)

### ზაარბრიუკენი — ბაბელსბერგი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 16 | 11 | 3 | 2 | 36:18 | 36 |
| ჰანოვერი | 16 | 9 | 7 | 0 | 46:17 | 34 |
| არმინია | 16 | 9 | 3 | 4 | 32:17 | 30 |
| ფიურტი | 16 | 7 | 5 | 4 | 25:18 | 26 |
| აინტრახტი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:18 | 26 |
| ალენი | 16 | 8 | 2 | 6 | 31:36 | 26 |
| უნიონი | 16 | 7 | 4 | 5 | 32:20 | 25 |
| ბოხუმი | 16 | 6 | 6 | 4 | 26:22 | 24 |
| ალემანია | 16 | 6 | 3 | 7 | 19:29 | 21 |
| როიტლინგენი | 16 | 6 | 2 | 8 | 26:28 | 20 |
| ვალდჰოფი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | 20 |
| უნტერჰახინგი | 16 | 6 | 2 | 8 | 18:22 | 20 |
| კარლსრუე | 16 | 6 | 2 | 8 | 21:26 | 20 |
| შვაინფურტი | 16 | 5 | 3 | 8 | 16:30 | 18 |
| დუისბურგი | 16 | 3 | 6 | 7 | 23:31 | 15 |
| ბაბელსბერგი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:36 | 14 |
| ობერჰაუზენი | 16 | 3 | 3 | 10 | 21:29 | 12 |
| ზაარბრიუკენი | 15 | 2 | 3 | 10 | 11:25 | 9 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-20 ტური: ოსნაბრიუკი — მიუნსტერი 2:0; ლევერკუზენი (მ.) — ვატენშაიდი 1:4; დრეზდენი — დიუსელდორფი 3:1; ესენი — აუე 1:0; ფერლი — ბრაუნშვაიგი 1:1; მაგდებურგი — კილი 2:0; ლიუბეკი — ვერდერი (მ.) 3:1; იურდინგენი — პადერბორნი 5:0; ქემნიცი — ფორტუნა 3:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

21-ე ტური: დარმშტადტი — კაიზერსლაუტერნი (მ.) 1:0; ანსბახი — ერფურტი 1:0; ელვერსბერგი — ოფენბახი 2:0; ბურგჰაუზენი — ჰოფენჰაიმი 0:0; ვეჰენი — ბაიერნი (მ.) 2:2; აალენი — კიკერსი 1:1; მანჰაიმი — ზიგენი 1:3; ტრირი — ფულდა 0:0; შტუტგარტი (მ.) — რეგენსბურგი 0:1

## იტალია

### XIV ტური

**მილანი 1:1 იუვენტუსი**

1:0 შევჩენკო (23), 1:1 დელ პიერო (47პ)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ალბერტინი, უმითი (კონტრა 72), რუი კოშტა, შევჩენკო, ხავი მორენო (სიმონე 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო (კ. ძენონი 44), იულიანო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი (ა. კონტე 80), ნედვედი (ზალაიეტა 46), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ჰელვეგი, დავიდსი, კოსტაკურტა
მსაჯი: პაპარესტა
82 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 რომა**

1:0 დი ვაიო (31), 1:1 ასუნსაო (49), 1:2 ფუზერი (77)
პარმა: ფრეი, ჟეტუ ფერარი, ფ. კანავარო, სარტორი (დიანა 75), ალმეიდა, ლამუში, ფალზინი, ნაკატა (მარკიონი 66), მბომა (მილოშევიჩი 80), დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, ფუზერი, ემერსონი, ასუნსაო (ლიმა 69), კანდელა, ტოტი (ტომაზი 82), ბატისტუტა (ა. კასანო 37), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფუზერი, ჟეტუ, ალმეიდა, ტოტი, კასანო, სარტორი
მსაჯი: კოლინა
22 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:3 ინტერი**

0:1 რონალდო (18), 1:1 ტარე (20), 1:2, 1:3 ვიერი (63, 70)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, მ. ესპოზიტო (შობი 66), ა. ფილიპინი (გუანა 81), ჯუნტი, ე. ფილიპინი (ილანა 61), სუსი, ტონი, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, სორონდო, კორდობა, გრეშკო, ოკანი, კ. ძანეტი, დი ბიაჯო, რეკობა (ემრე 73), რონალდო (კალონი 66), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: გრეშკო, ოკანი, ა. ფილიპინი, კ. ძანეტი, ჯუნტი, ვიერი
მსაჯი: როდომონტი
26 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 ფიორენტინა**

1:0 პობორსკი (12), 2:0 კრესპო (59), 3:0 კლაუდიო ლოპესი (86)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, კოუტუ, სეზარი, პობორსკი (მენდიეტა 86), ჯანიკედა, ლივერანი (ფიორე 81), დ. სტანკოვიჩი, ს. ინძაგი, კრესპო (კლაუდიო ლოპესი 81)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ფიორენტინა: მანინგერი, ჩეკარელი, ტორიჩელი, მორეტი, ვანოლი, ტაროცი (მ. როსი 65), დი ლივიო, ბარონიო, კ. ამორუზო (ბენინი 73), ნუნუ გომეში, განცი (ვაკუფცისი 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ნესტა, ლივერანი, ნუნუ გომეში, ჩეკარელი, ამორუზო
გაძევება: ბარონიო (62)
მსაჯი: ბერტინი
50 000 მაყურებელი

**კიევო 2:1 ლეჩე**

1:0 მარაცინა (22), 1:1 ციმეროტიჩი (52), 2:1 კორინი (77პ)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ს. ლანა, ბინოტო (მაიელე 60), პეროტა, კორინი, მანფრედინი (ლორენცი 88), კოსატო, მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლეჩე: კიმენტი, სილვესტრი, პოპესკუ, სავინო, კოლონელო, ჩირილო, ტონეტო, კონტიკიო, ჯორჯეტი (კონანი 44), ჯაკომაცი (პიანჯერელი 66), ციმეროტიჩი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: სილვესტრი, პოპესკუ, კოლონელო, კოსატო, მაიელე, პოპესკუ
გაძევება: პოპესკუ (90)
მსაჯი: მესინა
8 000 მაყურებელი

**პერუჯა 2:0 ვენეცია**

1:0 ვრიზასი (45), 2:0 რეზაეი (80)
პერუჯა: მაცანტინი, ზე მარია, დი ლორეტო, რეზაეი, მილანეზე, ტედესკო, გატი, ბაიოკო, კორდოვა (ანი 61), ვრიზასი, ბაცანი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ვენეცია: ჯ. როსი, პავანი, ბილიკა, ბიორკლუნდი, ალეგრინი (ბრესანი 46), დ. ანდერსონი, პაბლო გარსია, ბეტარინი (ცვეტანოვიჩი 73), მაგალიანესი, მანიერო, ვანუკი (დე ფრანჩესკო 46)
მწვრთნელი: ალფრედო მანი
გაფრთხილება: მანიერო, ვანუკი, გატი, ანდერსონი, მილანეზე, პაბლო გარსია, ბილიკა, პავანი
მსაჯი: ტრენტი
10 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 2:0 ბოლონია**

1:0, 2:0 უბნერი (50, 64)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, ა. ლუკარელი, ტოსტო, გაუტიერი, სტატუტო, ვოლპი, დი ფრანჩესკო, პოჯი (ამბროზეტი 90), უბნერი (კაჩა 87)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ფალკონე, მ. კასტელინი, ნერვო, ბრიგი, ოლივე, ვომე, ბეკაა (ბელუჩი 60), ძაული (ბრიოსკი 65), კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ვოლპი, ვომე, პოჯი, ფალკონე, ოლივე, ვომე
გაძევება: ვომე (62)
მსაჯი: ტრენტალანჯე
6 000 მაყურებელი

**ტორინო 1:2 ატალანტა**

1:0 გალანტე (13), 1:1 დონი (45), 1:2 კოლომბო (69)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, დელი კარი, ფატორი, კომოტო, მ. კასტელინი (მასპერო 75), ასტა, ვერგასოლა, სკარკილი (ბრამბილა 60), ფერანტე, კ. ლუკარელი (ტირიბოკი 77)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ატალანტა: ტაიბი, რუსტიკო, კარერა, პაგანინი, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი, კომანდინი (კოლომბო 63; ნატალი 85), როსინი (საუდატი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: სკარკილი, ფერანტე, ძენონი
გაძევება: ბუჩი (90)
მსაჯი: დე სანტისი
20 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 ვერონა**

0:1 ოდო (69), 1:1 მუცი (82პ), 2:1 პინცი (86)
უდინეზე: ტურჩი, კაბალიერო, სოტილი, ბერტოტო, იორგენსენი (მარკოს პაულუ 44), პინცი, დ. პიზარო, ლ. ელგერა, პიერი (დი მიკელე 72), სოზა (იაკონტა 59), მუცი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ვერონა: ფერონი, მ. კანავარო, ძანკი, გონელა, ოდო, იტალიანო, ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი (მონტანო 85), მუტუ (ტეოდორანი 79), ფრიკი (კაზეტი 72)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: ბერტოტო, პინცი, სერიჩი, ტეოდორანი, პიზარო, კოლუჩი
გაძევება: სერიჩი (78)
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

# ეს რა დღეში ხარ, ვირო!



REUTERS ბრეშამდე

ბრეშა — ინტერი. რონალდომ ძლივს გაიხარა

**არც** „მილანი“ — „იუვენტუსი“ და არც სხვა რამ... მსოფლიოს საავენტოთათვის შაბათ-კვირის უმთავრეს იტალიურ მოვლენად რონალდოს გოლი იქცა — პირველი ორწლიანი მკურნალობისა და უმოქმედობის შემდეგ. ეს ბრეშაში მოხდა, სადაც ბრაზილიელმა ანგარიში გახსნა და „ინტერი“ დააწინაურა. შემდეგ, მისი გოლი ალბანელმა იგლე ტარემ გაქვითა, მაგრამ მილანელებმა მაინც გაიტანეს თავისი: კრისტიან ვიერიმ მასპინძელთა კარში ორი ბურთი შეაგდო და საბოლოო ანგარიშად 3:1 ბრძანა.

სწორედ ამას ელოდნენ „შავ-ლურჯი“ გუნდის ქომაგები ბოლო ორი წლისა თუ კიდევ უფრო მეტის განმავლობაში. გუნდში საოცნებო დუეტი, ვიერი-რონალდო ჰყავდათ, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე, განაცხადში. თეორიულად ამ უძლიერესი დუეტის ამოქმედება არა და არ ხერხდებოდა. მიზეზი ხან იტალიელის ტრავმა გახლდათ და ხან ბრაზილიელისა. და აი, ბრეშაში ოცნება ასრულდა. „ინტერმა“ გაიმარჯვა, სამივე გოლი რონალდო-ვიერის წყვილმა შეაგდო, ხოლო გუნდმა ცხრილის სათავეში შეინარჩუნა ადგილი. აღსანიშნავია, რომ ვიერიმ რონალდოს გოლშიც მიიღო მონაწილეობა. წყვილი ხუთ ბრეშელს შორის მოქმედებდა. ბრაზილიელმა იტალიელს გადააწოდა, იტალიელმა ერთი შეხებით დაუბრუნა, მეკარესთან პირისპირ გაიყვანა პარტნიორი, რომელმაც, როგორც სჩვევია, დაბალი დარტყმით შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში.

მატჩის შემდეგ „ინტერის“ არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა თქვა: „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ერთი კვირის შემდეგ „კიევოსთან“ გველის ძალიან ძნელი შეხვედრა და მის წინ ასეთი გამარჯვება აუცილებლად გვჭირდებოდა. ვგრძნობ, ვერონელებთან დიდი დაპირისპირება გვექნება“.

„ბედნიერი კაცი ვარ. საუცხოო დღე გვქონდა“ — განაცხადა თავად რონალდომ.

ხოლო სერია A-ში პირველად აღზევებულ „კიევოს“, ვაშა და დიდება! გუნდს, რომლის სახელიც იტალიური ფეხბურთით განებივრებულ ყურს მეტისმეტად უხერხულად ხვდებოდა, „ინტერის“ მწვრთნელი დიად მეტოქედ იხსენიებს. მილანელთა და მეორეხარისხოვან ვერონელთა (თუ ჩავთვლით, რომ პირველხარისხოვანი ვერონელები „ჰელას ვერონას“ ფეხბურთელები არიან) დაპირისპირება, არც მეტი, არც ნაკლები, ლიდერობისთვის ბრძოლა იქნება, რადგან მათ შორის სხვაობა ორად ორი ქულაა.

კვირას „კიევომ“ „ლეჩეს“ მოუგო 2:1. ანგარიში ვერონელმა მასიმო მარაცინამ გახსნა, სეზონში თავისი მე-7 გოლი შეაგდო, თუმცა შესვენების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — „ლეჩეში“ მოთამაშე სლოვენიელმა სებასტიან ციმეროტიჩმა თანაგუნდელებს ვერონიდან ქულის წაღების შანსი მისცა — რასაც ისევ მასპინძელთა გოლი, კერძოდ კი ეუჯენიო კორინის პენალტი მოჰყვა. ბოლოს, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში, ლეჩელმა მცველმა, ცნობილმა რუმინელმა გეორგე პოპესკუმ წითელი ბარათი მიიღო.

ასე რომ, „კიევომ“ სამი ქულა მიითვალა, რაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ქება ქებად და ვინ იცის, ხან „მფრინავ ვირებად“ ხან კი რომეოდ, ჯულიეტად თუ კონკიად მონათლულმა ვერონელებმა, შემდგომი სამი ქულა, ვინ იცის, როდის მიიღონ — ახლა ხომ „ინტერს“ ხვდებიან, შემდეგ გამოტოვებულ მეექვსე ტურში „ლაციოს“ უპირისპირდებიან, რის მერეც მორიგ, მეთექვსმეტე ტურში კალენდარი „რომასთან“ მატჩს უწყობს.

„კიევოს“ პრეზიდენტმა ლუკა კამპედელიმ ბრძანა: „რონალდომ მაინცდამაინც ჩვენთან შეხვედრის წინ დაიწყო გოლების გატანა, მაგრამ რას ვიზამთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „ლეჩესთან“ სამი ქულის მოპოვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო“.

სხვათა შორის, ბატონი კამპედელი ბავშვობაში „ინტერის“ ქომაგი გახლდათ...

„კიევოს“ [illegible] პიონი „რომამ“, [illegible] მოუგო 2:1, [illegible]

„[illegible] ლაზე ვართ მომართული, თან კარგ ფეხბურთსაც ვთამაშობთ, შეცდომებს კი ცოტას ვუშვებთ. ახლა, სეზონის მეორე ნახევარშიც იგივე უნდა ვაკეთოთ“ — განაცხადა ჩემპიონთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

ფორმაშია „ლაციოც“, მან „ფიორენტინას“ სძლია 3:0. ანგარიში საუცხოოდ მოთამაშე ჩეხმა გარემარბმა კარელ პობორსკიმ გახსნა. კიდევ ორი გოლი ერნან კრესპომ და კლაუდიო ლოპესმა შეაგდეს, ხოლო ფლორენციელ რობერტო ბარონიოს წითელი ბარათის გამო მოედნის ნაადრევად დატოვება მოუხდა.

რომაელთა მწვრთნელმა, ალბერტო ძაკერონიმ, რომელმაც გუნდი წესიერად მას მერე აათამაშა, რაც ესპანელი ვარსკვლავი გაისკა მენდიეტა სათადარიგოთა სკამზე დასვა, განაცხადა:

„ის მოთამაშეები, რომლებიც ძირითადში გამომყავს, ჩინებულ ფორმაში არიან და, როგორც ჩანს, საქმეები კარგად მიგვდის“.

**ბაბუნა ძედია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| მუცი (უდინეზე) | 10 |
| დონი (ატალანტა) | 10 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 8 |
| კალონი (ინტერი) | 8 |
| დი ვაიო (პარმა) | 8 |

**XV ტური**

**16 დეკემბერი**

ატალანტა - პარმა
ბოლონია - პერუჯა
ფიორენტინა - ბრეშა
ინტერი - კიევო
იუვენტუსი - პიაჩენცა
ლეჩე - ტორინო
რომა - მილანი
ვენეცია - უდინეზე
ვერონა - ლაციო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 24:12 | 12 | 28 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:6 | 7 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 11:6 | 5 | 13 |
| 2 კიევო | 13 | 8 | 2 | 3 | 26:15 | 11 | 26 | 6 | 6 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 18 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 8 |
| 3 რომა | 13 | 7 | 5 | 1 | 20:9 | 11 | 26 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 |
| 4 ლაციო | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | 11 | 23 | 7 | 4 | 3 | 0 | 12:1 | 11 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 5 მილანი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:15 | 7 | 23 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 10 |
| 6 იუვენტუსი | 13 | 5 | 6 | 2 | 20:12 | 8 | 21 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:8 | 7 | 14 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 7 ბოლონია | 13 | 6 | 2 | 5 | 9:11 | -2 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 7 |
| 8 ვერონა | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 0 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 9 უდინეზე | 13 | 5 | 3 | 5 | 22:22 | 0 | 18 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 |
| 10 ბრეშა | 13 | 4 | 5 | 4 | 19:23 | -4 | 17 | 7 | 2 | 4 | 1 | 14:13 | 1 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 |
| 11 ატალანტა | 13 | 5 | 2 | 6 | 16:23 | -7 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 10 |
| 12 პიაჩენცა | 13 | 4 | 3 | 6 | 18:17 | 1 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:8 | 2 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 6 |
| 13 ტორინო | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 2 | 9 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |
| 14 პერუჯა | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | -5 | 13 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | -9 | 1 |
| 15 ლეჩე | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | -6 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | -7 | 5 |
| 16 პარმა | 13 | 2 | 5 | 6 | 14:19 | -5 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 2 |
| 17 ფიორენტინა | 13 | 3 | 1 | 9 | 15:29 | -14 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 7 | 7 | 1 | 0 | 6 | 8:20 | -12 | 3 |
| 18 ვენეცია | 13 | 0 | 4 | 9 | 6:20 | -14 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:17 | -12 | 1 |

## სერია B

### XVI ტური

**კროტონე 1:2 სიენა**

0:1 პასონი (68), 1:1 არტისტიკო (85), 1:2 ძამპანა (90)
სიენა: ჯიანელო, რაგოლცკინი, ვორია, მინანი, რადიჩე, მ. როსი, კარაჩოლო (მანდელი 90), პასონი, მარინელი, დე ჩეზარე (სკალცო 80), ძამპანა
დავით ღილღილაშვილი და ლევან მელქაძე განაცხადში ვერ მოხვდნენ
მწვრთნელი: ეუჯენიო გუერინი
5 000 მაყურებელი

**რეჯინა 2:2 სალერნიტანა**

0:1 დი ვიჩინო (36), 1:1 ლეონი (51), 1:2 ჯოკინი (64), 2:2 სავოლდი (77)

**ბარი 2:1 ანკონა**

1:0 პალმიერი (20), 2:0 ჩუკვუ (43), 2:1 ბოლიჩი (86)

**კალიარი 2:2 პისტოიეზე**

1:0 ესპოზიტო (5), 1:1 ბაიანო (33), 1:2 კიმარელი (75), 2:2 გორგონე (90)

**ჩიტადელა 0:1 მესინა**

0:1 გუტიერესი (67)

**ემპოლი 0:1 კომო**

0:1 ოლივეირა (56)

**ნაპოლი 4:2 კოზენცა**

0:1 ზანიოლო (5), 1:1, 2:1 სტელონე (15, 41), 3:1 მონტეძინე (47), 3:2 იმბრიანი (66), 4:2 მონტეძინე (90)

**პალერმო 1:3 ვიჩენცა**

0:1 მარჯოტა (18), 0:2 ძანკეტა (71), 1:2 ლაგროტერია (76პ), 1:3 სომეზე (90)

**სამპდორია 4:2 ტერნანა**

1:0 იაკოპინო (13), 2:0 ვაზარი (38), 3:0 კუზარი (43), 4:0 იაკოპინო (49), 4:1 როსინი (59), 4:2 მიკოლი (65პ)

**მოდენა — ჯენოა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 15 | 10 | 2 | 3 | 20:13 | 32 |
| ემპოლი | 15 | 9 | 3 | 3 | 24:14 | 30 |
| მოდენა | 14 | 8 | 4 | 2 | 30:11 | 28 |
| რეჯინა | 15 | 7 | 6 | 2 | 21:12 | 27 |
| ვიჩენცა | 15 | 6 | 6 | 3 | 23:22 | 24 |
| კოზენცა | 15 | 7 | 2 | 6 | 24:26 | 23 |
| ჯენოა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:11 | 22 |
| სალერნიტანა | 15 | 6 | 4 | 5 | 20:20 | 22 |
| ნაპოლი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:19 | 22 |
| მესინა | 15 | 5 | 6 | 4 | 15:15 | 21 |
| პალერმო | 15 | 6 | 3 | 6 | 20:23 | 21 |
| ბარი | 15 | 6 | 3 | 6 | 13:16 | 21 |
| სამპდორია | 15 | 5 | 5 | 5 | 19:17 | 20 |
| ანკონა | 15 | 5 | 3 | 7 | 13:17 | 18 |
| პისტოიეზე | 15 | 3 | 5 | 7 | 10:15 | 14 |
| კალიარი | 15 | 2 | 7 | 6 | 11:17 | 13 |
| სიენა | 15 | 2 | 6 | 7 | 14:22 | 12 |
| კროტონე | 15 | 2 | 5 | 8 | 16:21 | 11 |
| ტერნანა | 15 | 1 | 8 | 6 | 14:21 | 11 |
| ჩიტადელა | 15 | 3 | 2 | 10 | 18:29 | 11 |

## სერია C1/a

მე-16 ტური: ალძანო — სპალ 0:1; არეცო — ალბინოლეფე 3:1; ჩეზენა — კარარეზე 0:0; ლუმეცანე — ლივორნო 2:2; მონცა — ლეკო 0:5; პიზა — ტრიესტინა 2:2; სპეცია — ლუკეზე 1:1; ტრევიზო — რეჯანა 1:0; ვარეზე — პადოვა 1:1

## სერია C1/b

მე-16 ტური: კატანია — აკილა 2:0; ფერმანა — ტორესი 0:1; ჯულიანოვა — აველინო 0:0; ლოდიჯანი — ასკოლი 1:1; ნოჩერინა — ტარანტო 0:2; პესკარა — დი სანგრო 2:0; სორა — კროტი 2:0; ვიტერბეზე — ლანჩანო 2:0. ბენევენტო — პეზარო წუხელ გვიან გაიმართა

# შინაური და გარეული

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## იტალიის ჩემპიონატი

### მეთოთხმეტე ტურის მატჩი

### მილანი 1:1 იუვენტუსი

კახა კალაძე სათადარიგო იყო

## ფსიქოლოგიური ფრე

„სან სიროს" „იუვენტუსი" ეწვია და „მილანს" დაუდგა. გეხსომებათ თამაშისწინა ამბები: „იუვენტუსი" წაგებას ვერაფრით დაუშვებდა, რადგან, ერთი რომ, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან" ულაპარაკო მარცხით აწყენინა გულშემატკივარს, მეორე, ახლაც რომ წაეგო, ლიდერთა ჯგუფს უკვე ქულათა უსიამოვნო რაოდენობით ჩამორჩებოდა და მესამეც — ის წააგებდა კარლო ანჩელოტის გუნდთან, ანჩელოტი კი წინა სეზონის ბოლოს თავად მოხსნა თანამდებობიდან და გამოვიდოდა, რომ მასზე შური იძიეს, თვალსაჩინოდ დასაჯეს.

წაგებას ვერც „მილანი" დაუშვებდა, თუნდაც იმავე, ანჩელოტისთან დაკავშირებული მოტივით (შურისმაძიებლის მარცხი სად გაგონილა?), ასევე სატურნირო მდგომარეობის გაუარესების შიშით თუ სხვა.

ხოლო, როდესაც ორივე მხრიდან დამარცხება გამორიცხულია, ერთადერთი შედეგი, რომელსაც მეტოქეები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად უშვებენ, გახლავთ ფრე. და სწორედ ასე დასრულდა შეხვედრა. მილანელები შევჩენკოს ულამაზესი გოლით დაწინაურდნენ — უკრაინელი ტურინელ მცველებს დრიბლინგით გასცდა და საჯარიმო მოედნის გარედან შორეულ მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — რასაც დელ პიერომ პენალტით უპასუხა.

„ცოტა გამიმართლა კიდეც, რადგან იმ პოზიციიდან გოლის გატანა იოლი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ მხოლოდ კარში დარტყმაღა დამრჩენოდა — თქვა მატჩის შემდეგ შევჩენკომ — სამწუხაროდ კი მრცხვენია, მეორე გოლის შეგდება რომ ველარ მოვახერხე. ფიზიკურად საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს და ვფიქრობ, ეს უნდა მომეხერხებინა, მაგრამ არა უშავს, პირველობა ჯერ კიდევ დიდხანს გასტანს და წინ ბევრი თამაში გველის. ჩვენ ყოველ შეხვედრაში მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ."

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS მოლოდინი

ლილიან ტურამი ანდრეი შევჩენკოს კარგად კი მეთვალყურეობდა, მაგრამ უკრაინელმა საგოლედ ერთხელ მაინც მოიჭნია

## რომა რომად და...

**გაბრიელ ბატისტუტას** ცოტა ხნის წინ მოშუშებული მუხლი, კვირას, „პარმასთან" თამაშის დროს გაუმიზეზდა და „რომადან" გამოსულ ხმათა თანახმად, შესაძლოა იტალიის ჩემპიონს ახალ წლამდე არგენტინელის გარეშე მოუხდეს ბრძოლა.

პარმელებთან თამაშის დროს, მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ბატისტუტა შეცვალა. მის ნაცვლად მოედანზე იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული ანტონიო კასანო შეიყვანა, თავად კი პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ბატისტუტას 28 ოქტომბერს „ლაციოსთან" მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი".

თავად არგენტინელმა კი თქვა: „ტრავმა მაინცდამაინც ახლა მივიღე, როდესაც ძლივს ფორმა ავიღდგინე და თავს კარგად ვგრძნობდი. ეს ძალიან მაღიზიანებს".

ბატისტუტასთვის ტრავმა მრავალმხრივ საზიანო ამბავი გახლავთ. „რომა" „რომად" და კარს მსოფლიოს ჩემპიონატია მომდგარი. არგენტინის ნაკრების თავკაცს, მარსელო ბიელსას კი დაუჩემებია, თუ იაპონიასა და კორეაში წამოსვლა სურს, დაამტკიცოს, რომ ჯანმრთელიაო.

**ბაჩუნა ძიძია**



გაბრიელ ბატისტუტას პარმიდან ცუდი მოგონება გაჰყვა

## შოტლანდია

### XVIII ტური

**რეინჯერსი 3:1 ჰართსი**

1:0 დე ბური (7), 2:0 ლატაპი (20), 2:1 მაკკენა (40), 3:1 არველაძე (70)

რეინჯერსი: კლოსი, როსი, უილსონი, ამორუზო, ვიტმარი, რიკსენი, ლატაპი, ნუმანი, კანიჯა (მაკკენი 73), დე ბური (მიუზო 70), არველაძე

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

47891 მაყურებელი

**სენტ ჯონსტონი 0:2 დანდი**

0:1 სარა (18), 0:2 ძეცბაია (54)

დანდი: ლენგფილდი, მეკაი, ფან ჟი, დელ რიო, სმიტი, კარანსა (რობერტსონი 46), რაე, ტორუსი, ძეცბაია, კაბალიერო (არტერო 61), სარა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

5299 მაყურებელი

**კილმარნოკი 3:1 აბერდინი**

1:0 დინდელო (12), 1:1 ზერუალი (60), 2:1 ბოილი (82), 3:1 მაუდო (88)

**ჰიბერნიანი 1:1 მოზერუელი**

1:0 ონილი (7), 1:1 ელიოტი (83)

**დანფერმლაინი 0:4 სელტიკი**

0:1 ბალდე (8), 0:2, 0:3 ჰართსონი (20, 60), 0:4 ტომპსონი (62)

**დანდი იუნაიტედი 0:0 ლივინგსტონი**

**ერთადერთი**, რაშიც შოტლანდიური პრემიერლიგა მეზობლისას არ ჩამორჩება, უცხოელ ფეხბურთელთა მოზღვავებაა — ამათზე წარმომადგენლობითი ორგანიზაცია მსოფლიოში, ალბათ, გაეროღა დარჩა. ამაში მეთვრამეტე ტურის მიმოხილვისასაც დავრწმუნდებით, რომელშიც ორივე „ქართულმა" გუნდმა იმარჯვა: „რეინჯერსმა" შინ, „დანდიმ" კი — სტუმრად.

იტალიელი ივანო ბონეტის გუნდი პერთს შაბათს ეწვია და სეზონში უიოლესი გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლები ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომელთაგან მხოლოდ ჯერ კიდევ შარშან დანდელი ვილი ფალკონერი გამოირჩეოდა. შესაბამისად, სტუმართა კართან ოდენ ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მოპირდაპირეში კი ორი გოლიც შევარდა და საგოლე სიტუაციაც ბლომად შეიქმნა.

ანგარიში მატჩის დაწყებიდან 18 წუთში გაიხსნა, როცა ქეცბაიას წამოწყებული კომბინაცია და უზადო პასი ხუან სარამ დააგვირგვინა, მეორე ტაიმში კი არგენტინელმა ქართველს ვალი დაუბრუნა და ამანაც დაბალ კუთხეში ზუსტი დარტყმით ყველა კითხვა მოხსნა.

ამის მერე ჩვენებურმა 20 მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა, ჩინელმა ფან ჟიმ კი მიზანს ოდნავ ააცილა. მოკლედ, „დანდი" ისევ ჩვეულ მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა.

ასევე თავისთვის ტრადიციულ მეორე ადგილზეა შოთა არველაძის „რეინჯერსი", რომლის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა უეფას თასზე პარიზული გამარჯვების მერე ნორვეგიელი ფლო და ავსტრალიელი მური დაასვენა (ამერიკელი კლაუდიო რეინა კი პარასკევს ინგლისურ „სანდერლენდში" გაყიდა), მაგრამ „ჰართსს" მაინც მოუგო.

ისევე როგორც პერთში, არგენტინულ-ქართული გოლი „აიბროქსზეც" გავიდა: კანიჯამ და შოთამ კედელი გაითამაშეს, მერე ვეტერანის დარტყმა მცველს მოხვდა, მაგრამ არველაძემ იმარჯვა. ეს 70-ე წუთზე მოხდა და სწორედ მაშინღა ამოისუნთქეს მასპინძლებმა. მანამდე ხომ სხვაობა მინიმალური გახლდათ, შოთას გოლამდე წუთით ადრე კი სტუმრებს გათანაბრებაც შეეძლოთ — იტალიელმა ამორუზომ ედინბურგელთა ავსტრიელ ფლიოგელს ბოლო წამს დაუფარა.



REUTERS გლობუსი

რეინჯერსი — ჰართსი. კლაუდიო კანიჯა შოთა არველაძეს გატანაში დაეხმარა და პირველმაც მიულოცა

არადა, მატჩი ისე დაიწყო, პროტესტანტები მეტოქეს გააცამტვერებენო, იფიქრებდით. უკვე მეშვიდე წუთზე ტრინიდადელმა რასელ ლატაპიმ თავისი ყოფილი თანაგუნდელები გააცურა და რონალდ დე ბური ფინელ მეკარე ანტი ნიემის პირისპირ შეატოვა — სანამ სტუმრები თანამსაჯს უყურებდნენ და ალმის აწევას ელოდნენ, ჰოლანდიელმა ანგარიში გახსნა.

13 წუთში უკვე ლატაპიმ გამოიჩინა თავი და ავსტრალიელი ვიდმარის დაწყებული კომბინაცია შედეგიანად დაასრულა, კიდევ სამ წუთში კი შოთას ამ შეხვედრაში პირველი შანსი მიეცა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ გადააცილა.

გარდატეხა ტაიმის მიწურულს მოხდა, როცა გერმანელმა მეკარემ შტეფან კლოსმა რიკოშეტიანი დარტყმა ვერ მოიგერია. ამის მერე დედაქალაქელები გააფთრებით ათამაშდნენ და რომ არა არველაძის მერვე რეინჯერსული გოლი...

ამ გამარჯვებით „რეინჯერსმა" მდევარ „ლივინგსტონთან" სხვაობა გაზარდა, თორემ „სელტიკს" კვლავ ვერ მიუახლოვდა. „ვალენსიასთან" პენალტებით დამარცხებულმა ლიდერებმა ჯავრი „დანფერმლაინზე" იყარეს. გოლები ფრანგმა ბალდემ, უელსელმა ჰართსონმა და ინგლისელმა ტომპსონმა გაიტანეს.

**გიგა ძობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 17 | 16 | 1 | 0 | 41:6 | 49 |
| რეინჯერსი | 17 | 11 | 4 | 2 | 39:12 | 37 |
| ლივინგსტონი | 17 | 9 | 6 | 2 | 26:12 | 33 |
| აბერდინი | 18 | 9 | 2 | 7 | 28:27 | 29 |
| კილმარნოკი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:21 | 24 |
| დანდი | 18 | 6 | 5 | 7 | 18:25 | 23 |
| დანდი იუნ. | 18 | 5 | 6 | 7 | 19:31 | 21 |
| ჰიბერნიანი | 17 | 5 | 4 | 8 | 25:28 | 19 |
| ჰართსი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:26 | 18 |
| მოზერუელი | 18 | 4 | 5 | 9 | 21:34 | 17 |
| დანფერმლაინი | 18 | 5 | 2 | 11 | 22:37 | 17 |
| სტ. ჯონსტონი | 18 | 2 | 3 | 13 | 12:33 | 9 |

### პირველი დივიზიონი

მე-18 ტური: არბოთი — კლაიდი 2:1; ეარი — ერდრი 1:3; ინვერნესი — პარტიკ თისლი 1:2; რეით როვერსი — როს ქაუნთი 1:3; სტ. მირენი — ფოლკირკი 1:5

### მესამე დივიზიონი

მე-17 ტური: ალბიონი — მონტროუზი 0:0; ბრეჩინი — პიტერჰედი 4:3; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 1:4; სტირლინგი — ისტ სტირლინგი 1:1; ელგინი — დამბარტონი 0:3

### ასოციაციის თასი III ეტაპი

ალოა (II) — ქუინ ოფ საუთი (II) 1:0; ბერვიკი (II) — კოუდენბითი (II) 1:0; ბრეჩინი (III) — ალბიონი (III) 0:1; კლაიდბენკი (II) — სტრანრერი (II) 0:1; დევერონველი (IV) — სპარტანსი (IV) 0:0; ისტ სტირლინგი (III) — ფორეს მექანიკსი (IV) 1:1; ფორფარი (II) — თრივ როვერსი (IV) 2:0; ჰამილტონი (II) — მონტროუზი (III) 4:0; ქუინზ პარკი (III) — ისტ ფაიფი (III) 0:0

## საბერძნეთი

მე-9 ტური: პანიონიოსი — აეკ 2:6; ქსანთი — ეგალეო 4:2; არისი — პანაჰაიკი 1:1; იონიკოსი — ეთნიკოსი 1:0; ირაკლისი — აკრატიტოსი 1:1; პანათინაიკოსი — პაოკ 1:2; ოფი — ოლიმპიაკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 9 | 8 | 0 | 1 | 21:5 | 24 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 5 | 4 | 0 | 23:10 | 19 |
| არისი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:7 | 16 |
| ქსანთი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| პაოკ | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| ოფი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:10 | 14 |
| პანათინაიკოსი | 9 | 3 | 3 | 3 | 21:12 | 12 |
| ირაკლისი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | 12 |
| ეთნიკოსი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| პანიონიოსი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:18 | 10 |
| აკრატიტოსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| იონიკოსი | 9 | 0 | 5 | 4 | 7:15 | 5 |
| პანაჰაიკი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:22 | 5 |
| ეგალეო | 9 | 0 | 2 | 7 | 11:25 | 2 |

## დანია

მე-19 ტური: მიდტიულანდი — ესბიერგი 1:1; ვაილე — სილკებორგი 0:4; ორჰუსი — ლიუნგბიუ 7:0; ბრონდბიუ — კოპენჰაგენი 1:0; აკადემისკი — ვიბორგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 19 | 13 | 4 | 2 | 45:11 | 43 |
| კოპენჰაგენი | 19 | 9 | 6 | 4 | 29:17 | 33 |
| აკადემისკი | 19 | 8 | 8 | 3 | 31:20 | 32 |
| ესბიერგი | 19 | 9 | 3 | 7 | 29:27 | 30 |
| ოლბორგი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:27 | 30 |
| მიდტიულანდი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:18 | 26 |
| ოდენსე | 18 | 6 | 7 | 5 | 27:27 | 25 |
| ვიბორგი | 19 | 5 | 8 | 6 | 23:24 | 23 |
| ორჰუსი | 19 | 4 | 5 | 10 | 25:33 | 17 |
| სილკებორგი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:29 | 16 |
| ვაილე | 19 | 4 | 4 | 11 | 22:49 | 16 |
| ლიუნგბიუ | 19 | 2 | 8 | 9 | 18:39 | 14 |


## იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ფასი შეთანხმებით**

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიაკოსთან"

☎ (231) 7 17 63



# სოსიედადი ჭკუას გაეყარა

## ესპანეთი

### XVI ტური

### სოსიედადი 0:0 ბეტისი

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, გურუცეტა, ხავი ალონსო, ტაიფური (ხაბილონდო 61), არანბურუ, ხოხლოვი, იდიაკესი (დემეტრაძე 79), იანკაუსკასი (დე პაულა 39)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, რივასი, კანიასი, ჩაპი, იტო, დენილსონი (ვარელა 55), ხოაკინი, ბენხამინი (მინგო 75), ამატო (დანი 67)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ფილიპესკუ, არანბურუ, ხაბილონდო, ლუის ფერნანდესი
მსაჯი: ლონჩო ანდრეუ
24 000 მაყურებელი

### ტენერიფე 0:2 რეალი

0:1 ელგერა (14), 0:2 ფიგუ (90პ)
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი, ლუსენბოფი, ხავი ვენტა, ბერმუდო (ხაიმე 83), მანელი (ხორდი 75), მარტი, ივან ანია, აკორანი, უგო მორალესი, პიერი (ხისკო 46)
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ი. ელგერა, მაკელელე (სელადესი 40), ფიგუ, ზიდანი (მუნიტისი 86), რაული, მორიენტესი (სოლარი 66)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: მარტი, ლუსენბოფი, ელგერა, მაკელელე, ივან ანია, ზიდანი, ხავი ვენტა, სალგადო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
24 000 მაყურებელი

### ბარსელონა 2:2 სელტა

1:0 გაბრი (2), 2:0 სავიოლა (47), 2:1 სერხიო (72პ.კ.), 2:2 ედუ (84)
ბარსელონა: ბონანო, პ. ანდერსონი, კრისტენვალი (ფ. დე ბური 46), კოკო (ხავი 33), პუიოლი, კოკუ, ხერარდი, გაბრი (სერხიო 46), ოვერმარსი, სავიოლა, რივალდო
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
სელტა: კავალიერო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (სილვინიო 65), კოირა (კატანია 61), კარპინი, მოსტოვოი, ედუ, ხესული (იაგო 90), ლუქსენი, ვაგნერი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ხავი, კოკუ, კარპინი, ბონანო, პუიოლი, ლუქსენი
გაძევება: კარპინი (90)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
65 000 მაყურებელი

### დეპორტივო 1:0 ვალენსია

1:0 ტრისტანი (60პ)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, დონატო, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 47), სკალონი, სერხიო, ვალერონი (ჯოროვიჩი 80), მაკაი (ხოსე მანუელი 70), ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო (კარეუ 77), აურელიო, აიალა, მარჩენა, კარბონი (ჯუკიჩი 60), ანგლომა, ვისენტე, აიმარი, დე ლოს სანტოსი (მისტა 49), სალვა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: სერხიო, აიალა, კანისარესი, ანგლომა, ვალერონი, აიმარი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
31 000 მაყურებელი

### სარაგოსა 0:2 ალავესი

0:1, 0:2 რუბენ ნავარო (34, 48)
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო, აგუადო, პაკო ხემესი, ესკერდინია (ბილიჩი 60), ველისკა, ხოსე იგნასიო, მარკოს ვალესი, აკუნია, ხუანელე (გალეტი 60), იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
ალავესი: ერერა, კოლოჩინი, ტელიესი, კ. კარპუ, ლორესი, იბონ ბეგონია, პაბლო, ასტუდილიო, ტურიელი, მარა (კრუიფი 86), რუბენ ნავარო (ვუჩკო 72)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ტელიესი, რუბენ ნავარო, კარპუ პაბლო
მსაჯი: კარმონა მენდესი
20 000 მაყურებელი

### სევილია 3:3 ბილბაო

1:0 მოიზესი (48), 1:1 ეჩებერია (54), 2:1 რეიესი (57), 2:2 ურსაისი (67), 3:2 რეიესი (70), 3:3 ესკერო (90)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ალვარო, ნიეგუსი, პოდესტა (ოლივერა 46), ფრედი, კასკერო, გალიარდო (პრიეტო 73), მოიზესი (ტოედტლი 83), რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბილბაო: ლაფუენტე, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, ორბაისი, იესტე (ესკერო 62), ხავი გონსალესი, ფელიპე (კარლოს გარსია 44), ალკისა, ტიკო, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ფელიპე, პოდესტა, ორბაისი, ოლივერა, ალკისა, ფრედი
მსაჯი: ესკინას ტორესი
30 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 1:1 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (3), 1:1 კალეხა (25)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, უნაი, კანია, ამორი, ხორხე ლოპესი (გიარე 75), კალეხა (კიკე მარტინი 75), კრაიოვიანუ, ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, ლოპო, სოლდევილა, დავიდ გარსია, მორალესი, პალენსია (ველამასანი 68), ალექს ფერნანდესი, როხერი (დე ლუკასი 46), მარტინ პოსე (ვაკასი 83), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ალექს ფერნანდესი, მორალესი, ტამუდო, როტჩენი, ამორი
მსაჯი: პერეს პერესი
19 500 მაყურებელი

### მალიორკა 1:1 მალაგა

0:1 ნოვო (30პ.კ.), 1:1 ნადალი (33)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, ნადალი, ვისენტე (ფერნანდო ნინიო 5), კამპანო, ნოვო, მარკოსი, ბაჟენოვიჩი (ალბერტო 61), ეტოო, ლუკე
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლიტუში, როტეტა, მიგელ ანხელი, ფერნანდო სანსი, ხოსემი, მუსამპა, რომერო, ხერარდო (ედგარი 78), დელი ვალდესი (ზარატე 78), კანაბალი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: როტეტა, ხოსემი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
14 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:0 ვალიადოლიდი

1:0 არმენტანო (83)
ოსასუნა: უნსუე, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო კონტრერასი, ისკიერდო, პალასიოსი (საბინო 70), პუნიალი, ფერნანდო (რივერო 56), განსედო, ივან როსადო (არმენტანო 80), ალოიზი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ტენა (მარიო 46), ხესუსი, რიკეტი (მარკესი 89), ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე, ბლანკო (ჩემა 63)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ტენა, პუნიალი, პენია, განსედო, მარიო, მარიო
გაძევება: მარიო (90)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
16 015 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 0:0 ლას პალმასი

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, დე კინტანა, ალკასარი (გლაუჩიო 54), მაურო, მაინსი, მიჩელი, პაბლო სანსი, ელდერი (არტეაგა 71), პერაგონი, ბოლიჩი (ბოლო 57), ბალიჩი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუი, შურერი, ანხელი, ხოსიკო, სემვისი, ედუ ალონსო, ხორხე (ელოი 67), პაბლო ლაგო (ტევენეტი 90), ორლანდო (სეკეიროსი 46)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: სემვისი, პაბლო სანსი, მაურო, პაბლო ლაგო, ორლანდო, პაკუი, მაინსი, ხოსიკო
გაძევება: ანხელი (40)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
8 000 მაყურებელი



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — სელტა. მასპინძელ პატრიკ ანდერსონის ტრავმა, ექიმთა თქმით, ისე სამიში არ აღმოჩნდა, როგორც ამ ფოტოზე ჩანს

„ბარსელონასთან" მატჩის წინ ვიგოელთა რუსმა ვალერი კარპინმა თქვა, რივალდო უსახელო გუნდის უსახელო ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, დისკვალიფიკაციას რა ხანია, მისცემდნენ, ასე კი არ ჩქარობენო. ლაპარაკია ორი კვირის წინანდელ „ბარსელონა" — „ბილბაოს" მატჩზე, როცა ბრაზილიელმა მეტოქეს ზურგში იდაყვი ჩასცხო, ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს კი სასჯელის ზომა ჯერ არ დაუდგენია.

რივალდო ადრე თუ გვიან დაისჯება, ვიგოელი კი, ცხადია, იმაზე წუხდა, ჩვენთან მატჩამდე რად არ დასაჯესო. თუმცა რივალდოიანმა „ბარსელონამ" „სელტას" დამარცხება მაინც ვერ შეძლო, აი, კარპინი კი მოედნიდან წითელი ბარათით მიაბრძანეს.

თამაში სწრაფი გოლით დაიწყო — გაბრიმ მეორე წუთზე გაიტანა, რის მერეც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა შესვენებამდე მეტი გოლი აღარ გასულა.

მეორე ტაიმი ზუსტად ისე დაიწყო, როგორც პირველი, ანუ მეორე წუთზე „ბარსელონამ" გაიტანა. ამჯერად გოლი ხავიერ სავიოლამ მიითვალა. გალისიელებმა ისევ შეძლეს თამაშის გათანაბრება, ოღონდ უკვე შედეგიანად: ჯერ სერხის კარპინის ჩაწოდებული ბურთი აეჭრა და ავტოგოლი მიითვალა, მატჩის ბოლოსკენ კი ედუმ გაათანაბრა, რაც „კამპ ნოუზე" მისულთათვის ნამდვილ ტრაგედიად იქცა.

კიდევ ერთი მიზეზი კატალონიელთა გულის გასახეთქად: მადრიდის „რეალმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო და კვირა საღამომდე ლიდერადაც იქცა.

შევნიშნოთ, რომ სამთვიანი მკურნალობის შემდეგ, სერხი პირველად გავიდა მოედანზე და ანტიგმირად იქცა.

სანტა კრუს დე ტენერიფეში ანგარიში საბოლოოდ მომჯობინებულმა ივან ელგერამ გახსნა. პირველ ტაიმში მადრიდელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი კიდევ შექმნეს, შესვენებიდან გასულებმა კი დაცვაში გამაგრება ამჯობინეს. შესაბამისად, ინიციატივა „ტენერიფეს" დარჩა და მეტოქეს ერთი-ორჯერ მწარედაც უკბინა. „სამეფო კლუბს" ნაკბენი არ ეტკინა და ბოლო წუთზე პენალტიც მოინადირა, რომელიც ფიგუმ ზუსტად შეასრულა.

მეორე საღამოს, ანუ კვირას, გაირკვა, რომ „რეალის" ლიდერობა დროებითი მოვლენა იყო, რაკი მისი გადასწრების შანსის მქონე სამი გუნდიდან — „ალავესი", „დეპორტივო", „ბეტისი" — ორმა შანსი გამოიყენა.

„სარაგოსას" ძლევით „ალავესი" ამ ტურშიც ლიდერია. კვლავაც უშეცდომოდ ირჯებოდა ბასკური დაცვის ხაზი, რომელიც საუკეთესოა ესპანეთში, მეტოქე მცველები კი რუბენ ნავარომ დააწიოკა. განსაკუთრებით ლამაზი 23 წლის თავდამსხმელის მეორე გოლი გამოდგა — მან მეკარე ხუანმის ბურთი თავზე გადაუგდო.

კვირის მატჩების შემდეგ „რეალს" „დეპორტივომაც" გაუსწრო. გალისიელებმა „ვალენსია" დაამარცხეს.

მასპინძელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ ორი საუკეთესო თავდამსხმელი — დიეგო ტრისტანი და როი მაკაი შეაწყვილა, რასაც ჩვეულებრივ იშვიათად აკეთებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, გოლი კარგა ხანს არ ჩანდა — აქ მასპინძელთა გულს ვგულისხმობთ, თორემ „ვალენსია" ამ სეზონში [illegible] ერთიცაა, ლა კორუნიაში გასამგზავრებლად აეროპორტში მიმავალი ხუან სანჩესი ავარიაში მოჰყვა. ფეხბურთელი უმნიშვნელოდ დაშავდა, თუმცა „დეპორტივოსთან" სათამაშოდ აღარ წასულა.

მატჩის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კი ხუან კარლოს ვალერონმა იყოჩაღა, რობერტო ფაბიან აიალას საჯარიმოში თავი წააქცევინა, პენალტის დარტყმის უფლება კი ტრისტანს დაუთმო. ვალენსიელთა მეკარე სანტიაგო კანისარესმა, ვინაც შუა კვირაში უეფას თასზე სელტიკელებს სამი პენალტი აუღო, ამჯერად ლაკორუნიელს კუთხე ვერ გამოუცნო და ამ გოლმა „ვალენსიას" წლევანდელ პრიმერადივიზიონში მეორე მარცხი მოუტანა. ისე კი, რაფაელ ბენიტესის გუნდს უკვე ხუთი ტურია აღარ მოუგია.

ამ ტურამდე მეორეადგილოსანი „რეალ-ბეტისი" მეოთხემდე დაქვეითდა, რაკი სან სებასტიანში ოდენ ქულას გამორჩა. სევილიელთა მეტოქე მაჩანჩალა „სოსიედადი" კი იყო, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ბეტისისთვის" ეს ერთი ქულაც ზედმეტი გახლდათ, იმდენად დიდი იყო ბასკთა უპირატესობა. მაგრამ, მეორე მხრივ, უპირატესობას რა ჭკუა აქვს, ბლომად საგოლე მომენტებიდან ერთსაც თუ ვერ გამოიყენებ.

უარესი რამ შეემთხვა „ლას პალმასს", რომელიც მადრიდში მშვიდობიანად გაეყარა „რაიო ვალეკანოს". არადა, კუნძულელებს სულ იოლად შეეძლოთ მოგება — 74-ე წუთზე მარკოს სეკეიროსს პენალტიდან კარისთვის რომ არ აეცილებინა.

„კამპ ნოუსი" არ იყოს, ავტოგოლი „სან მოიხზეც" გავიდა, აქაც მასპინძელმა „იყოჩაღა" — ალვარო ნოვომ თავური შეაგდო. კიდევ კარგი, ვეტერანმა მიგელ ანხელ ნადალმა სამ წუთში სანახევროდ გამოასწორა თანაგუნდელის შეცდომა. მეტი „მალიორკამ" ვეღარ შეძლო, თუმცა ერთი-ორი სახიფათო მომენტი მალაგელებმაც შექმნეს.

**გიორგი დარჯანია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 9 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 8 |
| კატანია (სელტა) | 7 |
| რაული (რეალი) | 7 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 7 |
| მოიზესი (სევილია) | 7 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ალავესი | 16 | 9 | 3 | 4 | 19:9 | 10 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 3 | 11 |
| 2 დეპორტივო | 16 | 9 | 2 | 5 | 29:21 | 8 | 29 | 8 | 6 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 19 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:14 | -4 | 10 |
| 3 რეალი | 16 | 8 | 4 | 4 | 29:19 | 10 | 28 | 8 | 5 | 3 | 0 | 17:7 | 10 | 18 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 10 |
| 4 ბეტისი | 16 | 8 | 4 | 4 | 18:13 | 5 | 28 | 8 | 6 | 1 | 1 | 11:3 | 8 | 19 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 9 |
| 5 ბილბაო | 16 | 7 | 6 | 3 | 24:22 | 2 | 27 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 10 | 8 | 5 | 2 | 1 | 16:12 | 4 | 17 |
| 6 სელტა | 16 | 6 | 7 | 3 | 31:20 | 11 | 25 | 8 | 5 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 17 | 8 | 1 | 5 | 2 | 12:12 | 0 | 8 |
| 7 ბარსელონა | 16 | 6 | 6 | 4 | 24:15 | 9 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 9 |
| 8 ვალენსია | 16 | 5 | 9 | 2 | 15:12 | 3 | 24 | 8 | 5 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 18 | 8 | 0 | 6 | 2 | 7:10 | -3 | 6 |
| 9 ვილიარეალი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:16 | 1 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 5 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 8 |
| 10 სევილია | 16 | 5 | 6 | 5 | 26:21 | 5 | 21 | 8 | 3 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 8 |
| 11 ესპანიოლი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:26 | -6 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 5 |
| 12 ვალიადოლიდი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:26 | -8 | 21 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | -9 | 8 |
| 13 მალაგა | 16 | 5 | 5 | 6 | 18:21 | -3 | 20 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 11 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 9 |
| 14 სარაგოსა | 16 | 6 | 2 | 8 | 15:21 | -6 | 20 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 10 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:9 | -3 | 10 |
| 15 ლას პალმასი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:14 | 2 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 15 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:8 | -4 | 4 |
| 16 მალიორკა | 16 | 5 | 4 | 7 | 17:22 | -5 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 3 | 11 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | -8 | 8 |
| 17 ოსასუნა | 16 | 5 | 3 | 8 | 14:22 | -8 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 7 |
| 18 ტენერიფე | 16 | 5 | 2 | 9 | 11:19 | -8 | 17 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 2 | 13 | 8 | 1 | 1 | 6 | 2:12 | -10 | 4 |
| 19 სოსიედადი | 16 | 4 | 3 | 9 | 16:24 | -8 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | -2 | 9 | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | -6 | 6 |
| 20 რაიო ვალეკანო | 16 | 3 | 2 | 11 | 15:29 | -14 | 11 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 | 8 | 0 | 1 | 7 | 6:19 | -13 | 1 |

### XVII ტური

16 დეკემბერი

ვილიარეალი - ბარსელონა
სელტა - სარაგოსა
ალავესი - სევილია
ბილბაო - რაიო ვალეკანო
ლას პალმასი - ოსასუნა
ვალიადოლიდი - ტენერიფე
რეალი - სოსიედადი
ბეტისი - მალიორკა
მალაგა - დეპორტივო
ესპანიოლი - ვალენსია

## მეორე დივიზიონი

### XVIII ტური

### კორდობა 1:1 ბურგოსი

1:0 ლავალი (47), 1:1 სუბისარეტა (63)

### ელჩე 1:1 რასინგი

1:0 ისრაელი (59), 1:1 ბოდიპო (66)

### ატლეტიკო 0:0 ოვიედო

### ალბასეტე 4:0 ხაენი

1:0 დურე (54), 2:0 ბასტი (59), 3:0 ხოსე (72), 4:0 დურე (78)

### ბადახოსი 2:1 ფეროლი

1:0 მოლისტი (42), 1:1 ფრან ნოგეირა (65), 2:1 ბრაკამონტე (90)

### სალამანკა 1:1 ხერესი

0:1 პინედა (18), 1:1 რობერტი (21)

### პოლი ეხიდო 1:0 ხიმნასტიკი

1:0 კრუსი (65)

### სპორტინგი 1:1 ლეგანესი

0:1 გამისი (9), 1:1 ბორეგერო (33)

### მურსია 2:1 ესტრემადურა

1:0 გოდინო (9), 2:0 ლორეტო (46), 2:1 პოლი (77)

### ნუმანსია 1:1 ეიბარი

1:0 ანტონიო ლოპესი (53), 1:1 კაბრეხო (58)

### უელვა 0:0 ლევანტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 18 | 12 | 4 | 2 | 30:12 | 40 |
| ხერესი | 18 | 11 | 2 | 5 | 22:15 | 35 |
| ოვიედო | 18 | 7 | 8 | 3 | 18:10 | 29 |
| რასინგი | 18 | 7 | 7 | 4 | 22:16 | 28 |
| ბურგოსი | 18 | 8 | 4 | 6 | 19:15 | 28 |
| უელვა | 18 | 7 | 7 | 4 | 17:14 | 28 |
| ალბასეტე | 18 | 7 | 6 | 5 | 18:10 | 27 |
| ბადახოსი | 18 | 8 | 3 | 7 | 16:16 | 27 |
| სალამანკა | 18 | 6 | 8 | 4 | 24:23 | 26 |
| ელჩე | 18 | 6 | 7 | 5 | 15:18 | 25 |
| ფეროლი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| სპორტინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 23:22 | 24 |
| ეიბარი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:12 | 22 |
| მურსია | 18 | 5 | 7 | 6 | 17:20 | 22 |
| ნუმანსია | 18 | 5 | 7 | 6 | 19:25 | 22 |
| ხაენი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:24 | 22 |
| კორდობა | 18 | 5 | 5 | 8 | 19:22 | 20 |
| ლეგანესი | 18 | 4 | 8 | 6 | 11:17 | 20 |
| ესტრემადურა | 18 | 4 | 6 | 8 | 13:19 | 18 |
| ლევანტე | 18 | 3 | 7 | 8 | 14:25 | 16 |
| ხიმნასტიკი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:22 | 15 |
| პოლი ეხიდო | 18 | 2 | 6 | 10 | 15:26 | 12 |




ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი: ორი გოლი არ ჩაგვითვალეს!

# ტაპი მუზეებში მიდის

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XVII ტური

**ლიონი 1:0 ბორდო**

1:0 ბონისელი (90ს.კ.)

**მეცი 0:2 პსჟ**

0:1 ოგბეჩე (53), 0:2 ოკოჩა (88)

**ლილი 1:2 სოშო**

0:1 ფრაუ (18), 1:1 ბრუნო შეირუ (44), 1:2 ფრაუ (56)

**ოსერი 2:0 მონაკო**

1:0 მეშე (56), 2:0 ჯ. სისე (67)

**მარსელი 3:2 ლორიანი**

1:0 კავენსი (22), 1:1 კეიტა (28), 1:2 ფეინდუნო (55), 2:2 ჟ. ლერუა (75), 3:2 ლუისი (86)

**სედანი 0:0 რენი**

**ნანტი 1:2 მონპელიე**

1:0 ბონილია (60), 1:1 ფ. სილვესტრი (64), 1:2 მამარუ (78)

**გენგამი 1:0 ლანსი**

1:0 ბარდონი (50)

**ბასტია 2:0 ტრუა**

1:0 ვერელი (48), 2:0 სუმა (50)

**ჩემპიონთა ლიგა** კი არა, „ნანტი“ აგერ, „მონპელიესაც“ ვერ ამარცხებს. გუნდს, რომელსაც აქამდე სტუმრად არ მოეგო.

მასპინძელმა ოლივიე კუინტმა მერვე წუთზე თერთმეტმეტრიანი გააცუდა. თუმცა მეორე ტაიმში კოლუმბიელმა ვიქტორ ბონილიამ მოქმედი ჩემპიონები მაინც დააწინაურა. სტუმრებმაც, თითქოს ამას ელოდნენო, ჯერ სილვესტრმა, შემდეგ კი მანსარემ მასპინძლებს ნიშნის მოგებით მიუთითეს, სადაც ხართ, თქვენი ადგილი სწორედ იქ არისო.

„ლანსმა“ სტუმრად „გენგამთან“ მინიმალური მარცხის მიუხედავად, აქამდე მოგროვილი ქულათა მარაგის ხარჯზე პირველი ადგილი შეინარჩუნა. გამარჯვების გოლი კი სედრიკ ბარდონმა გაიტანა და მასპინძლები სახიფათო ზონას ოდნავ ასცდნენ.

დიდიე დეშანის „მონაკო“ „ოსერს“ პირველ ტაიმში გაუძალიანდა, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისში გი რუს შეგირდებმა უცბად მოამთავრეს საქმე. ჯერ ფილიპ მეშემ გამოიჩინა თავი, შემდეგ კი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ჯიბრილ სისემ სეზონში თავისი მეთერთმეტე გოლი მიითვალა.

მარცხის მიუხედავად, „მონაკოს“ თავკაცმა იხტიბარი არ გაიტეხა: „ოსერს“ ძალიან ძლიერი ფორვარდები ჰყავს. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ჩემს ბიჭებს ურიგოდ არ უთამაშიათ. ეს კი მაიმედებს, რომ რთული ვითარებიდან გამოსავალს ვიპოვით“.

პირველი საშინაო მარცხი იგემა „ლილმა“, რომელსაც „სოშოსთან“ ტრადიციულად უჭირს. პიერ-ალან ფრაუმ მეთვრამეტე წუთზევე შეძლო სტუმართა დაწინაურება, მაგრამ მასპინძლებმა ჩვეული მებრძოლი ხასიათი გამოავლინეს და ტაიმის მიწურულს ბრუნო შეირუმ გაათანაბრა. აი, მეორე ნახევრის დაწყებიდან ათიოდ წუთში კი ისევ ფრაუმ შეაგდო და თავისიანებს სამი ქულა მოუტანა. მატჩის შემდეგ განრისხებულ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ძლივს აკავებდნენ: მის გუნდს ხომ მსაჯმა ორი გოლი არ ჩაუთვალა.

დაძაბულ ბრძოლაში „მარსელმა“ „ლორიანი“ დაამარცხა. მეტოქეებმა ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს, ბოლოს კი საავადმყოფოდან ახლახან გამოწერილი მარსელელთა მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი ბრაზილიელმა ლუის მორეირამ გაახარა. მან შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძელთა გამარჯვებისა შეაგდო.

ამასობაში „მარსელის“ ყოფილმა პრეზიდენტმა, ახლა კი სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ტაპიმ მომავალი სეზონიდან კლუბის შესაძლო დატოვებაზე თქვა: „გუნდში იმიტომ კი არ დავბრუნდი, რომ ძველი სამუშაო ადგილი მენატრებოდა, უბრალოდ, სავალალო მდგომარეობაში მყოფ კლუბს ვერ მივატოვებდი. დარწმუნებული ვარ, „მარსელი“ რამდენიმე თვეში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საფრანგეთში და ჩემი სამსახური აღარ დასჭირდება. მე რამდენიმე პროექტი მაქვს თეატრსა და კინოში, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს მომავალში ვაპირებ. კლუბში საქმიანობის გამო კი ძალიან დაძაბული ვარ და დასვენება მჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 17 | 10 | 5 | 2 | 30:13 | 35 |
| ლიონი | 17 | 10 | 3 | 4 | 32:16 | 33 |
| ოსერი | 17 | 9 | 5 | 3 | 26:18 | 32 |
| ლილი | 17 | 8 | 6 | 3 | 21:15 | 30 |
| პსჟ | 17 | 6 | 9 | 2 | 20:13 | 27 |
| ბორდო | 17 | 7 | 6 | 4 | 15:10 | 27 |
| სოშო | 17 | 7 | 5 | 5 | 26:21 | 26 |
| ტრუა | 17 | 7 | 4 | 6 | 21:20 | 25 |
| მონპელიე | 17 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 22 |
| მარსელი | 17 | 5 | 7 | 5 | 16:15 | 22 |
| გენგამი | 17 | 5 | 5 | 7 | 15:26 | 20 |
| რენი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:25 | 19 |
| ბასტია | 17 | 6 | 1 | 10 | 17:27 | 19 |
| მონაკო | 17 | 4 | 5 | 8 | 16:20 | 17 |
| მეცი | 17 | 5 | 2 | 10 | 9:18 | 17 |
| სედანი | 17 | 3 | 7 | 7 | 18:20 | 16 |
| ლორიანი | 17 | 4 | 3 | 10 | 25:36 | 15 |
| ნანტი | 17 | 3 | 4 | 10 | 13:25 | 13 |

### II დივიზიონი

მე-19 ტური: ბოვე — აიაჩო 0:0; კაენი — ლე მანი 2:0; შატორუ — სენტ ეტიენი 4:0; კრეტეი — გრენობლი 1:1; ისტრი — ნიცა 0:1; ლავალი — ლე ავრი 1:1; ნანსი — ვასკეალი 0:1; ნიმი — ამიენი 0:1; ნიორი — გენიონი 1:1; სტრასბური — მარტიგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 19 | 11 | 6 | 2 | 28:10 | 39 |
| აიაჩო | 19 | 10 | 6 | 3 | 27:14 | 36 |
| ბოვე | 19 | 9 | 7 | 3 | 23:12 | 34 |
| ლე ავრი | 19 | 8 | 9 | 2 | 26:13 | 33 |
| კაენი | 19 | 8 | 6 | 5 | 29:27 | 30 |
| ამიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 26:19 | 29 |
| ნიცა | 19 | 8 | 3 | 8 | 26:21 | 27 |
| ნანსი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:19 | 27 |
| გენიონი | 19 | 6 | 9 | 4 | 21:22 | 27 |
| შატორუ | 19 | 7 | 5 | 7 | 22:20 | 26 |
| ლავალი | 19 | 7 | 4 | 8 | 21:24 | 25 |
| ლე მანი | 19 | 6 | 6 | 7 | 17:23 | 24 |
| ვასკეალი | 19 | 6 | 4 | 9 | 21:27 | 22 |
| სენტ ეტიენი | 19 | 5 | 7 | 7 | 20:26 | 22 |
| ნიორი | 19 | 4 | 9 | 6 | 20:23 | 21 |
| გრენობლი | 19 | 5 | 6 | 8 | 15:29 | 21 |
| ისტრი | 19 | 4 | 6 | 9 | 15:22 | 18 |
| კრეტეი | 19 | 3 | 7 | 9 | 18:27 | 16 |
| ნიმი | 19 | 2 | 9 | 8 | 16:23 | 15 |
| მარტიგი | 19 | 3 | 6 | 10 | 13:26 | 15 |

## თურქეთი

მე-15 ტური: ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 1:0; ისთანბული — დენიზლი 1:1; ბურსა — მალათია 1:0; გიოზთეპე — გაზიანთეპი 1:3; ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი 2:1; რიზე — სამსუნი 1:0; დიარბაქირი — ანთალია 3:1; ტრაბზონი — ფენერბაჩე 2:1; იოზგათი — ქოჯაელი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 11 | 2 | 2 | 38:19 | 35 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 10 | 1 | 4 | 32:16 | 31 |
| ბეშიქთაში | 15 | 9 | 3 | 3 | 36:22 | 30 |
| ისთანბული | 15 | 8 | 2 | 5 | 14:13 | 26 |
| ბურსა | 15 | 8 | 2 | 5 | 21:22 | 26 |
| გაზიანთეფი | 15 | 7 | 4 | 4 | 21:14 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 15 | 7 | 2 | 6 | 35:24 | 23 |
| ქოჯაელი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| ტრაბზონი | 15 | 6 | 3 | 6 | 24:20 | 21 |
| გიოზთეფე | 15 | 5 | 5 | 5 | 13:21 | 20 |
| დენიზლი | 15 | 4 | 6 | 5 | 26:19 | 18 |
| რიზე | 15 | 4 | 5 | 6 | 18:20 | 17 |
| ანთალია | 15 | 4 | 4 | 7 | 22:34 | 16 |
| იოზგათი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:26 | 15 |
| დიარბაქირი | 15 | 4 | 3 | 8 | 23:31 | 15 |
| სამსუნი | 15 | 4 | 2 | 9 | 12:24 | 14 |
| მალათია | 15 | 4 | 0 | 11 | 12:31 | 12 |
| გენჩლერბირლიგი | 15 | 2 | 5 | 8 | 22:33 | 11 |


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციური კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33


## ბელგია

### I დივიზიონი. XV ტური

**სენტ ტრუიდენი 0:2 ლიერსი**

0:1 სელსი (67), 0:2 სნოექსი (87)

ლიერსი: ვან დერ სტრაეტენი (დემანი 13), ლაგრემანსი, ნაჯი, სმეეტსი, პოორტერსი, შიშილაძე, სნოექსი, სელსი, პიუსგემსი (კაჩიჩი 89), ფრიგარდი, ტომპსონი (იანსენსი 90)

მწვრთნელი: რენე ვან ეკერი

მსაჯი: ბლაარო

8 900 მაყურებელი

**მოლენბეკი 2:3 ბრიუგე**

0:1 მენდოსა (8), 0:2 ლანგე (42), 0:3 მარტენსი (60), 1:3 კოლოტილკო (61), 2:3 ორიგი (83)

**ვესტერლო 1:2 ანდერლეხტი**

0:1 ვან ჰუტი (57), 0:2 დე ბილდე (60), 1:2 შასენსი (78)

**სტანდარდი 2:0 აალსტი**

1:0 ლუკუნკუ (22), 2:0 ვანდოორენი (28)

**მუსკრონი 2:4 გენკი**

0:1 სონკი (8), 1:1 დუგარდენი (28), 1:2 დაგანო (33), 1:3 მარჩინ ჟევლაკოვი (52ს.კ.), 2:3 დუგარდენი (75), 2:4 დაგანო (90)

**შარლერუა 0:3 გენტი**

0:1 კაკლამანოსი (41), 0:2 კრისტენსენი (47), 0:3 კაკლამანოსი (72)

**ლოკერენი 2:2 ლუვიე**

1:0 რუდი (28), 1:1 ტილმანი (40), 2:1 ზუნდი (45), 2:2 ზერე (79ს.კ.)

**ბეერსხოტი 3:0 ლომელი**

1:0 დეგრიზე (31), 2:0 სნელდერსი (42), 3:0 მიუსმანსი (70)

**ბევერენი 2:3 ანტვერპენი**

0:1 სერგანტი (16), 1:1 გრონდინი (48), 1:2 მუსა (58), 1:3 იატარა (65), 2:3 გრონდინი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 15 | 12 | 1 | 2 | 38:16 | 37 |
| გენკი | 16 | 10 | 5 | 1 | 46:21 | 35 |
| გენტი | 16 | 10 | 3 | 3 | 31:21 | 33 |
| სტანდარდი | 15 | 9 | 4 | 2 | 28:16 | 31 |
| ანდერლეხტი | 15 | 8 | 5 | 2 | 31:17 | 29 |
| ლოკერენი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 28 |
| ბეერსხოტი | 16 | 7 | 5 | 4 | 35:23 | 26 |
| სენტ ტრუიდენი | 16 | 5 | 4 | 7 | 23:26 | 19 |
| ლომელი | 16 | 4 | 6 | 6 | 27:34 | 18 |
| აალსტი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:32 | 18 |
| შარლერუა | 16 | 5 | 3 | 8 | 14:29 | 18 |
| ლიერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 21:24 | 17 |
| მოლენბეკი | 16 | 5 | 2 | 9 | 23:31 | 17 |
| მუსკრონი | 16 | 5 | 1 | 10 | 27:28 | 16 |
| ვესტერლო | 15 | 4 | 3 | 8 | 22:26 | 15 |
| ანტვერპენი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:29 | 15 |
| ლუვიე | 16 | 3 | 4 | 9 | 20:36 | 13 |
| ბევერენი | 16 | 1 | 5 | 10 | 15:39 | 8 |

### II დივიზიონი

მე-16 ტური: გეელი — პატრო 2:1; მონსი — ვიზე 2:0; ლიეჟი — დეხელი 0:0; დაინცე — ინგელმუნსტერი 1:2; ვირტონი — დენდერლეეუ 1:2; მეუსდენი — რონსი 1:1; სტრომბეეკი — სერკლი 1:1; ტიენენი — რუზელარე 1:1; ფლაანდერენი — მეხელენი 1:1

## შვეიცარია

### ● ჯგუფი. XXII ტური

**სიონი 0:1 ციურიხი**

0:1 მაგრო (86)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ჟანინი, ჩინაბა, პელინგა, პელდმანი, ჯამარაული, მაგრო, ფ. გერერო (დუგლასი 68), შასო (შტოკლასა 88), აკალე (ბიულმანი 78)

მიხეილ ჯაველაშვილი ტრავმირებულია

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

გაფრთხილება: ჩინაბა, ჯამარაული

მსაჯი: ვილდჰაბერი

6 800 მაყურებელი

**ლუგანო 1:0 აარაუ**

1:0 ბასტიდა (47)

აარაუ: ბენიტო, პეიგი, სკრჟიჩაკი, ტარონე, ტოლე, ფრიდლი (შენკერი 83), მელუნოვიჩი, ვოიცეხოვსკი, დე ნაპოლი (ბალდასარი 60), გიგაქსი, ოკპალა

ლევან ხომერიკი განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

მსაჯი: როგალია

25 000 მაყურებელი

**გრასჰოპერი 4:1 ქსამაქსი**

1:0 კასტილიო (15), 2:0 შაპუიზა (69), 2:1 ტაჩემესა (76), 3:1 შაპუიზა (87), 4:1 შვეგლერი (90)

**ლუცერნი 0:1 ბაზელი**

0:1 ტუმი (85)

**სერვეტი 1:1 ლოზანა**

0:1 შავერია (7), 1:1 ა. ფრეი (46)

**იანგ ბოისი 1:0 სენტ გალენი**

1:0 სერმეტერი (90)

**I ეტაპის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 22 | 13 | 4 | 5 | 52:37 | 43 |
| ლუგანო | 22 | 11 | 5 | 6 | 39:33 | 38 |
| გრასჰოპერი | 22 | 11 | 4 | 7 | 50:33 | 37 |
| სენტ გალენი | 22 | 9 | 8 | 5 | 38:32 | 35 |
| სერვეტი | 22 | 9 | 7 | 6 | 36:29 | 34 |
| სიონი | 22 | 10 | 3 | 9 | 40:29 | 33 |
| იანგ ბოისი | 22 | 8 | 7 | 7 | 35:28 | 31 |
| ციურიხი | 22 | 7 | 9 | 6 | 24:27 | 30 |
| აარაუ | 22 | 7 | 6 | 9 | 28:25 | 27 |
| ქსამაქსი | 22 | 6 | 7 | 9 | 28:36 | 25 |
| ლოზანა | 22 | 4 | 4 | 14 | 24:49 | 16 |
| ლუცერნი | 22 | 3 | 4 | 15 | 23:59 | 13 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XIV ტური

**ლეირია 7:0 სალგეიროში**

1:0 დერლეი სილვა (24პ), 2:0 ჟუნიო (36), 3:0, 4:0, 5:0 დერლეი სილვა (45, 49, 54), 6:0 ლიუნი (73პ), 7:0 ჟუნიო (79)

**ჟილ ვისენტე 3:2 ალვერკა**

1:0 ფილიპე (19), 1:1 სუარეში (27), 2:1 ლომბა (29), 2:2 რამირესი (68პ), 3:2 ლომბა (70)

**სანტა კლარა 1:0 სეტუბალი**

1:0 ტელმო სილვა (20)

**სპორტინგი 4:0 ვარზიმი**

1:0 კუარეშმა (2), 2:0, 3:0 ჟარდელი (19, 29), 4:0 ჟოაუ პინტუ (43)

**ბოავიშტა 0:1 მარიტიმუ**

0:1 ნელუში (32)

**ბრაგა 3:2 ბეირა მარი**

0:1 ფური (30), 1:1 ბაროსო (45), 1:2 პეტროლინია (63), 2:2 მირან სილვა (66), 3:2 ბარატა (68)

**გიმარაეში 2:0 პორტუ**

1:0 მარკო კოუტუ (2), 2:0 ნუნუ ასისი (45)

**ფერეირა 2:1 ბენფიკა**

1:0 ზე მანუელი (11), 1:1 მანუელ პინტუ (14), 2:1 ლ. რიბეირუ (25)

**ფარენსე 2:2 ბელენენსეში**

1:0 ნადერი (50პ), 1:1 ბეზერა (61), 2:1 ნადერი (84), 2:2 პეიშოტო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 14 | 9 | 2 | 3 | 33:10 | 29 |
| პორტუ | 14 | 9 | 1 | 4 | 27:12 | 28 |
| ბენფიკა | 14 | 7 | 6 | 1 | 23:14 | 27 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 2 | 4 | 24:12 | 26 |
| გიმარაეში | 14 | 6 | 4 | 4 | 15:14 | 22 |
| ლეირია | 14 | 5 | 6 | 3 | 25:13 | 21 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 0 | 7 | 18:16 | 21 |
| ბელენენსეში | 14 | 6 | 3 | 5 | 19:20 | 21 |
| ბრაგა | 14 | 5 | 4 | 5 | 18:12 | 19 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 5 | 3 | 6 | 17:23 | 18 |
| ბეირა მარი | 14 | 4 | 5 | 5 | 26:25 | 17 |
| ფერეირა | 14 | 4 | 5 | 5 | 17:24 | 17 |
| სეტუბალი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:16 | 16 |
| სანტა კლარა | 14 | 4 | 4 | 6 | 11:18 | 16 |
| ფარენსე | 14 | 4 | 3 | 7 | 11:21 | 15 |
| სალგეიროში | 14 | 4 | 2 | 8 | 12:32 | 14 |
| ალვერკა | 14 | 3 | 3 | 8 | 18:29 | 12 |
| ვარზიმი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:30 | 9 |

### II ლიგა

მე-14 ტური: კამპომაიორენსე — ამადორა 0:0; მაია — პორტიმონენსე 4:1; ლეცა — ოლივეირენსე 1:1; რიუ ავე — ოვაირენსე 1:1; ლამაში — პენაფიელი 2:0; ქაპინოუ — ნავალი 2:2; შავეში — ფელგეირაში 5:0; ავეში — მორეირენსე 2:4

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XVII ტური

**პსვ 1:0 ტვენტე**

1:0 ოიერი (63პ)

პსვ: ვატერეუსი, ოიერი, ფაბერი (ვან ბომელი 46), ნიკოფოროვი, ბაინცე (ბოგელუნდი 39), ლუსიუსი, ფოგელი, ბახოძიძე, რომედალი, ა. რამზი (კოლინი 79), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

მსაჯი: ტემინკი

31 000 მაყურებელი

**გრონინგენი 0:0 სპარტა**

**ფეიენოორდი 5:0 ნაიმეგენი**

1:0 ტომასონი (40), 2:0, 3:0 ვან პოიდონკი (45, 52პ), 4:0 ბოსველტი (56), 5:0 კორნეევი (84)

**ტილბურგი 2:2 ჰერენვენი**

1:0 შუკოვი (36), 2:0 ბომბარდა (62), 2:1 ოლბოკი (80), 2:2 რადომსკი (90)

**ბრედა 0:1 ვალვაიკი**

0:1 პუგენდორპი (90)

**ალკმაარი 1:2 როდა**

1:0 კრომკამპი (6), 1:1 ლიუბერსი (13), 1:2 ბერგლუნდი (59)

**სიტარდი 1:3 დენ ბოსხი**

0:1 დე ფრეიტაში (24), 1:1 ლანდერლი (47), 1:2, 1:3 ვან დენ ეედე (51პ, 81)

**ვიტესი 2:1 გრააფსხაპი**

1:0 ბ. პეეტერსი (47), 2:0 კლასენსი (54), 2:1 შულპი (68პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 15 | 11 | 1 | 3 | 36:11 | 34 |
| აიაქსი | 15 | 10 | 2 | 3 | 35:18 | 32 |
| პსვ | 17 | 9 | 3 | 5 | 32:23 | 30 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 5 | 3 | 29:12 | 29 |
| ვიტესი | 16 | 8 | 5 | 3 | 18:11 | 29 |
| ბრედა | 17 | 8 | 4 | 5 | 30:25 | 28 |
| უტრეხტი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:21 | 27 |
| ვალვაიკი | 17 | 8 | 2 | 7 | 25:19 | 26 |
| ტილბურგი | 17 | 4 | 8 | 5 | 26:28 | 20 |
| ალკმაარი | 17 | 6 | 2 | 9 | 19:23 | 20 |
| დენ ბოსხი | 16 | 4 | 7 | 5 | 24:24 | 19 |
| ნაიმეგენი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:30 | 19 |
| როდა | 17 | 5 | 3 | 9 | 17:25 | 18 |
| გრონინგენი | 17 | 5 | 3 | 9 | 18:29 | 18 |
| სპარტა | 17 | 4 | 6 | 7 | 17:33 | 18 |
| გრააფსხაპი | 17 | 5 | 2 | 10 | 21:32 | 17 |
| ტვენტე | 16 | 3 | 7 | 6 | 17:22 | 16 |
| სიტარდი | 16 | 2 | 3 | 11 | 14:37 | 9 |

### II დივიზიონი. XVII ტური

მე-17 ტური: ოსი — ტელსტარი 1:1; დენ ჰააგი — ვენლო 3:3; კამბური — დორდრეხტი 1:1; ზვოლე — ეინდჰოვენი 2:1; ჰაარლემი — იგლსი 1:1; ჰელმონდი — ექსელსიორი 1:1; როზენდალი — ვოლენდამი 1:2; ვეენდამი — ჰერაკლესი 1:1; ემენი — მაასტრიხტი 3:0



## როი ჰოჯსონი

დაიბადა 1947 წლის 3 აგვისტოს

1965-75: თამაშობდა „კრისტალ პალასში", „მეიდსტოუნ იუნაიტედსა" და სამხრეთაფრიკულ „ბერი პარკში".

1976-80: დაინიშნა შვედური „ჰალმსტადის" მწვრთნელად. გუნდს ორჯერ მოაგებინა ქვეყნის ჩემპიონობა.

1982: გადავიდა „ბრისტოლ სიტიში", რომელსაც 27 მატჩში უთავკაცა. გუნდის მეოთხე დივიზიონში (ახლანდელი მესამე) გავარდნის შემდეგ გაათავისუფლეს.

1985-90: დაბრუნდა შვედეთში. მისი ხელმძღვანელობით „მალმიო" ხუთჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

1990-92: მუშაობდა შვეიცარიულ „ქსამაქსში".

1992-95: დაინიშნა შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელად. 28 წლიანი შესვენების შემდეგ ნაკრები ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა.

1996-97: გადავიდა მილანის „ინტერში". პირველ იტალიურ სეზონში გუნდი სერია A-ში მეშვიდე ადგილზე გაიყვანა, მომდევნო სეზონში კი უეფას თასის ფინალში ათამაშა.

1997-98: სამშობლოში დაბრუნებულმა „ბლექბერნი" ჩაიბარა და უეფას თასზე გაიყვანა. სეზონის პირველ წრეში ცუდი შედეგისთვის მოხსნეს.

1999: აპრილში „ინტერის" ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა, აგვისტოში კი შვეიცარიული „გრასჰოპერი" ჩაიბარა.

2000: დაინიშნა დანიური „კოპენჰაგენის" მწვრთნელად და ბოლო შვიდ სეზონში გუნდს ჩემპიონის პირველი ტიტული მოაგებინა.

2001: მიმდინარე სეზონის წინ გახდა „უდინეზეს" მწვრთნელი, საიდანაც გუშინ გაათავისუფლეს.

# მისტერ როი ინტერვიუმ მოხსნა

**იტალიურმა** „უდინეზემ" ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი გაათავისუფლა.

თავისთავად მწვრთნელის მოხსნაში უცნაური არაფერია — პრეზიდენტია და გუნება, უნდოდა და მოხსნა (ჰო, „უდინეზეს" მეთაურს ჯამპაოლო პოცო ჰქვია). მართალია, ჰოჯსონს ურიგო შედეგები არ ჰქონია — გუნდი სერია A-ში მეცხრე ადგილზეა და იტალიის თასის მეოთხედფინალშიც გავიდა „ინტერის" დამარცხების შემდეგ — მაგრამ არც ამ შემთხვევაშია მოხსნა უცნაური, ბოლოს და ბოლოს, „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის მომგები იუპ ჰაინკესი გააგდო თავის დროზე.

თუ მაინცდამაინც უცნაურობაზე მიდგა საქმე, ის მოხსნისწინა ამბებშია. საქმე კი ამგვარად იყო: კვირას „უდინეზემ" სერია A-ს მორიგ ტურში „ვერონას" 2:1 მოუგო. იმავე დღეს ინგლისურ „დეილი მეილში" გაჩნდა ცნობა, რომ იტალიაში „მისტერ როიდ" ცნობილი ჰოჯსონი „უდინეზეში" თავს უბედურად გრძნობს, რაკი კლუბის ხელმძღვანელობა მას ჭკუას არ ეკითხება. მაგალითად, სეზონის წინ სტეფანო ფიორესა და ჯულიანო ჯანიკედას „ლაციოში" გაშვების ფაქტია მოყვანილი, რაც მწვრთნელის დაუკითხავად მომხდარა.

გუშინ დილით „დეილი მეილის" ამ სტატიის შინაარსმა ჯამპაოლო პოცოს ყურამდეც მიაღწია და, ბუნებრივია, აღაშფოთა. პრეზიდენტის აღშფოთების ამბავი კი თავის მხრივ, ჰოჯსონმაც შეიტყო და სასწრაფოდ და საჯაროდ განაცხადა, ინგლისური გაზეთისთვის მსგავსი არაფერი მითქვამსო.

წესით და რიგით, გაუგებრობა ამით უნდა ამოწურულიყო და მწვრთნელსა და მის დამქირავებელს მეგობრულად უნდა ჩამოერთმიათ ერთმანეთისთვის ხელი.

როგორც გუშინ საღამოს გაირკვა, პოცომ და ჰოჯსონმა ხელი მართლაც ჩამოართვეს, ოღონდ დამშვიდობების ნიშნად და ინგლისელიც თავის გზას გაუდგა— უდინეს გაეცალა.

ვინ იქნება გუნდის ახალი თავკაცი, ჯერჯერობით უცნობია, თუმც ყველაზე ხშირად ჯანპიერო ვენტურას სახელს ახსენებენ. ერთი რამ კი ახლავე ცნობილია. კერძოდ ის, რომ დღეს „პარმასთან" სათასო მატჩში „უდინეზეს" მეკარეთა მწვრთნელი ალესანდრო ძამპა გაუძღვება.

**გიორგი დარჯანია**

# ვიცი. მაგრამ არ გეტყვით

## ჩაფართა თავი თავების მტვრევას შეუდგა



დიკ ადვოკაატი

**დიკ ადვოკაატი** ბოლო დღეებს ითვლის „აიბროქსზე", უფრო სწორედ „რეინჯერსის" მენეჯერის პოსტზე. გლაზგოელ „ჩაფრებს" მალე ახალი დამრიგებელი ეყოლებათ, შობამდე თუ არა, ნაახალწლევს მაინც.

რატომ მიდის ადვოკაატი? ამაზე თავს უფრო ჰოლანდიაში იმტვრევენ, ვიდრე გლაზგოში. ნიდერლანდელთა ეროვნული გუნდი, რომელიც კორეა-იაპონიის მუნდიალზე ვერ მოხვდა, უმწვრთნელოდაა. დიკ ადვოკაატი ამ პოსტისთვის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი კია, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. თანაც ადვოკაატი „რეინჯერსიდან" წასვლას არ აპირებს — სეზონის ბოლომდე კლუბის ტექნიკური დირექტორი იქნება. თუმცა ეს ხელს არ შეუშლის სამწვრთნელო კარიერა ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში გააგრძელოს, რომელიც ადრეც გაუწვრთნია — 1994 წელს აშშ-ში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ადვოკაატი მოძღვრავდა თანამემამულეებს.

გლაზგოში კი სხვა რამეზე იმტვრევენ თავს — ვინ შეცვლის ადვოკაატს. კანდიდატთა შორისაა „იფსვიჩის" შოტლანდიელი მენეჯერი ჯორჯ ბარლი და ბერტი ფოგთსიც, რომელიც ახლა ქუვეითის ნაკრების დამრიგებელია.

აიბროქსელთა მთავარი ფავორიტი კი „ჰიბერნიანის" მენეჯერი ალექს მაკლიში გახლავთ. 42 წლის მაკლიში ის კაცია, ვინც ალექს ფერგიუსონის მიერ ნაწრთობ „აბერდინში" ბურთაობდა 80-იანი წლების დასაწყისში და შოტლანდიის ჩემპიონობის გარდა ევროპის თასების თასიც მოუგია, ეროვნულ გუნდში კი 77-ჯერ უთამაშია. მას, როგორც მენეჯერს, იმით შეუძლია მოაწონოს თავი რეინჯერსელებს, რომ მისი მეთაურობით „ჰიბერნიანი" სქოთური პრემიერლიგის წინა გათამაშებაში მესამე ადგილზე აღზევდა და შოტლანდიის თასის ფინალამდე მიაღწია.

— „რეინჯერსს" ახალი მწვრთნელი ეყოლება, თუმც ჯერ ზუსტად არ ვიცი როდის. სამაგიეროდ, ვიცი, ვინ იქნება ის, მაგრამ ამას ახლა არ გეუბნებით" — განაცხადა დიკ ადვოკაატმა, ხოლო „რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიური უფრო თავშეკავებული გახლდათ: — ხალხი დაინტერესებულია ამით, მაგრამ ჯერ ეგ არის და ეგ. ახალი მენეჯერის სახელს მაშინ გამოვამზეურებთ, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება.

დიკ ადვოკაატის გადადგომის მიზეზი შესაძლოა „რეინჯერსის" ბოლოდროინდელი წარუმატებლობებიც იყოს. „ჩაფრებმა" ჩემპიონთა ლიგაში ვერ შეაღწიეს, უეფას თასზე წარმატებით კი მიიწევენ, მაგრამ შინ „სელტიკთან" მეტოქეობაში ჯერაც ვერაფერი გააწყვეს — „სელტიკ პარკზეც" წააგეს და „აიბროქსზეც", შედეგად, „სელტიკს" თორმეტი ქულით ჩამორჩებიან. ერთი სიტყვით, შოთა არველაძის „რეინჯერსს" მალე სხვა გაწვრთნის. ადვოკაატის „ჩაფრული" მონაგარი კი, ორჯერ შოტლანდიის ჩემპიონობა და ამდენჯერვე თასის აღებაა.

**დავით თაგართქილაძე**



ალექს მაკლიში

**ინგლისური** „ფულემის" მოთამაშეთა მიერ „ევერტონთან" მატჩში ჩადენილი საქციელი შესაძლოა კლუბს 250 000 ფუნტი დაუჯდეს. ჟან ტიგანას შეგირდები მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან უხეშობდნენ. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდისას ლუიშ ბოა მორტემ „ევერტონის" მცველ ვეირს წიხლი ჩაარტყა, რის შედეგადაც ორივე მოთამაშე მოედნიდან გააძევეს. თანაც ბოა მორტეს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს. „ფულემის" თავდამსხმელისთვის ეს უკვე მეორე წითელი ბარათია მიმდინარე სეზონში. ლონდონური კლუბის მეორე თავდამსხმელმა ბარი ჰეილსმა ის ეპიზოდი სათამაშო სიტუაციად შეაფასა და თანაგუნდელისთვის მიცემულ წითელ ბარათს გადამეტებული უწოდა. თავის მხრივ შეგირდი „ევერტონის" მენეჯერმა უოლტერ სმიტმაც დაიცვა. თუმც ზემოაღნიშნული შეხვედრის უსიამოვნო მომენტები ამით არ ამოწურულა. ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმართათვის განკუთვნილი ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი „ფულემის" ნახევარმცველ სტიდ მალბრანკს მოხვდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საბოლოო გადაწყვეტილებას კასეტის განხილვისა და მთავარი მსაჯის ფილ დაუდის მოხსენების შემდეგ მიიღებს.

**კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში აფრიკის ფეხბურთის ფედერაციათა კონფედერაციის ტექნიკური და საინფორმაციო კომიტეტთა 27 წევრი მონაწილეობდა, ამ ტიტულის მოპოვების რეალური შანსი სამ ფეხბურთელს აქვს — ელ-ჰაჯის დიუფს (სენეგალი, „ლანსი"), სამუელ ეტოოს (კამერუნი, „მალიორკა") და სამუელ კუფურს (განა, „ბაიერნი"). საბოლოო შედეგები მომავალი წლის დასაწყისში სამხრეთ აფრიკაში გახდება ცნობილი, სადაც შედგება კიდეც დაჯილდოების ცერემონიალი.**

**ხორვატიის** ჩემპიონი „ჰაიდუკი" მიროსლავ ბლაჟევიჩის გადაბირების მსურველთა რიგში ჩადგა. შეგახსენებთ, რომ ბლაჟევიჩს წინადადებით ბოსნიის, უკრაინისა და ფრანგული „მარსელის" ხელმძღვანელებმა მას შემდეგ მიმართეს, რაც ხორვატმა გადაწყვიტა, ირანის ნაკრები დაეტოვებინა.

**არგენტინული „რივერ პლეიტის" საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ხოსე მარია აგილარს დარჩა. მას ხმა 9 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა მისცა. აგილარმა მცირედით გაუსწრო მთავარ კონკურენტ უგო სანტილიას. შევნიშნოთ, რომ ხმის მიცემის უფლება სეზონური აბონემენტის ყველა მფლობელს აქვს. საერთო ჯამში არჩევნებში მონაწილეობა 27 000-მა გულშემატკივარმა მიიღო. 39 წლის ხოსე მარია აგილარი ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა არგენტინული კლუბის ისტორიაში. პროფესიით იურისტი აგილარი 1996 წლიდან კლუბის მდივნის მოვალეობას ასრულებდა.**

**ესპანური** „რაიო ვალეკანო" აპირებს, დღეიდან ფეხბურთელებს სალეჭი რეზინი აღარ დაურიგოს. საქმე ისაა, რომ კლუბის ბიუჯეტში მხოლოდ 12 მილიონი ევრო (10 მილიონი დოლარი) დარჩა. ასეთივე საფრთხეშია ჩავარდნილი პრიმერადივიზიონის კიდევ სამი კლუბი. „რაიო ვალეკანოს" გაჭირვებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ სეზონის დასაწყისში თითოეულ ფეხბურთელს მხოლოდ ორ-ორი წყვილი ფორმა დაურიგეს და თუკი რომელიმე მათგანი მატჩის შემდეგ მაისურს მოწინააღმდეგეს გაუცვლიდა, მაშინ მას კლუბის მაღაზიაში ახალი ფორმის ყიდვა საკუთარი ფულით მოუწევდა. სალეჭი რეზინების დარიგების აკრძალვა კი „რაიო ვალეკანოს" ყოველწლიურად 540 დოლარს დაახოგინებს.

**ინგლისური „ტოტენჰემის" თავდამსხმელმა ტედი შერინგემმა განაცხადა, რომ არაა წინააღმდეგი, მომავალში მწვრთნელი გახდეს. 35 წლის ფეხბურთელი ფიქრობს, რომ ყოფილი დამრიგებლების — გლენ ჰოდლის, ალექს ფერგიუსონის, ჯორჯ გრემის, ტერი ვენეიბლზისა და სხვათა გამოცდილება უთუოდ წაადგება. „მოხარული ვარ, რომ ასეთი მაღალი დონის მწვრთნელებთან მითამაშია, მაგრამ როგორ იქნება, არაფერი ვთქვა ჯონ დოჰერტიზე. ის დიდი მწვრთნელია. მასთან დღემდე ვალში ვარ. მე მთელი ცხოვრება ფეხბურთში გავატარე და ლოგიკური იქნება, მწვრთნელის კარიერა დავიწყო. ამ საქმეში კი მთავარია, კლუბში ყველა პატივს სცემდეს ერთმანეთს. თუ ფეხბურთელები ერთმანეთს არ აფასებენ, მწვრთნელს აუცილებლად პრობლემები შეექმნება. მოთამაშეები თვლიან, რომ ყველაფერი იციან, რადგან გულშემატკივრები მათ ისე ეპყრობიან, როგორც ღმერთს" — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა თავდამსხმელმა. გეტყვით, რომ პირველი ნაბიჯები მწვრთნელობაში შერინგემმა „მილუოლში" გადადგა, თუმც მას არ ჰქონდა დრო, ამ საქმით სერიოზულად დაკავებულიყო.**

**კოლუმბიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალვარო ფინა ამ კვირაში სასამართლოში წარსდგება, სადაც მან უნდა განაცხადოს, თუ სად დაიხარჯა კოპა ამერიკის ორგანიზებისთვის ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხული მილიონობით დოლარი. საქმე ისაა, რომ ფინა ჯერ კიდევ ხუთშაბათს უნდა ხლებოდა სამართალდამცავებს, თუმცა თავი შეიკავა. ახლა კი ის ხუთი დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა ეწვიოს მოსამართლეს. ფეხბურთის ფედერაციის სპორტული ტრიბუნალი ჯერაც ფიქრობს, ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ კონტრაქტებზე დაიხარჯა ზემოაღნიშნული თანხა. თავად ალვარო ფინა კატეგორიულად უარყოფს კანონდარღვევასა: „არავის აქვს უფლება, დამადანაშაულოს ფედერაციის ძარცვაში. ეს ბოროტი და უსამართლო ბრალდებაა ჩემს მიმართ" — თქვა ფინამ. მან ასევე დაგმო კრიტიკა იმის გამო, რომ სამხრეთ ამერიკის თასის მომგები კოლუმბიის ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

**ინგლისური ფეხბურთის თილისმის „უემბლის" სრული რეკონსტრუქციის თაობაზე ორიოდ დღის წინ ქვეყნის ხელისუფლებამ და ფეხბურთის ასოციაციამ ხელშეკრულება გააფორმეს. კონტრაქტის საერთო ღირებულება 700 მილიონი ფუნტია. როგორც ვარაუდობენ, სამუშაოები სტადიონზე მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყება და 2005 წლის ზაფხულში დასრულდება. შევნიშნოთ, რომ 1999 წელს შემუშავებულ გეგმასთან შედარებით, ხელისუფლება უფრო იაფად გამოვიდა, რამეთუ უარი ითქვა სასტუმროს აშენებაზე.**

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ემე ჟაკეს რეკომენდაციით ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების თავკაცის პოსტზე რენე ლე ლამერი მიიწვია. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მალაიზიაში ჩატარებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშებში ნაკრები უსახურად გამოვიდა. ფედერაციამაც ბრაზილიური წარმოშობის ჰოლანდიელ ედსონ „დიდო" სილვას პოსტი დაატოვებინა. 53 წლის რენე ლე ლამერი მუშაობას უახლოეს დღეებში შეუდგება და ნაკრებს 2003 წლის აზიის თამაშებისთვის მოამზადებს, რომელიც სწორედ ვიეტნამში გაიმართება.

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

გერმანია. II ბუნდესლიგა. XVII ტური.
14 დეკემბერი.
22.00 010 უნტერჰახინგი-კარლსრუე 1.85 3.2 3.6
22.00 011 ალენი-არმინია 2.4 3.1 2.6
22.00 012 ობერჰაუზენი-დუისბურგი 2.2 3.1 3.0

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXI ტური.
12 დეკემბერი.
21.00 019 ფორტუნა-დრეზდენი 2.4 3.2 2.5
14 დეკემბერი.
21.00 020 აუე-ვერლი 2.1 3.1 3.2
22.00 021 ბრაუნშვაიგი-მაგდებურგი 1.4 3.8 7.0
022 ბრაუნშვაიგი-მაგდებურგი 0:1 1.95 3.2 2.4

ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები.
12 დეკემბერი.
24.00 031 ლივერპული-ფულემი 1.5 3.4 6.5
24.00 032 მანჩესტერი-დერბი 1.25 4.4 8.0
033 მანჩესტერი-დერბი 0:1 1.8 3.2 2.8

ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.
11 დეკემბერი.
23.45 045 სტოკპორტი-ვულვერჰემპტონი 2.0 3.2 3.3
23.45 046 ბირმინგემი-კრისტალ პალასი 1.95 3.2 3.4
12 დეკემბერი.
23.45 047 ვესტ ბრომვიჩი-ქოვენტრი 2.0 3.2 3.3

ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური.
13 დეკემბერი.
23.45 048 მილუოლი-პორტსმუთი 1.8 3.1 4.0
14 დეკემბერი.
23.45 049 შეფილდი-ბარნსლი 1.6 3.3 5.3

ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.
11 დეკემბერი.
23.45 061 უიგანი-ნოტსი 1.75 3.2 4.0

ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური.
14 დეკემბერი.
23.45 062 ბრაიტონი-რედინგი 1.85 3.2 3.6

იტალია. სერია „ბ". XVII ტური.
14 დეკემბერი.
23.45 097 პისტოიეზე-ნაპოლი 2.7 2.7 2.6

პორტუგალია. II ლიგა. გადადებული მატჩი.
12 დეკემბერი.
01.00 158 ფელგეირაში-ოვარენსე 2.4 3.2 2.5

ჰოლანდია. I დივიზიონი. XVIII ტური.
14 დეკემბერი.
23.00 168 სპარტა-ბრედა 2.8 3.3 2.2

ჰოლანდია. II დივიზიონი. XVIII ტური.
14 დეკემბერი.
23.00 177 ოსი-ჰერაკლესი 2.5 3.0 2.5
23.00 178 ჰაარლემი-კამბური 2.6 3.1 2.4
23.00 179 ექსელსიორი-ტელსტარი 1.4 3.8 7.0
180 ექსელსიორი-ტელსტარი 0:1 1.95 3.2 2.4
23.00 181 დენ ჰააგი-დორდრეხტი 1.7 3.0 5.0

თურქეთი. XVI ტური.
14 დეკემბერი.
22.00 206 ფენერბაჩე-ბურსა 1.35 4.0 7.5
207 ფენერბაჩე-ბურსა 0:1 1.9 3.2 2.6

შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.
12 დეკემბერი.
23.45 217 რეინჯერსი-ჰიბერნიანი 1.25 5.0 9.0
218 რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 1.7 3.2 3.2

გერმანია. თასი. მეთექვსმეტედფინალი.
11 დეკემბერი.
22.00 242 ბოხუმი-ლევერკუზენი 5.3 3.5 1.55
12 დეკემბერი.
23.30 243 ოსნაბრუკი-ბაიერნი 10.0 5.6 1.2

გერმანია. თასი. მერვედფინალი.
11 დეკემბერი.
22.00 244 შტუტგარტი-მიუნხენი 1.8 3.1 4.0
22.00 245 უნიონი-ობერჰაუზენი 1.6 3.4 5.0
23.20 246 მაინცი-კაიზერსლაუტერნი 3.4 3.2 1.95
12 დეკემბერი.
22.00 247 აინტრახტი-ჰერტა 3.4 3.1 2.0
22.00 248 ფრაიბურგი-კიოლნი 3.6 3.2 1.85
22.30 249 დარმშტადი-შალკე 5.6 3.6 1.5

ინგლისი. თასის II ეტაპი. გადათამაშება.
12 დეკემბერი.
23.45 250 სტოკი-ჰალიფაქსი 1.25 5.0 9.0

ინგლისი. ლიგის თასი. მეოთხედფინალი.
11 დეკემბერი.
23.45 251 ბლეკბერნი-არსენალი 2.5 3.2 2.4
23.45 252 ტოტენჰემი-ბოლტონი 1,5 3,6 5,6
12 დეკემბერი.
23.45 253 ჩელსი-ნიუკასლი 1,8 3,2 3,8

საფრანგეთი. თასი. ოცდამეთორმეტედფინალი.
14 დეკემბერი.
22.00 254 ნანსი-ნიორი 1,75 3,1 4,2
23.00 255 მეცი-გრენობლი 1,3 4,4 8,0
23.00 256 მონპელიე-მარტიგი 1,3 4,4 8,0

იტალია. თასი. მერვედფინალი. II წრე.
12 დეკემბერი.
21.00 261 იუვენტუსი-სამპდორია 1,3 4,2 9,0

იტალია. თასი. მეოთხედფინალი. I წრე.
11 დეკემბერი.
23.45 262 უდინეზე-პარმა 2,0 3,1 3,4
12 დეკემბერი.
23.45 263 რომა-ბრეშა 1,4 3,8 7,0
13 დეკემბერი.
23.45 264 მილანი-ლაციო 2,2 3,0 3,1

ესპანეთი. თასი. მერვედფინალი. I წრე.
11 დეკემბერი.
00.30 265 ოსპიტალეტი-დეპორტივო 7,0 3,8 1,35
12 დეკემბერი.
23.30 266 ხიმნასტიკი-რეალი 9,0 5,0 1,25
23,45 267 სალამანკა-ბილბაო 3,4 3,1 2,0
23.45 268 სპორტინგი-ვილიარეალი 3,0 3,1 2,2
24.00 269 კორდობა-მალიორკა 2,8 3,1 2,3
24.00 270 ბადახოსი-ვალიადოლიდი 2,7 3,0 2,4
00.30 271 სოციედადი-რაიო 3,0 3,1 2,2

პორტუგალია. თასი. V ეტაპი.
12 დეკემბერი.
20.00 272 ნავალი-სალგეიროში 2,5 3,0 2,5
20.00 273 პორტუ-სანტა კლარა 1,2 5,6 10,0
22.00 274 გიმარაეში-ბრაგა 1,8 3,1 4,0
22.00 275 სეტუბალი-ფელგეირა 1,95 3,1 3,5
22.00 276 სპორტინგი-ფარენსე 1,25 5.0 9,0
23.00 277 ბოავისტა-ალვერკა 1,3 4,4 8,0
01.00 278 ბენფიკა-მარიტიმუ 1,4 3,8 7,0

ჰოლანდია. თასი. მერვედფინალი.
11 დეკემბერი.
23.00 279 ტელსტარი-სპარტა 2,5 3,2 2,4
23.30 280 უტრეხტი-ექსელსიორი 1,4 3,6 6,5
23.30 281 როდა-ჰერენვენი 2,3 3,2 2,7
12 დეკემბერი.
17.00 282 გრონინგენი-ზვოლე 1,45 3,5 6,0
23.00 283 ფეიენოორდი-დენ ბოსხი 1,25 5,0 9,0
23.30 284 ვოლენდამი-პსვ 3,0 3,1 2,2
24.00 285 აიაქსი-როზენდაალი 1,15 6,0 12,0

ბელგია. თასი. მერვედფინალი.
12 დეკემბერი.
23.00 286 ლიერსი-აალსტი 1,8 3,3 3,6
23.00 287 მუსკრონი-მოლენბეკი 1,85 3,3 3,5
23.30 288 ბეერსხოტი-სტ. ტრუიდენი 1,6 3,4 5,0

თურქეთის თასის 1/8 ფინალი.
11 დეკემბერი.
22.00 290 ფენერბაჩე-დენიზლი 1,25 5,0 9,0
12 დეკემბერი.
14.30 291 ტრაბზონი-სამსუნი 1,5 3,5 6,0
14.30 292 გაზიანთეფი-რიზე 1,6 3,4 5,0
14.30 293 ქოჯაელი-გენჩლერბირლიგი 1,45 3,8 6,0
22.00 294 ბეშიქთაში-იოზგათი 1,25 5,0 9,0

შოტლანდია. თასის II ეტაპი. გადათამაშება.
11 დეკემბერი.
23.45 295 ისტ ფაიფი-ქუინს პარკი 2,0 3,3 3,2

კალათბურთი.
11 დეკემბერი.
04.30 501 ნიუ იორკი-ბოსტონი 1,4 12,0 2,3
04.30 502 მაიამი-მილუოკი 2,1 12,0 1,45
05.00 503 ატლანტა-ფილადელფია 1,7 12,0 1,7
05.00 504 მემფისი-ვაშინგტონი 1,7 12,0 1,7
05.00 505 მინესოტა-გოლდენ სტეიტი 1,15 12,0 4,0
05.30 506 დალასი-პორტლენდი 1,5 12,0 2,0
05.30 507 ჰიუსტონი-კლივლენდი 1,5 12,0 2,0
05.30 508 ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 2,3 12,0 1,4
06.00 509 დენვერი-შარლოტი 1,7 12,0 1,7
07.00 510 საკრამენტო-ორლანდო 1,25 12,0 3,1
07.30 511 ლეიკერსი-სიეტლი 1,05 12,0 6,0
12 დეკემბერი.
05.00 512 ვაშინგტონი-მაიამი 1,3 12,0 2,8
05.00 513 სან ანტონიო-ტორონტო 1,25 12,0 3,1
06.00 514 იუტა-მინესოტა 1,7 12,0 1,7
06.00 515 ფინიქსი-საკრამენტო 1,7 12,0 1,7
07.30 516 კლიპერსი-სიეტლი 1,35 12,0 2,5
13 დეკემბერი.
04.00 517 ინდიანა-ჰიუსტონი 1,2 12,0 3,5
04.00 518 შარლოტი-ტორონტო 1,7 12,0 1,7
04.30 519 დეტროიტი-ნიუ იორკი 1,35 12,0 2,5
05.30 520 დალასი-კლივლენდი 1,2 12,0 3,1
06.00 521 დენვერი-მემფისი 1,2 12,0 3,1
06.00 522 გოლდენ სტეიტი-ორლანდო 1,75 12,0 1,65

კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური.
12 დეკემბერი.
20.00 548 შლიონსკი-შარლერუა 1,1 12,0 4,0
21.00 549 აეკ-ვილერბანი 1,15 12,0 4,0
21.30 550 ეფესი-ოლიმპიაკოსი 1,6 12,0 1,8
23.00 551 ოსტენდე-პარტიზანი 3,5 12,0 1,15
23.30 552 რეალი-ბუდუჩნოსტი 1,1 12,0 5,0
23.30 553 სკავოლინი-ურალი 1,4 12,0 2,3
23.30 554 ტაუ-ციბონა 1,15 12,0 4.0
23.30 555 უნიკახა-ბენეტონი 1,6 12,0 1,8
13 დეკემბერი.
21.00 556 ცსკა-პო ორტეზი 1,3 12,0 2,8
22.00 557 პერისტერი-ოლიმპია 1,7 12,0 1,7
22.00 558 ჟალგირისი-კინდერი 2,3 12,0 1,35
23.00 559 ალბა-მაკაბი ტელ ავივი 2,1 12,0 1,4
23.30 560 ლონდონი-ულქერი 3,5 12,0 1,15
23.30 561 ბარსელონა-სკაილაინერსი 1,15 12,0 3,5
23.30 562 სკიპერი-პანათინაიკოსი 1,7 12,0 1,7
23.30 563 ზადარი-კრკა 1,45 12,0 2,1

ჰოკეი.
11 დეკემბერი.
04.00 564 აილენდერსი-ოტავა 1,8 4,0 2,2
04.30 565 ტორონტო-ფინიქსი 1,6 4,0 2,7
05.00 566 ვაშინგტონი-პიტსბურგი 2,0 4,0 2,0
05.00 567 ნეშვილი-ლოს ანჯელესი 1,8 4,0 2,2
07.30 568 სან ხოსე-ედმონტონი 1,9 4,0 2,1
12 დეკემბერი.
04.00 569 რეინჯერსი-ნეშვილი 1,5 4,0 3,0
04.00 570 კაროლინა-ფლორიდა 1,55 4,0 2,8
04.30 571 პიტსბურგი-ბოსტონი 1,9 4,0 2,1
04.30 572 ატლანტა-მონრეალი 2,0 4,0 2,0
04.30 573 დალასი-ბუფალო 1,8 4,0 2,2
05.00 574 ნიუ ჯერსი-აილენდერსი 2,0 4,0 2,0
05.00 575 ჩიკაგო-სტ. ლუისი 1,75 4,0 2,3
06.00 576 კოლორადო-კოლუმბუსი 1,35 4,0 3,6
06.00 577 კალგარი-ტამპა ბეი 1,45 4,0 3,2
07.30 578 ანაჰაიმი-ვანკუვერი 2,0 4,0 2,0
13 დეკემბერი.
04.00 579 ოტავა-ფინიქსი 1,7 4,0 2,4
04.00 580 ფილადელფია-მინესოტა 1,45 4,0 3,2
04.30 581 ვაშინგტონი-ბოსტონი 2,0 4,0 2,0
05.00 582 სტ. ლუისი-ტორონტო 1,9 4,0 2,1
06.00 583 ედმონტონი-დეტროიტი 2,0 4,0 2,0
07.30 584 ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 1,9 4,0 2,1

მერკოსურის თასი. ფინალი. I წრე.
12 დეკემბერი.
03.50 401 ფლამენგო (ბრაზილია)-სან ლორენსო (არგენტინა) ---------- 1,65 ---- 3,3 ---- 4,7

მერკონორტეს თასი. ფინალი. I წრე.
12 დეკემბერი.
03.50 402 მილიონარიოსი (კოლუმბია)-ემელეკი (ეკვადორი) ---------- 1,6 ---- 3,4 ---- 5,0

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 დეკემბერი. | | | | | | | | | | | |
| 18.30 | 701 | მიუნხენი-მიონხენგლად. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 702 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 703 | ნიურნბერგი-ზტ. პაული | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 704 | ვერდერი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 705 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 706 | კიოლნი-კოტბუსი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 707 | ჰანზა-ბაიერნი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 5,0 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 708 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 19.00 | 709 | ევერტონი-დერბი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 710 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 19.00 | 711 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 712 | საუთჰემპტ-სანდერლენდ | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 713 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 714 | ვესტ ჰემი-არსენალი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.30 | 715 | ინტერი-კიევო | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.30 | 716 | რეალი-სოსიედადი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 00.30 | 717 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 01.00 | 718 | ლას პალმასი-ოსასუნა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 16 დეკემბერი | | | | | | | | | | | |
| 20.30 | 719 | ვოლფსბურგი-შალკე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.30 | 720 | კაიზერსლ.-შტუტგარტი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 721 | ლიდსი-ლესტერი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,3 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 722 | ჩელსი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,9 |
| 18.00 | 723 | ატალანტა-პარმა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 724 | ბოლონია-პერუჯა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 725 | ფიორენტინა-ბრეშა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 726 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 727 | ლეჩე-ტორინო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 728 | ვენეცია-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 729 | ვერონა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 23.30 | 730 | რომა-მილანი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 731 | ვილიარეალ-ბარსელონა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 20.00 | 732 | სელტა-სარაგოსა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 733 | ბილბაო-რაიო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 734 | ვალიადოლ.-ტენერიფე | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,7 |
| 20.00 | 735 | ბეტისი-მალიორკა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 21.00 | 736 | ალავესი-სევილია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 737 | მალაგა-დეპორტივო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |

გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
რუსთავი კოსტავას გამზირი №23

# მუხრან ვახტანგაძე მსოფლიოს ჩემპიონია



REUTERS პატრადან

პატრაში საქართველოს დროშის დროც დიდგა

## ოქროს ზოდი და წერტილი ვახტანგური ასანიძესთან

ბათუმელ მუხრან ვახტანგაძის რამდენიმეგრამიანი ოქროს მედალი მართლაც იმდენად ძვირფასია, რომ ოქროს ზოდად გვიღირს. გვიღირს, რადგან ბოლო წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებში უოქროობამ ლამის არის მომავლის რწმენა და იმედი ჩაგვიკლა. ძალოსან გიორგი ასანიძის მსოფლიოს ჩემპიონობამ იმის იმედი დაგვიბრუნა, რომ მთლად არ დავჩაჩანაკებულვართ, ხოლო მუხრან ვახტანგაძის პატრაში გამარჯვებამ მომავლისკენ გაგვახედა.

ერთ დროს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონობას ისე ვიყავით მიჩვეულნი, ეს ამბავი რიგით წარმატებად ითვლებოდა. ბოლოს და ბოლოს, ამ სახეობაში აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატებში თვრამეტი ოქროს მედალი მოგვიპოვებია, მაგრამ ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ. ბოლოს ამ სახეობაში ამგვარი სიხარული ჯონი რეხვიაშვილის შეგირდმა გურამ გედეხაურმა თოთხმეტი წლის წინათ განგვაცდევინა. ბედისა თუ განგების წყალობით, პატრაშიც ჯონი რეხვიაშვილის აღზრდილმა გაგვახარა.

მახსენდება სიდნეის ოლიმპიური თამაშები, სადაც მუხრან ვახტანგაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მაშინ შორეულ ავსტრალიაში მუხრანი დიდი იმედებით გაემგზავრა. იქიდან უმედლოდ არ დავბრუნდებიო. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბეგი დარჩიაც იმედიანად იყო. სიდნეიში გამგზავრებამდე ამბობდა, ამ ბიჭმა დღევანდელი საბრძოლო განწყობა თუ შეინარჩუნა, ჩემპიონობისთვისაც შეძლებს ბრძოლასო.

ცოდვა გამხელილი სჯობია და, ერთის იმედიც გადაჭარბებული გვეჩვენა და მეორისაც. კაცმა რომ ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებას მიაღწიო, ჩვეულებრივ, ერთი-ორი ტიტული მაინც უნდა გიმაგრებდეს ზურგს, იმ დროისთვის კი 27 წლის მუხრანის დამსახურებათა ნუსხაში რაიმე ხელშესახები არ ჩანდა. მისი ყველაზე დიდი წარმატება 1998 წელს სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი იყო.

ასე იყო თუ ისე, საბედნიეროდ, შევცდით და მუხრან ვახტანგაძემ სიდნეიში ბრინჯაოს მედლით გაგვახარა. როგორც მაშინ თავად გვითხრა, ამ წარმატებას ვუმადლი ჩემს პირველ მწვრთნელ გოდერძი ბოლქვაძეს, რომელიც სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალაო.

მუხრანი მაშინ ძალიან ემადლიერებოდა ამჟამინდელ მწვრთნელ ჯონი რეხვიაშვილსაც, თავის უფროს კოლეგა თენგიზ თედორაძესა და... ცოლს მაკა ჭყონიას. ამბობდა, მაკა რომ არა, სპორტს დიდი ხნის წინათ მივატოვებდი, სულ ჩამჩიჩინებდა, სიდნეიში მედალს მოიპოვებო.

ალბათ, ახლაც აგულიანებდა. თუმცა, მუხრანს ეს უკვე აღარ სჭირდებოდა. აკი სიდნეიდან შინისკენ მომავალმა, გზად ათენში შეჩერებულმა აკროპოლის მონახულებისას გვითხრა, ახლა მეტი მონდომებით ვივარჯიშებ, ოთხი წის მერე აქედან, ოლიმპიური თამაშებიდან, ჩემპიონად დავბრუნდები და მანამდე სხვა შეჯიბრებებზეც გავიმარჯვებო.

მუხრანი სიტყვას ასრულებს. სიდნეის მერე პირველი დიდი წარმატება სწორედ საბერძნეთში იზეიმა. იზეიმა და თანაც როგორი წარმატება! ამბობს, გამარჯვებებისთვის ყველაზე დიდი სტიმულია ჩემი შვილები, გიორგი და მარიამი არიანო. სიდნეიში გამგზავრებამდე შვილები მამას შეხვეწნიან, ოლიმპიადიდან ოქრო ჩამოგვიტანეო. მართალია, შვილებმა მამის სიდნეური ბრინჯაო ოქროსგან ვერ გაარჩიეს, მაგრამ მუხრანმა გვითხრა, რაკი მათ ჩემპიონის ოქროს მედალს შევპირდი, არაერთ ოქროს მოვიპოვებო.

ახლა მუხრან ვახტანგაძე მსოფლიოს ჩემპიონია! მან ამ წარმატებით ოქროს წერტილი დაუსვა საქართველოს სპორტსმენთა წლევანდელ მონაგარს. მაგრამ იმედია, მსგავსი წარმატებისთვის წლობით აღარ მოგვიწევს ლოდინი.

**ავთანდილ გურასპაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუხრან ვახტანგაძე მსოფლიოს ჩემპიონია



სიდნეიდან მომავალმა ვახტანგაძემ ათენში გაჩერება და აკროპოლის მონახულება კარგად დასცადა



ოლიმპიური ბრინჯაო მუხრან ვახტანგაძემ ნორვეგიელ ფრიც ანესს წაართვა

## რანი ვართ? მუხრანი!

**ერთი თვის** თავზე საქართველოს ისევ ჰყავს მსოფლიოს ჩემპიონი. ამჯერად სიხარული ბერძნულ-რომაულმა ჭიდაობამ მოგვიტანა. გურამ გედეხაურის მერე, 1987 წლიდან დღემდე, ქართველთათვის მსოფლიოს ჩემპიონატის უმაღლესი საფეხური მიუწვდომელი იყო. საბედნიეროდ, მრავალწლიანი წარუმატებლობის ჯაჭვი მუხრან ვახტანგაძემ გაწყვიტა. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი წარუმატებელი დღის შემდეგ განაწყენებული საქართველოს გუნდის შემყურეთ იმედი ლამის გადაგვეწურა. მაგრამ წინ კიდევ ოთხი წონა იყო და აკი ისიც თქმულა, იმედი ბოლოს კვდებაო. მართლაც, ბერძენ-რომაელთა 46-ე მსოფლიოს პირველობაზე საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა. ვახტანგაძემ ხუთჯერ იბრძოლა და ხუთჯერვე გამარჯვებულმა დატოვა ხალიჩა.

პირველ შეხვედრაში ქართველმა ფალავანმა სლოვაკ ატილა ბატკის მცირე უპირატესობით აჯობა — 3:1. მერე ბულგარელი დიმიტარ სტოიანოვიც სლოვაკის გზას გაუყენა — 5:0. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ, მეოთხედფინალში, ვახტანგაძეს გაცილებით ძლიერი მეტოქე, სიდნეის ოლიმპიადის მეშვიდეადგილოსანი, შვედი მარტინ ლინდბერგი დაუხვდა, თუმცა მუხრანისთვის არც სკანდინაველს შეუქმნია დიდი პრობლემა და ისევ მცირე უპირატესობით — 3:2 გაიკაფა გზა ნახევარფინალისკენ. აქ წარმატების შემთხვევაში მუხრანი მინიმუმ ვერცხლის პრიზიორი ხდებოდა, ხოლო თუ დამარცხდებოდა, ბრინჯაოსთვის ბრძოლა მოუწევდა. ქართველმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, უკრაინელი ალექსანდრ დარაგანი დაამარცხა, თანაც ისე, რომ ქულაც არ აალებინა — 3:0.

დადგა ფინალის დრო. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ სიდნეის ვერცხლის პრიზიორი, ამერიკელი მეტ ლინდლანდი და ბრინჯაოსანი ქართველი. ოლიმპიურ პრიზიორთა დავაში ჩვენიანმა იმარჯვა. ამერიკელს ერთადერთი ქულის აღების საშუალება მისცა. თავად კი გააკეთა ის, რაც გამარჯვებისთვის იყო საკმაოდ — 2:1. მინიმალური სხვაობით მეტოქეების დამარცხება ვახტანგაძისთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. სიდნეიშიც ხომ მინიმალური ანგარიშით გაიკაფა გზა ბრინჯაოსკენ. ოლიმპიადიდან ჩამოსვლის შემდეგ აკი განაცხადა კიდეც, არც დიდი ანგარიშით ვიგებ და არც ქულებს ვურიგებ მეტოქეებსო.

ერთი-ორი სიტყვა სხვებზეც ვთქვათ. 58 კილოგრამ წონაში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანმა ირაკლი ჭოჭუამ პირველივე ორ შეხვედრაში იწვნია მარცხი, ჯერ უნგრელ იშტვან მაიროშთან — 3:6, მერე ბულგარელ არმენ ნაზარიანთან — 1:12. ბოლოს ისლა მოახერხა, რომ ნაზარიანის ჯავრი გერმანელ სომეხზე, ალფრედ ტერმერჩიანზე იყარა და საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა.

არ გაუმართლა ევროპის ჩემპიონ ალექსანდრე დოხტურიშვილს (69 კგ). კენჭისყრამ პირველივე მეტოქედ სიდნეის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი, კუბელი ფილიბერტო ასკუი არგუნა, რომელმაც 3:0 მოუგო. ალექსანდრე მომავალ მსოფლიოს ჩემპიონთან დამარცხდა. ამის მერე ქართველს მასპინძელ კონსტანტინოს პაპადოპულოსთან მოუწია პაექრობამ. დოხტურიშვილი მასპინძელთა მხურვალე ქომაგობას არ შეუშინდა და გაიმარჯვა, თუმცა, ეს იყო და ეს — მე-18 ადგილი.

მძიმეწონოსანმა გიორგი წურწუმიამ მეოთხედფინალამდე გააღწია. პირველ მეტოქეს, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსან ბელარუს დიმიტრი დებელკას ოთხი ქულა აართვა, ის კი ერთს დააჯერა. მეორე შეხვედრაში პოლონელი იაცეკ იარაჟიც დაამარცხა. მეოთხედფინალური ბარიერი გიორგისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ქართველ მოჭიდავესა და ბულგარელ სერგეი მორეიკოს ერთნაირი ქულები ჰქონდათ (4:4), მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა ბულგარელს მიაკუთვნეს, წურწუმიას კი მე-5 ადგილი შერჩა.

**გიგა გურასპაშვილი**

| | |
|---|---|
| **54 კგ** | |
| 1. ჰასან რანგრაზი | (ირანი) |
| 2. ბრენდონ პაულსონი | (აშშ) |
| 3. ლაზარო რივასი | (კუბა) |
| **58 კგ** | |
| 1. დილშოდ აპიროვი (უზბეკეთი) | |
| 2. კარენ მნაცაკანიანი (სომხეთი) | |
| 3. რობერტო მონზონი (კუბა) | |
| **63 კგ** | |
| 1. ვაგინაკ გალუსტიანი (სომხეთი) | |
| 2. კიმ ინ სუბ (კორეა) | |
| 3. მიქაელ ბეილინი (ისრაელი) | |
| **69 კგ** | |
| 1. ფილიბერტო ასკუი (კუბა) | |
| 2. ალექსეი გლუშკოვი (რუსეთი) | |
| 3. რუსტამ აჯი (უკრაინა) | |
| **76 კგ** | |
| 1. არა აბრაჰამიანი (შვედეთი) | |
| 2. ალექსეი მიშინი (რუსეთი) | |
| 3. კიმ ჯინ სუ (კორეა) | |
| **85 კგ** | |
| 1. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო) | |
| 2. მეტ ლინდლანდი (აშშ) | |
| 3. ალექსანდრ დარაგანი (უკრაინა) | |
| **97 კგ** | |
| 1. ალექსანდრ ბეზრუჩკინი (რუსეთი) | |
| 2. ერნესტო პენა (კუბა) | |
| 3. მეჰმეტ ოზალი (თურქეთი) | |
| **მძიმე წონა** | |
| 1. რულონ გარდნერი (აშშ) | |
| 2. მიჰალი დეაკ-ბარდოში (უნგრეთი) | |
| 3. ქსენოფონ კუციუბასი (საბერძნეთი) | |



სიდნეური კვარცხლბეკი: შანდორ ბაროში, ჰამზა ერლიქაია, მუხრან ვახტანგაძე



მუხრან ვახტანგაძის ყველაზე დიდი ქომაგები მისი მწვრთნელები არიან



REUTERS ფოტო

სად შეხვდებოდნენ ერთმანეთს ანტიკურობა და თანამედროვეობა, თუ არა საბერძნეთში

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთხელ მაიამიმაც იამა



REUTERS

ტორონტო — დენვერი. ვინს კარტერმა (№ 15) ჯეიმს პოუზის „დენვერს" 42 ქულა ჩაუგდო

7 დეკემბერი

**სიეტლი 94:98 მაიამი**

(ძირითადი დრო 88:88)

სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა), ბერი (18), ლუისი (22 ქულა, 11 მოხსნა), ბეიკერი (5), ბუთი (2); რადმანოვიჩი (12), უოტსონი (4), ვილიამსი (3), დრობნიაკი (2), ლონგი (1), ოიედეჯი
მაიამი: კარტერი (7), ჯონსი (17), ელისი (8), გრანტი (15 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (21 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება); სტრიკლენდი (15), ჯექსონი (8), გეტლინგი (7)

9 დეკემბერი

**საკრამენტო 95:88 მაიამი**

საკრამენტო: ბიბი (4), კრისტი (18), სტოიაკოვიჩი (23), ვებერი (18), დივაცი (6), თურქოღლუ (15), პოლარდი (9), ბ. ჯექსონი (2), სმიტი
მაიამი: კარტერი, ჯონსი (14), ელისი (14), გრანტი (8), მურნინგი (13); ჯ. ჯექსონი (17 ქულა, 11 მოხსნა), სტეფანია (19 წუთი, 10 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), სტრიკლენდი (7), გეტლინგი (5)

როგორც იქნა, „მაიამი ჰითის" უიღბლობაც დასრულდა. ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდი 7 დეკემბერს „სიეტლ სუპერსონიქსს" სტუმრობდა და ყველა წინაპირობა არსებობდა იმისთვის, რომ ისედაც დათარსულს პარასკევს ზედიზედ მეცამეტედ წაეგო.

ყველაფერი ერთმა სროლამ გადაწყვიტა. მაიამელები ამ სეზონში ძირითადად აცილებდნენ გადამწყვეტ სროლებს, ამიტომაც აგებდნენ გაუთავებლად, ამჯამად კი გაუმართლათ. მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე ცხრა წამით ადრე სიეტლელმა რაშარდ ლუისმა ორი საჯარიმოდან ერთი ააცილა და 88:86 ანგარიშზე მეტოქეს გადარჩენის შანსი დაუტოვა. „ჰითმა" ივარგა, ახალწვეულმა ჯიმ ჯექსონმა ზედ საფინალო სირენის წინ ოთხიოდ მეტრიდან ჩააგდო და სიეტლის „კი არენას" შემვსებ მაყურებლებს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა ამცნო.

„დამატებით დროში ნამდვილად არ წავაგებდით, არ გვქონდა ამის უფლება. ჯიმმა რომ ჩააგდო, მივხვდი, რომ ყველაფერი დასრულდა" — თქვა ნამატჩევს გამარჯვებულთა მწვრთნელმა პატ რაილიმ. საერთოდ, იგი თავშეკავებული კაცია და ემოციების მოთოკვაც მოახერხა, თუმც ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ იმოქმედა 12 წაგების შემდგომმა გამარჯვებამ მასზე.

ოვერტაიმში ყველაფერი ისე აეწყო, მაიამელები უკეთესს ვერ ინატრებდნენ. მათმა ინტენსიურმა დაცვამ „სიეტლის" შეტევას ხელ-ფეხი შეუბორკა და მასპინძლებმა დამატებით დროში პირველი ათი სროლა ააცილეს. ბურთებს „მაიამიც" აფუჭებდა, თუმც ყოველთვის არა და ოვერტაიმის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე „ჰითმა" ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. როგორც იქნა, ეს დროც გაილია და სტუმრებმაც გამარჯვება იზეიმეს ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მხოლოდ მატჩის საუკეთესო მოთამაშის, ალონზო მურნინგის სახე გამოხატავდა სიხარულის ნაცვლად მოკრძალებას თუ დარცხვენას, შემდეგ მან აღიარა, რომ ყველა თამაში ასე რომ ჩაეტარებინა, „ჰითი" არ დაბეჩავდებოდა.

გაიხარა ვოვა სტეფანიამაც, თუმც იგი ძველი გუნდის, „სიეტლის" ძლევამში ახალს მხოლოდ შორეული მხარდაჭერით შეეშველა. სამაგიეროდ, ვოვამ მონაწილეობა მიიღო „საკრამენტოსთან" შეხვედრაში და თავიც გამოიჩინა. სტეფანია ძირითადად ნბა-ში ბურთაობაში ჭიპმოჭრილ იუგოსლაველ ცენტრს, ვლადე დივაცს მეურვეობდა და რაილის მასზე სამდურავი არ ეთქმის, ასაკოვნმა, მაგრამ ჯერაც ყოჩაღმა დივაცმა შეხვედრა ექვსი ქულით, სამი მოხსნითა და ხუთი პერსონალურით დაასრულა. სტეფანიამ თამაშში ცხრა სროლიდან ხუთი ჩააგდო (ორი საჯარიმო ააცილა), 10 ქულასთან ერთად 5 მოხსნაც მიითვალა და თავისიანებს ფარი მოაგებინა.

„მაიამიმ" 44:36 იძალა მოხსნებში, მაგრამ მაინც წააგო, თუმც ამისთვის პატ მასწავლებელს და მის შეგირდებს არავინ გაკიცხავს. „საკრამენტომ" ორი დღის წინ თვით „ლეიკერსი" დაამარცხა და საერთოდაც, „კინგზი", „მაიამისგან" განსხვავებით, ყოჩაღი გუნდია. გარდა ამისა, 9 დეკემბერს კალიფორნიელებს დაუბრუნდათ ლიდერი და ნბას ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე კრის ვებერი. ვებერმა სადებიუტო შეხვედრაში ქულები სოლიდური რაოდენობით მოიხვეჭა, ხოლო ოპონენტი, ყოფილი საკრამენტოელი ბრაიან გრანტი 8 ქულას დააჯერა.

7 დეკემბერი

**საკრამენტო 97:91 ლეიკერსი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (25), ბიბი (21)
ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 16 მოხსნა), ბრაიანტი (23)

**კლიპერსი 86:102 იუტა**

კლიპერსი: ბრენდი (25 ქულა, 10 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (29), მარშალი (29)

**ორლანდო 129:94 ატლანტა**

ორლანდო: მაკგრეიდი (32), მილერი (22)
ატლანტა: ტერი (21), სტრიკლენდი (16)

**სან ანტონიო 86:76 ფილადელფია**

სან ანტონიო: სმიტი (20), დანკანი (18)
ფილადელფია: კლაქსტონი (19)

**გოლდენ სტეიტი 89:106 შარლოტი**

გოლდენ სტეიტი: მერფი (17 ქულა, 13 მოხსნა)
შარლოტი: ვესლი (25), კემბელი (21), დევისი (20 ქულა, 14 პასი)

**ბოსტონი 109:102 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 92:92)

ბოსტონი: პირსი (26), უოლკერი (17 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), ვილიამსი (17)
ფინიქსი: მარბერი (24 ქულა, 13 პასი), დელკი (20), მარიონი (17 ქულა, 13 მოხსნა), როჯერსი (17)

**ტორონტო 98:96 დენვერი**

(ძირითადი დრო 87:87)

ტორონტო: კარტერი (42 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა, 2 დაფარება), ვილიამსი (17), კლერკი (16)
დენვერი: ვან ექსელი (27), ლაფრენცი (16), ვილიამსი (16)

**ნიუ ჯერსი 96:84 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: კიტლზი (23), მარტინი (19), ვან ჰორნი (17)
კლივლენდი: მიური (24), ილგაუსკასი (19)

**ინდიანა 98:83 ჩიკაგო**

ინდიანა: ონილი (22 ქულა, 11 მოხსნა), ტინსლი (18 ქულა, 10 პასი)
ჩიკაგო: ფიზერი (19)

წინა შეხვედრაში ძონძროხა შაკილ ონილმა „დალასს" 46 ქულა ჩაუგდო და პარასკევს არც „საკრამენტოს" დააკლო ხელი, თუმც მისი 31 ქულა საერთო საქმეს არ ეყო და მისმა „ლეიკერსმა" ბოლო 10 თამაშში პირველად, მიმდინარე სეზონში კი მეორედ წააგო.

საკრამენტოელმა „მეფეებმა" შაკილ ონილს ნამდვილი მეფური პატივი მიაგეს. ლოსანჯელესელ გიგანტს შეტევებისას მუდმივად ახლდა ორი, ხანდახან კი სამი მეურვე და ზეაღმართული ხელების ტყეში ონილს უჭირდა პერიმეტრზე თავისუფალ თანაგუნდელთა მოძებნა. თავად შაკი ბევრს ყრიდა, ალბათ, ხუთივე მეტოქემ რომ უმეთვალყურეოს, იგი მაინც მოიხვეჭს ორ-სამ ათეულ ქულას, მაგრამ ამ შემთხვევაში საკრამენტოელებმა ჩემპიონებს სამქულიანი ხაზის ფარქვეშეთიდან პასებით მომარაგების წყარო გადაუკეტეს. შედეგად „ლეიკერსმა" შორი დისტანციიდან ვერ ივარგა, 19 ნასროლიდან 4 სამქულიანი თუ ჩააგდო (მასპინძლებმა 12 შესაძლებლიდან 8 გამოიყენეს), ქულები დააკლდა და წააგო კიდეც.

ჩემპიონ „ლეიკერსისგან" განსხვავებით, არავის გაკვირვებია ვიცე-ჩემპიონ „ფილადელფიას" მარცხი, რადგან ლონიერ „სან ანტონიოსთან" დაჭიდებულ „სიქსერზს" ორი მთავარი მექულე — ალენ აივერსონი და დერიკ კოულმენი აკლდა. ფილადელფიელებმა მაინც იბრძოლეს და შესაძლოა ემარჯვათ კიდეც, საიდანღაც სრულიად უცნობი ჩარლზ სმიტი რომ არ გამომხტარიყო. ამ 26 წლის სანანტონიოელმა ღრმა სათადარიგომ გადამწყვეტ მეოთხედში 13 ქულა ჩაუგდო სტუმრებს და გამარჯვების იმედი ჩაუკლა. საბოლოოდ მან კარიერაში ყველაზე მეტ — 20 ქულას მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ „ფილადელფიას" სან ანტონიოში თამაში ყოველთვის უჭირდა. „სიქსერზმა" აქ ბოლოს მაშინ მოიგო, როცა მისი დღევანდელი დამაქცევარი, ჩარლზ სმიტი 10 წლისა იყო.

8 დეკემბერი

**პორტლენდი 113:92 სიეტლი**

პორტლენდი: ვოლესი (28), უელსი (27), პატერსონი (19)
სიეტლი: პეიტონი (21), ბეიკერი (20)

**იუტა 111:101 გოლდენ სტეიტი**

იუტა: მელოუნი (39), მარშალი (21), სტოქტონი (15 ქულა, 13 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჰოუზი (26), რიჩარდსონი (18)

**დალასი 95:102 ვაშინგტონი**

დალასი: ფინლი (32)
ვაშინგტონი: ჯორდანი (21 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (19), ჰეივუდი (19)

**ჩიკაგო 87:84 ბოსტონი**

ჩიკაგო: მილერი (20 ქულა, 16 მოხსნა)
ბოსტონი: უოლკერი (27 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი 92:83 ფილადელფია**

მემფისი: გასოლი (24), ვილიამსი (23),
ფილადელფია: კამინგსი (28), ჰარპრინგი (22), მუტომბო (11 ქულა, 17 მოხსნა)

**მილუოკი 95:79 ნიუ ჯერსი**

მილუოკი: კასელი (28), ალენი (21)
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (15)

**მინესოტა 107:97 ჰიუსტონი**

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), სმიტი (18), შჩერბიაკი (18), ბრენდონი (15 ქულა, 11 პასი)
ჰიუსტონი: ვილიამსი (23), მობლი (21)

**ნიუ იორკი 101:99 ინდიანა**

ნიუ იორკი: სპრიუელი (25), კემბი (18 ქულა, 22 მოხსნა), ჰიუსტონი (18)
ინდიანა: ონილი (22 ქულა, 12 მოხსნა), ჰარინგტონი (19 ქულა, 11 მოხსნა), როუზი (18)

**კლივლენდი 109:99 დენვერი**

კლივლენდი: მიური (33), პერსონი (24), მილერი (12 ქულა, 13 პასი)
დენვერი: ლენარდი (17)

**ატლანტა 107:104 ორლანდო**

ატლანტა: ტერი (28), მუჰამედი (21 ქულა, 13 მოხსნა), კუკოჩი (18 ქულა, 10 პასი)
ორლანდო: მაკგრეიდი (40 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (16)

9 დეკემბერი

**დეტროიტი 105:77 ჰიუსტონი**

დეტროიტი: ბერი (15)
ჰიუსტონი: მობლი (17)

**კლიპერსი 89:78 შარლოტი**

კლიპერსი: ბრენდი (22 ქულა, 19 მოხსნა)
შარლოტი: ვესლი (18), დევისი (16 ქულა, 10 პასი)

**ტორონტო 90:91 ფინიქსი**

ტორონტო: კარტერი (42)
ფინიქსი: ჰარდევეი (27), მარბერი (22 ქულა, 12 პასი), მარიონი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 12 | 7 | 63,2 |
| ბოსტონი | 11 | 7 | 61,1 |
| ნიუ იორკი | 11 | 9 | 55,0 |
| ორლანდო | 11 | 10 | 52,4 |
| ფილადელფია | 8 | 12 | 40,0 |
| ვაშინგტონი | 7 | 12 | 36,8 |
| მაიამი | 3 | 15 | 16,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 13 | 6 | 68,4 |
| მილუოკი | 11 | 6 | 64,7 |
| ტორონტო | 12 | 9 | 57,1 |
| ინდიანა | 12 | 11 | 55,2 |
| შარლოტი | 9 | 11 | 45,0 |
| კლივლენდი | 8 | 12 | 40,0 |
| ატლანტა | 7 | 14 | 33,3 |
| ჩიკაგო | 4 | 15 | 21,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 14 | 4 | 77,8 |
| მინესოტა | 13 | 5 | 72,2 |
| დალასი | 12 | 8 | 60,0 |
| იუტა | 9 | 11 | 45,0 |
| დენვერი | 7 | 13 | 35,0 |
| ჰიუსტონი | 7 | 15 | 31,8 |
| მემფისი | 5 | 14 | 26,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 16 | 2 | 88,9 |
| საკრამენტო | 16 | 5 | 76,2 |
| ფინიქსი | 13 | 9 | 59,1 |
| პორტლენდი | 10 | 9 | 52,6 |
| კლიპერსი | 10 | 10 | 50,0 |
| სიეტლი | 9 | 14 | 39,1 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 13 | 38,1 |



NHL რეგულარული ჩემპიონატი

7 დეკემბერი

**ბუფალო 1:4 კოლორადო**

(1:0 0:2 0:2)

1:0 დიუმონი (5), 1:1 საკიკი (13), 1:2 ჰაინოტი (38), 1:3 რაინჰერტი 50(6), 1:4 შეიდუკი 60(7)

**დეტროიტი 1:1 ფინიქსი**

(0:0 1:0 0:1 0:0)

1:0 ლიდსტრიომი (26), 1:1 ლენგკოუ (60)

**დალასი 5:0 ედმონტონი**

(4:0 1:0 0:0)

1:0 ნუინდაიკი (3), 2:0 ვერბიკი (4), 3:0 ლეჰტინენი (12), 4:0 მოდანო (19), 5:0 ლეჰტინენი (24)

**ჩიკაგო 4:3 აილენდერსი**

(1:1 1:0 2:2)

0:1 იაშინი (1), 1:1 დაზე (17), 2:1 დაზე (36), 3:1 დაზე 4(17), 4:1 სალივანი (42), 4:2 კვაშა (43), 4:3 ისბისტერი (45)

8 დეკემბერი

**კალგარი 0:4 ანაჰაიმი**

(0:2 0:1 0:1)

0:1 კარია (15), 0:2 ჩელბერგი (16), 0:3 იორკი (35), 0:4 ტიტოვი (56)

**პიტსბურგი 6:3 ატლანტა**

(1:1 3:1 2:1)

1:0 იუნსონი (2), 1:1 ტრამბლე (18), 2:1 ბიჩი (22), 3:1 ლავუტიური (24), 3:2 ბარტეჩკო (39), 4:2 რისკაველი (37), 4:3 პრკაჩი (52), 5:3 კოვალიოვი (58), 6:3 კრაფტი (60)

**ფლორიდა 2:3 კაროლინა**

(2:1 0:2 0:0)

1:0 ნილსონი (1), 2:0 ლოსი (17), 2:1 ონილი (17), 2:2 ვასიჩეკი (21), 2:3 კაპანენი (31)

**მონრეალი 3:3 ფინიქსი**

(1:2 1:0 1:1 0:0)

0:1 მეი (6), 0:2 კოლანოსი (10), 1:2 ზედნიკი (19), 2:2 დაკელი (39), 3:2 კილგერი (52), 3:3 მეი (57)

**კოლორადო 2:0 კოლუმბუსი**

(0:0 2:0 0:0)

1:0 ვრბატა (23), 2:0 ბლეიკი (29)

**ტორონტო 4:3 რეინჯერსი**

(2:1 2:0 0:2)

0:1 ლინდროსი (5), 1:1 სუნდინი (6), 2:1 ტაკერი (19), 3:1 მოგილნი (23), 4:1 გრინი (32), 4:2 იუჰანსონი (43), 4:3 ნედვედი (56)

**ოტავა 5:2 ტამპა**

(0:0 3:0 2:2)

1:0 ხარა (28), 2:0 ალფრედსონი (34), 3:0 ფიშერი (40), 3:1 რიჩარდსი (41), 4:1 ბუნკი (48), 4:2 ლეკავალიე (55), 5:2 ჰოსა (60)

**ბოსტონი 4:2 ბუფალო**

(1:0 2:0 1:2)

1:0 როლსტონი (6), 2:2 ტორნტონი (22), 3:0 როლსტონი (40), 3:1 შატანი (42), 4:1 ტორნტონი (46), 4:2 ვარადა (53)

**ფილადელფია 5:1 მინესოტა**

(2:0 3:1 0:0)

1:0 რიჩარდსონი (8), 2:0 რეკი (12), 2:1 უოლცი (21), 3:1 პლავაჩი (27), 4:1 პლავაჩი (28), 5:1 პრიმო (39)

**ნიუ ჯერსი 3:1 ვაშინგტონი**

(0:0 2:0 1:1)

1:0 ბრილინი (22), 2:0 რაფალსკი (27), 3:0 გომესი (47), 3:1 გონჩარი (56)

**ვანკუვერი 3:5 სან ხოსე**

(2:1 1:1 0:3)

1:0 ბრაშირი (4), 2:0 დ. სედინი (6), 2:1 დამფუსი (19), 3:1 მორისონი (27), 3:2 შტურმი (36), 3:3 რიჩი (42), 3:4 სელიანე (45), 3:5 მარლო (51)

**ნეშვილი 2:2 ედმონტონი**

(0:1 1:1 1:0 0:0)

0:1 გრიერი (8), 1:1 ლეგვანდი (36), 1:2 მორო (38), 2:2 არხიპოვი (58)

**სენტ ლუისი 2:0 ლოს ანჯელესი**

(0:0 0:0 2:0)

1:0 მაკინისი (43), 2:0 დრეიკი (57)

9 დეკემბერი

**ჩიკაგო 2:5 ლოს ანჯელესი**

(1:2 0:2 1:1)

1:0 ამონტე (6), 1:1 ელორანტა (15), 1:2 დედმარში (18), 1:3 ჯონსონი (31), 1:4 ლილია (39), 2:4 ბელი (50), 2:5 სმოლინსკი (60)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი
### მოსკოვი (რუსეთი)

# მოსკოვი მაიას გარეშე

**მეოთხედფინალის** ბოლო დღემ ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ვაჟები ერთობ მოქანცა. ცოტა მეტი დაისვენა მხოლოდ ვიშვანათან ანანდმა, რომელსაც ალექსეი შიროვის გასათიშად კლასიკური ჭადრაკის ორი პარტია ეყო, პიოტრ სვიდლერი, რუსლან პონომარიოვი და ვასილი ივანჩუკი კი ნახევარფინალში სატაიბრეიკო ჭაპანწყვეტით მოხვდნენ. ამათგან პონომარიოვი აუცილებლად გამოსარჩევია. წინა, დელის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მისნაირი იყო ალექსანდრ გრიშჩუკი. მაშინ 17 წლის მოჭადრაკემ ყველა გააკვირვა. ახლა პონომარიოვია და ისე ჩანს, ფიდეს ყოველ მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი თინეიჯერი მაინც ეყოლება, რომელიც დიდოსტატების მუსვრით თავს ისახელებს.

მეოთხედფინალში პონომარიოვი უძლიერესთა კოჰორტის წარმომადგენელ ევგენი ბარეევს ეთამაშებოდა და ორი კლასიკური ყაიმის შემდეგ ზედიზედ ორი პარტია მოუგო.

ნახევარფინალებში ბრძოლები იყო, მაგრამ ყაიმიანი. ივანჩუკმა ანანდის წინააღმდეგ პერსპექტიული პოზიცია მიიღო, რომელსაც ნელ-ნელა აუმჯობესებდა და, როგორც სჩვევია, სავარძელში ნებიერად ჩასკუპებული, კმაყოფილი უჭვრეტდა ხანდახან. მაგრამ ცუდი პოზიციების გადარჩენა ხომ ვიშის სტიქიაა და მანაც მიყოლებით გაცვალა სახიფათო ფიგურები. როცა შავი მეფე ცენტრში გამოვიდა და სიტუაცია სრულად გააკონტროლა, ყაიმი შორს აღარ იყო. პონომარიოვმა თეთრებით მოგებაზე ითამაშა, მაგრამ სვიდლერი ყოჩაღად დაუდგა, ხოლო ქალებში შედეგიან პარტიათა პროცენტი შედარებით მეტი გამოვიდა. 17 წლის ალექსანდრა კოსტენიუკმა (კიდევ ერთი ღლაპი!) პირველი პარტია ერთობ მსუბუქად დაუთმო იუჰუა სუს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამჯერ მოუგო. ჩინელი მოგების მეტისმეტმა სურვილმა დაღუპა. მოგეხსენებათ, როცა დაფაზე წონასწორობაა, მისი დამრღვევი უფრო მეტს რისკავს. სუმ გარისკა და... ვინ თქვა, რისკი კეთილშობილი საქმეაო...

მაია ჩიბურდანიძე ფინალში ვერ გავიდა, მაგრამ ჩვენი პატივისცემა ერთხელაც უნდა დავუდასტუროთ. მაიამ პირველი ყაიმის შემდეგ მეორე პარტიაში ჩინელ ჩენ ჟუს იერიშს გაუძლო და მხოლოდ მე-4 პარტიაში დაკარგა გადამწყვეტი ქულა.

შედგა ქალთა ფინალის პირველი პარტიაც და თუ ბოლომდე გამოცხვა, გვარიანი სენსაცია იქნება. ჩიბურდანიძე იყო ქალთა და ზოგადად ჭადრაკის ერთადერთი თინეიჯერი მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა იქნებ მეორეც გამოჩნდეს: კოსტენიუკმა ჟუს მოუგო. ბრძოლა რუსულ პარტიაში შედგა და 50 სვლის შემდეგ კოსტენიუკის პოზიცია სრულებით მოგებული იყო. დაველოდოთ სენსაციის ცხობის დასასრულს.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| მეოთხედფინალი |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 1,5-0,5; პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი) 3,5-2,5; რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) 3-1; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) 3,5-2,5 |
| ნახევარფინალი |
| ივანჩუკი — ანანდი 0,5-0,5; პონომარიოვი — სვიდლერი 0,5-0,5 |
| **ქალები** |
| ნახევარფინალი |
| ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — იუჰუა სუ (ჩინეთი) 3-1; ჩენ ჟუ (ჩინეთი) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 2,5-1,5 |
| ფინალი |
| კოსტენიუკი — ჟუ 1-0 |

## ბოტვინიკის მემორიალი მოსკოვი (რუსეთი)

# კასპაროვმა კრამნიკს ზღარბი აჭამა

**დასრულდა** მიხაილ ბოტვინიკის მემორიალი. კლასიკურ ჭადრაკში 4 ყაიმის შემდეგ გარი კასპაროვმა სწრაფი ჭადრაკის პირველივე პარტია მოუგო ვლადიმირ კრამნიკს, რასაც მოჰყვა კიდევ 4 ყაიმი და შავებითვე კრამნიკის გამარჯვება სწრაფი ჭადრაკის ბოლო პარტიაში — საერთო ანგარიში კვლავ თანაბარი დარჩა და ყველაფერი ბლიცებს უნდა გადაეწყვიტა.

კასპაროვი ადრე ამბობდა, ჩემთვის მთავარი კლასიკური ჭადრაკიაო, მაგრამ ამჯერად ფირფიტა შეატრიალა. „ჩემთვის პრინციპული ბლიცებში გამარჯვება იყო — განაცხადა მან მემორიალის დასკვნით პრესკონფერენციაზე — ამით მინდოდა, ბოლო მომელო საუბრებისთვის, თითქოს ბლიცი არ მეხერხება".

მართლაც, კასპაროვმა პირველივე ბლიცი ახალინდურ დაცვაში ეფექტურად მოიგო. მისი ფიგურები 55-ე სვლაზე კოხტად გაეწყვნენ თეთრი მეფის ირგვლივ და შამათი გარდაუვალი გახდა. შემდგომ პარტიებში თეორიული დისკუსიები ლაზიერის გამბიტში გაიმართა და 4 პარტია ყაიმით დასრულდა, რასაც მოჰყვა ბლიცმატჩის მეორე ნახევარი და ცივი შხაპი კრამნიკისთვის: მე-6, მე-7, მე-8 პარტიები კასპაროვმა ზედიზედ მოიგო. პირველად მან კლასიკური ჭადრაკის მეორე პარტიაში უკვე აპრობირებული სისტემა „ზღარბი" გამოიყენა და ამჯერად მოახერხა მეტოქის უზუსტობათა გამოყენება. მერე კი კრამნიკმა ლაზიერის მიღებულ გამბიტსა და ინგლისურ დასაწყისშიც წააგო. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" მსოფლიოს ჩემპიონმა პრესტიჟის გოლი მე-9 პარტიაში შეაგდო, რასაც მოჰყვა ბოლო ყაიმი და შედეგად 6,5-3,5. კასპაროვმა საპრიზო ფონდის 60 პროცენტი წაიღო.

პრესკონფერენციაზე კრამნიკმა აღიარა, რომ ის დღე მისი არ იყო, მერე ორივემ გააკრიტიკა ფიდე (ღუპავს ჭადრაკსო) და ბოლოს გაიმართა ძველი დისკუსია. კასპაროვი მატჩრევანშის მიზანშეწონილობას ამტკიცებდა, კრამნიკი შესარჩევი ციკლის აუცილებლობაზე მიუთითებდა. მოკლედ, ახალი არაფერი...

**დავით გულუა**



კრამნიკი და კასპაროვი ბოტვინიკის მემორიალის დასრულებაზე



სილვანო ბელტრამეტი საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს

REUTERS

# კინაღამაც ითვლება!

## მთიდან თხილამურებით დაშვებულმა ახალგაზრდამ ცხოვრება ინვალიდის სავარძლით განაგრძო

**რეჟინ კავანიუს** ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ უარესი რა უნდა გავიგოთ, მაგრამ ფრანგულ ვალ დიზერში კვლავ განმეორდა შემაძრწუნებელი ისტორია. 22 წლის ახალგაზრდა სიკვდილს კი გადაურჩა, თუმც ინვალიდად დარჩება. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს თასის მონაწილეებს ფრანგულ კურორტზე თოვლი ელირსათ და ვაჟები დაუყოვნებლივ სრიალს შეუდგნენ, რადგან ვრცელი პროგრამა ჰქონდათ, პარასკევს სუპერგიგანტი, შაბათს — სწრაფდაშვება და კვირას — გიგანტური სლალომი.

სუპერგიგანტმა უექსცესებოდ ჩაიარა. პოდიუმის მთავარ ადგილზე ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი შედგა. მეორე ადგილზე შვეიცარიელი დიდიე კუხერი გავიდა და მესამეზე — მისი თვისტომი, 22 წლის სილვანო ბელტრამეტი, რომელსაც სპეციალისტები პერსპექტიულ მოთხილამურედ მიიჩნევდნენ. წარსული დრო იმიტომ ვიხმარეთ, რომ ბელტრამეტი, ალბათ, ველარასდროს ისრიალებს. თითქმის უეჭველია, რომ იგი დარჩენილ ცხოვრებას ინვალიდის სავარძელში გაატარებს.

შაბათის სწრაფდაშვებისას საათში 120 კილომეტრი სიჩქარით მქროლავმა ბელტრამეტიმ წონასწორობა დაკარგა და ტრასას ასცდა. იგი უსაფრთხოების დამცავ ბადეს დაეჯახა, გაიტანა ისიც და როგორც იქნა, ტრასის მიმდებარე ხევანში გაჩერდა. ხეს არ დაეჯახებიაო, ირწმუნებიან თვითმხილველები, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია, რადგან ადგილზე ერთსაათიანი და გრენობლის საავადმყოფოში ხანგრძლივი აქიმობის შემდეგ მედიკოსებმა ხელები ჩამოყარეს. მათ გამოაცხადეს, მოთხილამურეს ხერხემალი დაუზიანდა, რის გამოც ფეხები დაუდამბლავდა და ინვალიდობისგან ვერაფრით ვიხსნითო.

ბელტრამეტი საკმაოდ ფათერაკიანი მოთხილამურე იყო. ორი წლის წინ ვენგენში, სწრაფდაშვებისას მაჯა მოიტეხა და იქვე შარშანაც ტრავმა მიიღო. ჰქონდა წარმატებებიც: შარშან ლეიკ ლუისში სწრაფდაშვების ეტაპი მეორემ დაასრულა და სანტ ანტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-4 იყო.

„ჩვენ მას სასწრაფოდ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ — თქვა ებერჰარტერმა, რომელმაც იმ დღეს მეორედაც გაიმარჯვა და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მოკალათდა — სამთომოთხილამურობა საშიში სპორტია და ეს ყველამ კარგად ვიცით".

ბელტრამეტი ნომერი 14 იყო, მის შემდეგ კი ამერიკელებს — უიზი ბედსკარტს და დერონ რალვზს უნდა ესრიალათ. სანამ დაიძვრებოდა, ბელტრამეტი მათ გამოლაპარაკებია.

„წარმატებას გისურვებთო, გვითხრა — იხსენებს ბედსკარტი — ჯერაც შოკში ვართ და ეს ამბავი კარგა ხანს თავიდან არ ამოგვივა".

საფრანგეთის პოლიცია იძიებს, რბოლისას უსაფრთხოების ნორმები თუ იყო დაცული და ბელტრამეტის დრამა ორგანიზაციულმა ლაფსუსმა ხომ არ განაპირობა. უიქენდის სპორტული გმირი კი ნახსენები შტეფან ებერჰარტერი გახდა. ავსტრიელმა სამ ეტაპზე ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი დაიკავა. სწრაფდაშვებაში [illegible] არტერმა 0,17 წამით გაუსწრო იტალიელ კურტ სულზენბახერს, ხოლო გიგანტურ სლალომში (კვირას) გამარჯვებულს 0,8 წამით ჩამორჩა. [illegible] გიგანტური სლალომი [illegible] იყო, რადგან [illegible] ლის 18 წლის წინ [illegible] მარემ ბორმიოში გაიმარჯვა და საერთოდ იანკებს რომ სამთოსათხილამურო ტიტულები არ ათოვთ, ცნობილი ამბავია.

გამარჯვებულის სახელია ბოდე მილერი, რომლის სასრიალო მანერა აგრესიით გამოირჩევა, თუმცა აქამდე მას დიდი მიღწევები არ ჰქონია. ამჯერად მილერმა სულ ცოტათი (0,02 წამით) გაუსწრო სეზონის პირველი გიგანტური სლალომის მომგებს, ფრანგ ფრედერიკ კოვილის და სიამაყით აღივსო. ცოტა დრო რჩება სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადამდე და ახლა ყოველი პოდიუმი ამერიკელებისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია.

„ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია — თქვა მილერმა — მე შემიძლია, ვისრიალო სწრაფად და სტაბილურად, რათა არაერთი ეტაპი მოვიგო. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამდენი ხნის შემდეგ ამერიკელი ისევ დგას პოდიუმის თავზე".

ვალ დიზერში მილერმა პირადი შედეგები გააუმჯობესა. მან იქ ადრე ორი გიგანტური სლალომი ისრიალა, ერთხელ მესამე იყო, ერთხელ — მეექვსე.

ცხადია, ებერჰარტერს მესამე ადგილის გამო თავის მართლება არ დაუწყია, ბოლოსდაბოლოს, წინა ორი ეტაპი ხომ მისი იყო და ნამუსიც კარგი საქონელია. „სწრაფდაშვებამ და სუპერგიგანტმა ისე დამღალა, გიგანტური სლალომისთვის ვარჯიშზე არ მიფიქრია — აღნიშნა ებერჰარტერმა — ამ პირობებში მესამე ადგილმაც სავსებით დამაკმაყოფილა".

და კიდევ წერილის ტრაგიკულ გმირზე. ბელტრამეტის ოჯახი შვეიცარიულ ნოტვილში გადაიყვანს, სადაც ხერხემლის სამკურნალო სპეციალიზებული კლინიკა მდებარეობს.

ქალთა სლალომი იტალიურ სესტრიერეში შვედმა ანია პაერსონმა მოიგო, ლამაზი სონია ნეფი მესამე იყო და ამ საქმის უდიდესი სპეციალისტი იანიცა კოსტელიჩი საცაა გამოჩნდება. იგი ნელ-ნელა იშუშებს მუხლს.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| სუპერგიგანტი |
| 1. შტეფან ებერჰარტერი 1.26,53 (ავსტრია) 2. დიდიე კუხერი 1.26,57 (შვეიცარია) 3. სილვანო ბელტრამეტი 1.27,18 (შვეიცარია) |
| სწრაფდაშვება |
| 1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1.59,89; 2. კურტ სულზენბახერი (იტალია) 2.00,06; 3. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) 2.00,45 |
| გიგანტური სლალომი |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) 2.36,02; 2. ფრედერიკ კოვილი (საფრანგეთი) 2.36,04; 3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2.36,82 |
| **ქალები** |
| სლალომი |
| 1. ანია პაერსონი (შვედეთი) 1.32,54; 2. ტანია პუტიაინენი (ფინეთი) 1.32,96; 3. სონია ნეფი (შვეიცარია) 1.33,13 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

სახელბურთო სეზონს ქალები ამთავრებენ: იტალიის ოთხ ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშები მიმდინარეობს. 24 ნაკრები ოთხ ჯგუფში განაწილდა. თითოეულიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო ბრძოლას მომდევნო ეტაპზე — მერვედფინალში პლეი ოფის წესით განაგრძობს. ჯგუფური ეტაპი ასე დასრულდა:

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 5 | 0 | 0 | 141:98 | 10 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 135:102 | 8 |
| ჩინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 130:142 | 6 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 117:121 | 3 |
| უკრაინა | 5 | 0 | 2 | 3 | 120:145 | 2 |
| მაკედონია | 5 | 0 | 1 | 4 | 110:145 | 1 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 135:116 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 142:117 | 8 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 136:128 | 6 |
| ანგოლა | 5 | 2 | 0 | 3 | 126:116 | 4 |
| რუმინეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 129:135 | 2 |
| კონგო | 5 | 0 | 0 | 5 | 95:151 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 142:107 | 10 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 1 | 1 | 168:122 | 7 |
| ავსტრია | 5 | 3 | 1 | 1 | 146:129 | 7 |
| კორეა | 5 | 2 | 0 | 3 | 146:133 | 4 |
| იაპონია | 5 | 1 | 0 | 4 | 115:151 | 2 |
| გრენლანდია | 5 | 0 | 0 | 5 | 77:152 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 5 | 0 | 0 | 175:91 | 10 |
| სლოვენია | 5 | 4 | 0 | 1 | 147:114 | 8 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 0 | 2 | 123:130 | 6 |
| იტალია | 5 | 2 | 0 | 3 | 109:122 | 4 |
| ტუნისი | 5 | 1 | 0 | 4 | 102:134 | 2 |
| ურუგვაი | 5 | 0 | 0 | 5 | 90:155 | 0 |

დღეს მერვედფინალში შეხვდებიან: *ავსტრია-სლოვენია, დანია-ანგოლა, ბრაზილია-იუგოსლავია, შვედეთი-ჰოლანდია, ესპანეთი-საფრანგეთი, ნორვეგია-კორეა, ჩინეთი-უნგრეთი და რუსეთი-იტალია.*



საფრანგეთი — უკრაინა. ლეილა ლეჟენმ უკრაინელებს ბლომად ურტყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. 9 დეკემბერი. ეროვნული

# ლოკომოტივი 24:17 დათვები

ლოკომოტივი: აბაშიძე (ასათიანი), ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, გუგავა, კვინიხიძე, ბ. ბერიძე; მაჭუტაძე, სუჯაშვილი, კერესელიძე (თოფურიძე, ცხომელიძე, ქელიძე), მოგელაძე, გიორგაძე, მაისურაძე, ცხადია, კახიანი

2ლ: ანდღულაძე, ალანია; 1გ: კვინიხიძე; 4ს: კვინიხიძე

დათვები: დავლაძე, ევგენიძე, პინჩუკოვი, კაპანაძე, ხონელიძე, კიკნაძე, კიკაჩეიშვილი; მოქია (მოლაშხია). ნინიძე, ღლონტი, რ. ბერიძე (ფხაკაძე), ჩირგაძე, შვანგირაძე, სვანიძე, კობახიძე

2ლ: შვანგირაძე, ტექნიკური; 2გ: კობახიძე; 1ს: კობახიძე

დროებით გაძევება: ცხადაია (ლოკომოტივი), კახიანი (ლოკომოტივი)

მსაჯი: როლან ვალენი (საფრანგეთი)

შემფასებელი: ბათუ კველიშვილი

# ბზას არ ჰყვარებია გზა

## ჩემპიონის თასი „ლოკომოტივმა“ ზღვაზე არ დაასვენა





ბზის თასი, „ლოკომოტივის“ კაპიტანი კახა ალანია და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე

ბაჩო სვანიძე

ფრანგმა მსაჯმა ხელები მაღლა აღმართა და საბოლოოდ ჩასტვინა. „ლოკომოტივის“ მორაგბეები სიხარულის მორევში გადაეშვნენ. „ლოკომოტივი“ საქართველოს ჩემპიონია!

თბილისელებმა კვირას „ეროვნულზე“ მართლაც დაძაბულ და დრამატულ მატჩში დაამარცხეს ბათუმის „დათვები“ და საქართველოს პირველი გუნდის წოდებას ზედიზედ მეორედ დაეპატრონნენ.

„კმაყოფილი ვარ. დღეს ბიჭებმა ძალიან იყოჩაღეს. მართალია, ჩემი მითითებები ზედმიწევნით ვერ შეასრულეს, მაგრამ აუგი არ დამცდება. შეგვეძლო, უკეთ გვეთამაშა, ამის პოტენციალი გვაქვს, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ“ — თქვა ნამატჩევს გაჩემპიონებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა. „მარცხი მხოლოდ და მხოლოდ გამოუცდელობის ბრალია. ფაქტობრივად, ერთი წლის გუნდია. ზოგ მორაგბეს ამ დონის მატჩში მონაწილეობაც არ მიუღია“ — ეს „დათვების“ თავკაცის, ლევან მგელაძის სიტყვებია, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო და თავისი გუნდის თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

არადა, როგორ დააკლდათ „დათვებს“ მწვრთნელის ხელი. მგელაძე მათ სწორედ რომ სათადარიგო სკამზე სჭირდებოდათ და არა ტრიბუნაზე. ვერც მგელაძე ისვენებდა მისთვის უჩვეულო ადგილას. შეგირდების შეცდომებზე ემოციურად რეაგირებდა, დროდადრო ადგილიდან წამოხტებოდა, რაღაცას შეუძახებდა ხოლმე, მაგრამ მწვრთნელის მითითებები არ ესმოდათ მთელი არსებით თამაშში ჩართულ მორაგბეებს.

საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩისთვის უჩვეულოდ ცოტა მაყურებელი მოვიდა „ეროვნულზე“. ეს, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ რაგბის მოყვარულებმა დანამდვილებით არც იცოდნენ, თუ სად შედგებოდა მატჩი. „ლოკომოტივს“, როგორც ფინალის მასპინძელს, თავად უნდა ეზრუნა შეხვედრის ორგანიზებაზე. რკინიგზელთა ხელმძღვანელობას ბოლოს ვარკეთილის მეურნეობის მოედანი შერჩა ხელთ. ალბათ, იქ გაიმართებოდა კიდეც ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი, რომ არა „დათვების“ უფროსობა. აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტის, ილია წულუკიძის უშუალო ჩარევის შემდეგ „ეროვნულის“ დირექცია ფინალის მასპინძლობას დათანხმდა. მატჩს კი ფრანგი მსაჯი როლან ვალენი მოემსახურა, რომელმაც ხასიათის შესაშური სიმტკიცე და თავისი საქმის უბადლო ცოდნა გამოამჟღავნა.

ფრანგი მსაჯის და ორივე გუნდის დიდი დამსახურება იყო, რომ შეხვედრამ კორექტულად და ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა. არადა, თუ მეტოქეების „ტკბილ“ დამოკიდებულებას და მატჩის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ადვილი მოსალოდნელი იყო, მოწინააღმდეგეებს თავი ვერ მოეთოკათ და უკეთეს შემთხვევაში ლაზათიანი ჩხუბი გაემართათ. თუმც ამჯერად მათ რაგბის პრინციპები დაიცვეს. მარადიულ მოქიშპეებს ბოლო დროს რატომღაც მივიწყებული დერეფნის გაკეთებაც არ დავიწყებიათ, რაც რაგბიში პატივისცემის გამოხატულებაა.

ერთი სიტყვით, ამ დაძაბულმა, დრამატულმა და კორექტულმა ფინალმა ნამდვილად დაამშვენა წლევანდელი გაჯანჯლებული ჩემპიონატი. ბრძოლა, ლამაზი კომბინაციები, ლელოები, ხისტი თამაში.

ეს იყო მატჩი, რომელშიც გამარჯვება ორივე გუნდს ეკუთვნოდა, მაგრამ ბზის თასს ხომ ერთი მფლობელი უნდა ჰყოლოდა. ყველაზე გამორჩეული, ყველაზე ღირსეული...

პირველი ტაიმის მეტი წილი „დათვების“ უპირატესობით წარიმართა. რკინიგზელი კვინიხიძის მოედნის ცენტრიდან გატანილ ჯარიმას ზღვისპირელებმა მძლავრი იერიშით უპასუხეს, დააზლოებით ათი წუთი უტრიალეს თბილისელთა ლელოს. შერკინება შერკინებაზე ინიშნებოდა. ბოლოს ზაზა შვანგირაძემ იპოვა ბზარი „ლოკომოტივის“ დაცვაში. კახა კობახიძემ გარდასახა და ცოტა ხანში ჯარიმაც გოლად აქცია. მანამდე „დათვების“ ლიდერს ხელსაყრელი პოზიციიდან უმტყუნა მიზანმა. საერთოდ, კვირას კობახიძე, ეტყობა, მარცხენა ფეხზე ადგა. ექსზორჯლალოსანს არაფერი გამოსდიოდა, „ლოკომოტივის“ მცველები სადაც მოიხელთებდნენ, იქვე ბოჭავდნენ, საჯარიმოებიც ბლომად გააცუდა ზღვისპირელთა დამრტყმელმა. ამან კი მატჩის საბოლოო შედეგზეც იქონია გავლენა.

„დათვები“ განსაკუთრებით შერკინებაში სჯაბნიდნენ მეტოქეს. რკინიგზელთა შერკინება „ბებერი“ კაკო მაჭუტაძის მეთაურობით მოწინააღმდეგეს კი უძალიანდებოდა, მაგრამ დიდად ვერაფერს აკლებდა. ბათუმელი მორკინალებიც გრძნობდნენ მასპინძელთა სისუსტეს და მძლავრად აწვებოდნენ თბილისელებს. „დათვებს“ მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდა გულშემატკივართ მცირე ჯგუფი, რომელიც გუნდს ბათუმიდან ჩამოჰყვა. სულ ათიოდე კაცი იქნებოდა, მაგრამ ისე ხმამაღლა შეუძახებდნენ ხოლმე თავიანთ მოთამაშეებს, რომ თავი ბათუმში გეგონებოდა. „ლოკომოტივის“ ქომაგები კი ისხდნენ თავისთვის და მშვიდად ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ ნელ-ნელა ათანაბრებდა თამაშს მათი გუნდი. ტაიმის მიწურულს კი ინიციატივა მთლიანად „ლოკომოტივმა“ იგდო ხელთ. ჯერ ბობა კვინიხიძემ გაისროლა ზუსტად, ხოლო პირველი ნახევრის ბოლო წამებზე გუგავა-ბუგიანიშვილი-ანდღულაძის ლამაზი კომბინაცია ანდღულაძის ლელოთი დასრულდა, რასაც კვინიხიძემ გარდასახვაც დაურთო.

მეორე ორმოცწუთეული უფრო ფიცხელი გამოდგა. რკინიგზელთა უკანა ხაზის ლიდერმა კახა ალანიამ, მთელი პირველი ტაიმი პასები რომ არიგა, თავადაც მოიცალა შეტევისთვის და უმალ მიაღწია მიზანს. „დათვების“ გარემარბი სულხან ევგენიძე უწყინარ სიტუაციაში ბავშვივით დაიბნა, როცა მისკენ დაძრული სამი ლოკომოტიველი დაინახა. შედეგად, ბურთი დაკარგა და ალანიას ლელოსკენ გაუხსნა გზა. კვინიხიძემ გარდასახვა გააცუდა, თუმც რამდენიმე წუთში გამოასწორა შეცდომა. რკინიგზელთა ათიანმა ზედიზედ ორჯერ ჩაჭედა ბურთი „დათვების“ კარში და რაკი კობახიძემ ამდენივე აცილებული ჯარიმით უპასუხა მეტოქეს, მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ანგარიში 24:10 გახდა თბილისელთა სასარგებლოდ.

„დათვები“ შტურმისთვის მოემზადნენ. მოედანზე მოთამაშე მწვრთნელი, უბერებელი თამაზ ფხაკაძეც შევიდა. სტუმრები უკანმოუხედავად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და მძლავრი იერიშიც მიიტანეს „ლოკომოტივის“ ლელოზე. რკინიგზელებმა რამდენჯერმე წესების დარღვევით ჩაშალეს შეტევა, რასაც კახიანის დროებით გაძევება და ტექნიკური ლელო მოჰყვა. ზღვისპირელებს მატჩის გადარჩენის შანსი მიეცათ. მათ ლელო სჭირდებოდათ, რათა საქმე დამატებით დრომდე მიეყვანათ. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, კაცნაკლულმა „ლოკომოტივმა“ შეუტია და კვინიხიძემ ორჯერ არეკნიც ამოჰკრა. მართალია, მიზანს ერთხელაც ვერ უსწორა, მაგრამ ამას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. რაც მთავარი იყო, თბილისელებმა მანძილიც მოიგეს და დროც გაიყვანეს. „დათვების“ შემდგომმა უგერგილო შეტევებმა შედეგი ვერ გამოიღო.

„ლოკომოტივმა“ საჩემპიონო ფოტო უკვე მეორედ გადაიღო



„ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი ჰაერშია



კახა ალანიას ამ ლელომ „დათვები“ გატეხა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge